

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
აგრარული და საინჟინრო ტექნოლოგიების ფაკულტეტი  
აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დეპარტამენტი

### **რუსლან დავითაძე**

აჭარის დაცული ტერიტორიების ტყის მცენარეულობა  
(მრავალფეროვნება, ტიპოლოგია, ეკოლოგია)

### **დისერტაცია**

წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად  
აგრარულ მეცნიერებაში  
სპეციალობა: „სატყეო ეკოლოგია” – 01.05.02

**სამეცნიერო ხელმძღვანელი:**

**ზურაბ მანველიძე**

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი

**ბათუმი**

**2013**

## შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი-----	4
თემის აქტუალობა-----	6
კვლევის მიზანი და ამოცანები-----	8
კვლევის მეთოდები-----	8
მეცნიერული სიახლე-----	11
ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა და ღირებულება -----	12
ნაშრომის აპრობაცია-----	13
პუბლიკაცია-----	13
დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა-----	13
კვლევის ობიექტი -----	13
<b>თავი I აჭარის დაცული ტერიტორიების ბუნებრივ-ისტორიული პირობები-----</b>	<b>14</b>
1.1 ადგილმდებარეობა და ფართობები-----	14
1.2 გეოლოგიური აგებულება და რელიეფი-----	20
1.3 ჰავა-----	22
1.3.1 ზღვისპირა აჭარის შერეული სუბტროპიკული ტყეების კლიმატი -----	25
1.3.2 ზღვისპირა აჭარის წაბლის ტყეების სარტყლის კლიმატი-----	26
1.3.3 ზღვისპირა აჭარის წიფლის ტყეების სარტყლის კლიმატი-----	26
1.3.4 ნაძვისა და სოჭის ტყეების სარტყლის კლიმატი-----	26
1.3.5 სუბალპური ტყის სარტყლის კლიმატი-----	26
1.4 ნიადგები-----	27
1.4.1 შერეული სუბტროპიკული ტყეების (ჰიგროფილური, თერმოფილული შერეული ფოთლოვანი ტყეების) ზონის ნიადაგები-----	32
1.4.2 წაბლის ტყეების ზონის ნიადაგები-----	32
1.4.3 წიფლნარი ტყეების ზონის ნიადაგები-----	33
1.4.4 ნაძვნარ-სოჭნარი ტყეების ზონის ნიადაგები-----	33
1.4.5 სუბალპური და ალპური ზონის ნიადაგები-----	33
1.5 ჰიდროგრაფია-----	34
1.6 ტყის მცენარეულობის ფორმირებისა და განვითარების ისტორია-----	35
<b>თავი II - აჭარის დაცული ტერიტორიების ტყის ფონდი, მოსახლეობა და ტრადიციული მეურნეობა-----</b>	<b>41</b>
2.1 კინტრიშის დაცული ტერიტორიები (ტყის ფონდი, მოსახლეობა და ტრადიციული მეურნეობა) -----	41
2.2 მტირალას ეროვნული პარკი (ტყის ფონდი, მოსახლეობა და ტრადიციული მეურნეობა) -----	50
<b>თავი III - აჭარის დაცული ტერიტორიების ბიოლოგიური მრავალფეროვნება -----</b>	<b>62</b>
3.1 აჭარის დაცული ტერიტორიების მცენარეულობა (ტყის ფიტოცენოზები და მირითადი ფორმაციები) -----	62

3.2 აჭარის დაცული ტერიტორიების ფლორის ანალიზი -----	94
3.2.1 კინტრისშის დაცული ტერიტორიები ფლორის ანალიზი -----	94
3.2.2 მტირალას ეროვნული პარკის ფლორის ანალიზი -----	99
3.3 კინტრიშის დაცული ტერიტორიებისა და მტირალას ეროვნული პარკის ფლორის ენდემები -----	108
<b>თავი IV აჭარის დაცული ტერიტორიების იშვიათი და ქრობადი სახეობები-----</b>	<b>106</b>
4.1. აჭარის დაცული ტერიტორიების სხვაგასხვა დაცულობის სტატუსისმქონე მცენარეთა სახეობების მრავალფეროვნება-----	106
4.2 აჭარის დაცული ტერიტორიების იშვიათი და ქრობადი მცენარეთა სახეობების დაავადებები -----	111
4.3 აჭარის დაცული ტერიტორიების ცხოველთა სამყარო (ფაუნის იშვიათი და ქრობადი სახეობები) -----	114
<b>თავი V - ტყის შემქმნელი ძირითადი სახეობების ბუნებრივი რეგენერაციის კანონზომიერებები აჭარის დაცულ ტერიტორიებზე -----</b>	<b>123</b>
5.1 წაბლის ტყეების ბუნებრივი განახლება -----	123
5.2 წიფლის ტყეების ბუნებრივი განახლება -----	131
<b>დ ა ს კ გ ნ ე ბ ი და რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ე ბ ი -----</b>	<b>139</b>
<b>გამოყენებული ლიტერატურა -----</b>	<b>149</b>
<b>დანართი 1 კინტრიშის დაცული ტერიტორიების და მტირალას ეროვნული პარკის მცენარეთა სახეობების სია-----</b>	<b>165</b>
<b>დანართი 2 კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზე და მტირალას ეროვნულ პარკში გავრცელებული ზოგიერთი მერქნიანი სახეობის დამოკიდებულება ეკოლოგიური ფაქტორებისადმი -----</b>	<b>195</b>
<b>დანართი 3. კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზე და მტირალას ეროვნულ პარკში გავრცელებული ზოგიერთი მერქნიანი სახეობის რელიქტურობა-----</b>	<b>201</b>
<b>დანართი 4. კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზე და მტირალას ეროვნულ პარკში მუდმივად ან დროებით (სეზონურად) მობინადრე გარეული ცხოველების (ძუძუმწოვრები, ფრინველები, რეპტილიები და ამფიბიები, თევზები) სახეობების სია-----</b>	<b>204</b>
<b>დანართი 5. ფოტო: ტყის მცენარეულობის აღწერა და პერბარიუმის შეგროვება (მტირალას ეროვნული პარკი) 2012 წელი-----</b>	<b>214</b>
<b>დანართი 6. ფოტო: ბუნებრივი განახლების შესწავლა წაბლნარ ტყის ტიპში (კინტრიშის ნაკრძალი, 2012 წელი) -----</b>	<b>214</b>
<b>დანართი 7. ფოტო: მცენარეთა სახეობების აღწერა და პერბარიუმის შეგროვება (კინტრიშის ნაკრძალი, 2012 წელი) -----</b>	<b>215</b>

## შესავალი

ისტორიული წყაროების თანახმად უძველესი დროიდან საქართველოში მრავლად მოიპოვებოდა სხვადასხვა დანიშნულების კ.წ. დაცული ტერიტორიები იქნებოდა ეს სამეფო, საუფლისწულო თუ სათავადო სანადირო სავარგულები, სტრატეგიული მნიშვნელობის გეოგრაფიული ადგილები (ტყეები, ბუნების ძეგლები, იშვიათობები და საოცრებანი, ციხე-კოშკების მიმდებარე ტერიტორიები და ა.შ.), სანაკრძალო რეჟიმს დაქვემდებარებული ტერიტორიები, ეკლესია-მონასტრების და სხვა რელიგიური ადგილების (სალოცავები და სხვ) ირგვლივ არსებული ტერიტორიები, ეგრეთ წოდებული ხატის ტყეები და წმინდად გამოცხადებული ნაკვეთები, სოფლის საფარი ტყეები დიდი დაქანების (30<sup>0</sup> და მეტი) ციცაბო და ძლიერ ციცაბო მთის ფერდობებზე, რომლებიც შეიძლება ბუნების მავნე ზემოქმედების სტიქიური მოვლენების (წყალდიდობები, ზვავები, დვარცოფები, ეროზია და ა.შ.) კერებად ქცეულიყვნენ (აჭარაში მათ „იასაღს“ ანუ აკრძალულს ეძახიან და სოფლის მოსახლეობა მკაცრად იცავს) (ბატონიშვილი ვახუშტი, 1944 ; სახოკია 1985).

ისტორიული წყაროების მიხედვით, ჯერ კიდევ მეორმეტე საუკუნეში თამარ მეფემ ზოგიერთი ტერიტორიის დასაცავად გამოსცა სამეფო ბრძანება. ხუთასი წლის შემდეგ კი ვახტანგ IV-ს „კანონთა კრებული“ მოიხსენიებს „ყორუდის“ ტერიტორიას, როგორც დაცვის ობიექტს. იქ აკრძალული იყო ხეების მოჭრა და სეირნობა, ტერიტორიას კი მცველები იცავდნენ.

საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარების თვისობრივად ახალი ეტაპი, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) ტექნიკური დახმარებით, დამოუკიდებლობის აღდგენის დროიდან – 1991 წლიდან დაიწყო. თანდათან გადაიდგა შესაბამისი ნაბიჯები. ამ დროისათვის, დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარება დაფუძნებულ იყო აღიარებული და აკრობირებული საერთაშორისო კატეგორიების- კონსერვაციის მსოფლიო კაგშირის (IUCN – The World Conservation Union) რეკომენდაციების შესაბამისად.

დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარებამ განსაკუთრებული დინამიზმი უკანასკნელი ათწლეულის პერიოდში შეიძინა და ყოველივე ამის შედეგად საქართველოში ამჟამად საქართველოში წარმოდგენილია დაცული

ტერიტორიების საერთო ფართობი 497315,76 ჰექტარს შეადგენს, რაც ჩვენი ქვეყნის მთლიანი ტერიტორიის დაახლოებით 7%-ია.

აჭარაში პირველი დაცული ტერიტორიები – კინტრიშისა და ცისკარას სახელმწიფო ნაკრძალები – 1959 წელს შეიქმნა, თუმცა, სანმოკლე პერიოდის შემდეგ – 1961 წელს, დაუდგენელი მიზეზების გამო – ცისკარას სახელმწიფო ნაკრძალი გაუქმდა.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დღეს დაარსებულია 4 კატეგორიის დაცული ტერიტორია: კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალი (საერთო ფართობით 10703,00 ჰა), კინტრიშის დაცული ლანდშაფტი (საერთო ფართობით 3190,00 ჰა), მტირალას ეროვნული პარკი (15806,00 ჰა), მაჭახელას ეროვნული პარკი (8733,00 ჰა) ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალი (331,25 ჰა) და ქობულეთის ადგენერილი: (438,75 ჰა), სულ 39202,00 ჰა, რაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის (ა.რ.) მთლიანი ფართობის (2900 კვ.კმ) 13,51%-ს და აჭარის ა. რ. ტყით დაფარული ფართობის (201305,6 ჰა, რაც შეადგენს აჭარის ა.რ. მთლიანი ტერიტორიის 69,4%-ს) 13,51%-ს შეადგენს.

საქართველოში, დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნების ცალკეული მახასიათებლების შესწავლის და მისი შემდგომი მონიტორინგის პრიორიტეტულ მიმართულებას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მისი კავშირი საერთაშორისო კონვენციით “ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ” (The Convention on Biological Diversity, 1992, <http://www.cbd.int/>) ჩვენი ქვეყნის მიერ აღებულ ვალდებულებებთან, საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგიითა და მოქმედებათა გეგმით განსაზღვრულ პაბიტატების და სახეობების *in situ* და *ex situ* კონსერვაციის სამთავრობო პრიორიტეტთან (საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგია და მოქმედების გეგმა, საქართველოს მთავრობის დადგენილება N27, 2005 წლის 19 თებერვალი, [http://moe.gov.ge/files/licenzia/bsap\\_ge.pdf](http://moe.gov.ge/files/licenzia/bsap_ge.pdf)), საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნულ პროგრამასთან (NEAP-2, [www.aarhus.ge](http://www.aarhus.ge)), ასევე სხვა საერთაშორისო გარემოსდაცვით კონვენციებთან და პროგრამებთან რომელთა წევრიც არის საქართველო.

უოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, კინტრიშის დაცული ტერიტორიების და მტირალას ეროვნული პარკის მრავალფეროვნების, ტიპოლოგიური და ეკოლოგიური ასპექტების შესწავლა და გრძელვადიანი

კონსერვაციის პრიორიტეტული მიმართულებების შემუშავება დიდ სამეცნიერო და პრაქტიკულ მნიშვნელობას იძენს.

### თემის აქტუალობა

ცნობილია, რომ ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) მიერ კავკასია შეყვანილია იმ 200 ეკორეგიონის ნუსხაში, რომლებიც გამორჩეულია სახეობათა სიუხვის, ენდემიზმის მაჩვენებლის, ტაქსონომიური უნიკალურობის, წარმოშობის თავისებურებების და პაბიტატების იშვიათობის მაჩვენებლებით. კავკასია ერთ-ერთია დედამიწაზე იდენტიფიცირებული ბიომრავალფეროვნების 34 „ცხელ წერტილთაგან“ ("Hotspots"), რომლებიც ხასიათდებიან უველაზე დიდი ბიოლოგიური მრაალფეროვნებითა და საფრთხეში მყოფი ხმელეთის ეკოსისტემების სიუხვით (WWF Global 200 Ecoregions- a blueprint for a living planet; Williams, L, Zazanashvili, N., Sanadiradze, G., Kandaurov, A., 2006).

კინტრიშის დაცული ტერიტორიები და მტირალას ეროვნული პარკი მდებარეობს მსოფლიოში აღიარებული კავკასიის "ცხელი წერტილის" დასავლეთ კავკასიონის კორიდორის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, რომელიც გამოირჩევა რელიქტური კოლხური ფლორის და, მათ შორის, კოლხეთის მთისა და მთისწინეთის ტენიანი ტყეების უნიკალური მრავალფეროვნებით. ამის გამოხატულება ის ფაქტი, რომ ვალური ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) ინიციატივაში „ევროპის ტყეების 100 ცხელი წერტილის შესახებ,” ანუ დაუცავ ტყეთა 100 მონაკვეთის შესახებ, რომლებიც აუცილებლად საჭიროებენ დაცვას, ერთ-ერთი უპირველესი პრიორიტეტი მიენიჭა კოლხეთის უნიკალურ ტყის ეკოსისტემებს (The map-”100 European Forests We Should Protect Now”, 1997).

ამას გარემოებას ის ფაქტი განსაზღვრავს, რომ კოლხეთის სწორედ ეს მონაკვეთები წარმოადგენდნენ გამყინვარებათა პერიოდში სითბოს მოყვარული სახეობების უველაზე საუკეთესო თავშესაფარს. აქ ზომიერი სარტყლის ტყეები უწყვეტად ხარობს მესამეული პერიოდიდან: აღმოსავლეთ ევრაზიაში ეს არის (ჰირკანის ბიოგეოგრაფიულ რეგიონთან ერთად) ბიომრავალფეროვნებით სრულიად გამორჩეული, უნიკალური მონაკვეთი. ამასთან, თვით კოლხეთის ფარგლებში, სამხრეთ კოლხეთი (აჭარა და თურქეთის მიმდებარე ტერიტორია) გამოირჩევა უძველესი ენდემური სახეობების განსაკუთრებული სიუხვით. ნიშანდობლივია ასევე, რომ კინტრიშის დაცული ტერიტორიები და მტირალას ეროვნული პარკი კომპლექსური მნიშვნელობისაა, ანუ აქ ხდება როგორც

ფლორისა და ფაუნის, ისე არაორგანული ბუნების იშვიათი ობიექტების მოვლა-დაცვა და მეცნიერული შესწავლა (გიგაური, 2005).

მტირალას ეროვნული პარკის, კინტრიშის და აჭარის სხვა დაცული ტერიტორიების განუმეორებელი მცენარეული მრავალფეროვნება ყოველთვის განსაზღვრავდა და განსაზღვრავს მეცნიერ-მკვლევართა, ნატურალისტთა და მრავალრიცხოვან ბუნების მოყვარულთა დიდ ინტერესს.

არც თუ ისე შორეულ წარსულში ბუნების ამ საგანძურის გაფრთხილება-დაცვაში დაშვებულმა შეცდომებმა, ზოგჯერ, არაპატრიოტულმა მომხმარებლურმა დამოკიდებულებამ, რომელმაც განსაკუთრებული სიმძაფრით იჩინა თავი ტყის უნიკალური ეკოსისტემების უდიერმა გამოყენებამ ძვირფასმერქნიანი ტყის შემქმნელი სახეობების სამრეწველო დანიშნულებით ექსპლოატაციის სახით, მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ფლორისა და ფაუნის აბორიგენული სახეობების მრავალფეროვნებას. ამავე დროს, აჭარის დაცული ტერიტორიები ასრულებენ მთის პირველყოფილ (ხელუხლებელ), ტიპიური (ეტალონური) მცენარეულობის მნიშვნელოვანი ფართობების შენარჩუნების და *in situ* პირობებში გრძევადიანი კონსერვაციის ფუნქციას.

აქედან გამომდინარე, ძალზე დიდ მნიშვნელობას იძენს აჭარის დაცული ტერიტორიების ტყის მცენარეულობის, როგორც დედამიწის ზომიერი სარტყლის პირობებისათვის ბიომრავალფეროვნების უნიკალურობით და მაღალი ხარისხით მახასიათებლებით გამორჩეული ბუნებრივ-ლანდშაფტური ფორმირებების სახეობრივი და ეკოსისტემური მრავალფეროვნების თანამედროვე მდგომარეობის კომპლექსური შესწავლა ტყის ფიტოცენოზების ტიპების (ასოციაციების) დონეზე, რომელიც ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნის აღნიშნული ტერიტორიების ბიოლოგიურ მრავალფეროვნებაზე, მის სისტემატიკურ სტრუქტურაზე, ცალკეული სახეობების ეკოლოგიურ მახასიათებლებზე, გავრცელების არეალებსა და ცენოზებში მათი მონაცემების კანონზომიერებებზე.

კინტრიშის დაცული ტერიტორიების ტყის მცენარეულობის ტიპოლოგიური და სახეობრივი მრავალფეროვნების შესწავლა და მისი ანალიზი სამომავლოდ დიდ დახმარებას გაუწევს დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნების ცალკეული მახასიათებლების მდგომარეობის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას, რაც მეტად აქტუალურია.

## **პკლეგის მიზანი და ამოცანები**

პკლეგის ძირითად მიზანს წარმოადგენს კინტრიშის დაცული ტერიტორიების და მტირალას ეროვნული პარკის ტყის მცენარეულობის სახეობრივი, ეკოსისტემური და ფიტოცენოლოგიური მრავალფეროვნების შესწავლა და ანალიზი; ტყის ძირითადი ფორმაციების დომინანტი მერქნიანი სახეობების ბუნებრივი განახლების (რეგენერაციის) კანონზომიერებების დადგენა; მაღალი დაცვითი ღირებულებების ტყის ფორმაციების ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება-გაუმჯობესების მიმართულებების დამუშავება.

### **პკლეგის ამოცანას შეადგენდა:**

- ტყის ძირითადი ფორმაციების სატყეო-სატაქსაციო მაჩვენებლების ანალიზი;
- ტყის მცენარეულობის ძირითადი ტიპების და მათი ფიტოცენოლოგიური მახასიათებლების გამოვლენა;
- ტყის შემქმნელი ძირითადი სახეობების ეკოლოგიური ნიშანთვისებების გამოვლენა;
- ტყის შემქმნელი ძირითადი სახეობების ფიტოსანიტარული მდგომარეობის შეფასება;
- ტყის ჰაბიტატებისათვის დამახასიათებელი ფაუნის და ფლორის იშვიათი და ქრობადი სახეობების მრავალფეროვნების დახასიათება;
- ტყის შემქმნელი ძირითადი სახეობების ბუნებრივი აღდგენა-განახლების კანონზომიერებების გამოვლენა.

## **პკლეგის მეთოდები**

ტყის მცენარეულობის ფიტოცენოლოგიური მრავალფეროვნების ანალიზს საფუძვლად დაედო ჩვენი ქვეყნის ბიომრავალფეროვნების დახასიათების მეთოდოლოგიური მიდგომის მეთოდები, რომლებიც ასახულია ვ. გულისაშვილის (გულისაშვილი, 1952; გულისაშვილი, 1977), გ. გიგაურის (2000,2005), გ. ნახუცრიშვილის (2000), რ. ქარაჯიძის (2001), მემიაძე (2004), მანველიძე (2005), Manvelidze, Memiadze, Kharazishvili, Varshanidze (2008) და სხვ. შრომებში.

ტყის ფიტოცენოზების ტიპების (ასოციაციების) დასადგენად ექსპედიციების დროს გამოვიყენეთ მარშრუტული მეთოდი, რომლის მიხედვითაც გამოიყოფოდა მარშრუტული სკლები. ყოველ სკლაზე ეწყობოდა 3-4 სანიმუშო

ფართობი 0,2, 0,25, 0,5 ჰექტარის ოდენობით (ადგილმდებარეობის რელიეფის, ფერდობის დაქანების, ექსპოზიციის გათვალისწინებით).

სანიმუშო ფართობებზე ხდებოდა ხევნარის პირწმინდა აღრიცხვა, ქვეტყისა და ცოცხალი საფარის აღწერა. სატყეო ტაქსაციაში, მიღებული მეთოდების საფუძველზე, დგინდებოდა კორომის შემადგენლობა, ბონიტეტი, საშუალო სიმაღლე, საშუალო დიამეტრი, სიხშირე, საბურველის შეკრულობა, ხნოვანება; მთავარი საბურველის შემქმნელი, ქვეტყისა და ბალახოვანი საფარის სახეობები.

ცოცხალი საფარის შემქმნელი სახეობების სიხშირე-დაფარულობა მიეთითა დრუდეს სკალის სიმბოლოს მიხედვით: ინდიკატორული ბალახოვანი მცენარეების „სიუხვის“ მიხედვით სანიმუშო ბაქნებზე სიდიდით  $1\times 1$  მ. და  $2\times 1$  მ-ზე (ჯაფარიძე 2003); ეს სიმბოლოებია:

Soc. (Socialis)- დომინანტი სახეობა, სიხშირე-დაფარულობა აღემატება 90%-ს.

Cop. (Copiosus/Copostal):

Cop<sup>3</sup>- მაღალი რიცხოვნობის სახეობა, სიხშირე-დაფარულობა 70-90%;

Cop<sup>2</sup> - სახეობა წარმოდგენილია მრავალრიცხოვანი ინდივიდებით, სიხშირე-დაფარულობა 50-70%;

Cop<sup>1</sup> - სახეობის სიხშირე-დაფარულობა 30-50%;

Sp. (Sparsus/sporsal):

Sp<sup>3</sup> სიხშირე-დაფარულობა დაახლოებით 30%;

Sp<sup>2</sup> სიხშირე-დაფარულობა დაახლოებით 20%;

Sp<sup>1</sup> სიხშირე-დაფარულობა დაახლოებით 10%;

Sol. (Solitarius/solitarie)- მცირერიცხოვანი ინდივიდები - სიხშირე-დაფარულობა დაახლოებით 10%-მდე;

Un. Unicum- ერთი ინდივიდი

ტყის მცენარეულობის სახებრივი მრავალფეროვნების ანალიზს საფუძლად დაედო კეცხოველი ნ., ხარაძე ა., გაგნიძე რ. „საქართველოს ფლორის“ (1971-2003), ვ. მემიაძე 1967, 1970, 1971, 1973 ; ა. დმიტრიევა (Дмитриева 1990), მ. დავითაძის 2001, ხორქოვ, მაზურენკო, 1994.; ხორქოვ, მანველიძე, მაზურენკო, მემიაძე, 1998, 2005; ნ. მემიაძე, 2005, Manvelidze Z. K., Memiadze N.M., Kharazishvili D.Sh., Varshnidze N. I., 2008, 2010; ქიქოძე დ., მემიაძე ნ., ხარაზიშვილი დ., მანველიძე ზ., ჰაინც მიულერ-შერერი (2009, 2010)- მონაცემების და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ბოტანიკური ბაღის

ადგილობრივი ფლორისა და ბუნების დაცვის განყოფილების მიერ 1990-2004 წლების ექსპედიციების შედეგების მიხედვით მოპოვებული აჭარისათვის და საქართველოსათვის ახალი სახეობების უახლოესი სისტემატიკური ნომენკლატურით (Дмитриева, 1990, რ. გაგნიძე (1971-2004), Czerepanov, 1995, Gagnidze, 2005,) დაზუსტებული სიები, ასევე ჩვენს მიერ სავალე კვლევების პერიოდში განხორციელებული ინვენტარიზაციის შედეგები.

ტყის ასოციაციის გამოვლენის ფართობზე, ბუნებრივი განახლების შესწავლას ვახდენდით სანიმუშო ფართობებზე აღებულ სააღრიცხვო ბაქნების მეთოდით და ლენტისებური სანიმუშო ფართობების მეთოდით. სანიმუშო და ლენტისებურ ბაქნებზე სამოდელო ნიმუშებით განისაზღვრა მოზარდის სიმაღლე და ასაკი (არანაკლებ 3 მოდელი თითოეული სიმაღლობრივი ჯგუფისათვის). რის შედეგადაც სიმაღლის გრადაციების მიხედვით აღირიცხა 1-2 წლის აღმონაცენი და 3-5, 6-10 და 11 და მეტი წლის საიმედო მოზარდი  $<0,5\text{m}$ ;  $0,5-1,5\text{m}$ ;  $>1,5\text{m}$ . ტყის შემქმნელი მთავარი სახეობების ბუნებრივი განახლების შეფასებისათვის გამოყენებული იქნა პ. გულისაშვილის (Гулисашвили; 1956) სკალა.

სახეობათა ენდემურობა მიეთითება ნ. მემიაძე, 2005 მიერ მოცემულ სიასთან შედარების საფუძველზე.

სახეობათა დაცულობის სტატუსი ქვეყნის და საერთაშორისო მასშტაბით შეფასებული იქნა საქართველოს წითელი ნუსხის (<http://www.garemo.itdc.ge>) და ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის წითელი ნუსხის მონაცემებზე დაყრდნობით (IUCN Red list, [www.iucn.org/redlist](http://www.iucn.org/redlist)). კავკასიის ეკორეგიონის წითელი ნუსხის სახეობები მიეთითა შემდეგ მონაცემებზე დაყრდნობით: **The Project:** “The Caucasus Coordination and Development of Plant List Assessments for the Caucasian Biodiversity Hotspot”; CEPF final project completion report ([http://www.cepf.net/Documents/final\\_IUCNNR\\_caucasusplants.pdf](http://www.cepf.net/Documents/final_IUCNNR_caucasusplants.pdf)); The Caucasus Coordination and Development of Plant List Assessments for the Caucasian Biodiversity Hotspot (<http://www.mobot.org/MOBOT/Research/caucasus/caucasus.shtml>); Nakhutsishvili G, Batsashvili K, Gagnidze R, Shetekauri Sh, Manvelidze Z, Memiadze N, Kharazishvili D// Georgia (In: The Red List of the Endemic Plants of the Caucasus Region; [http://www.researchgate.net/publication/232706911\\_Georgia\\_\(In\\_The\\_Red\\_List\\_of\\_the\\_Endemic\\_Plants\\_of\\_the\\_Caucasus\\_Region\)](http://www.researchgate.net/publication/232706911_Georgia_(In_The_Red_List_of_the_Endemic_Plants_of_the_Caucasus_Region))); ველური ბუნების ფაუნისა და ფლორის საფრთხეში მყოფი სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის კონვენციით (CITES)

დაცული სახეობები მიეთითა შემდეგ მონაცემებზე დაყრდნობით: ბიწაძე, რუხაძე 2001; [CITES species](http://www.cites.org), [www.cites.org](http://www.cites.org)).

მერქნიანი სახეობების დამოკიდებულება გაოლოგიური ფაქტორებისადმი შეფასებული იქნა ი. აბაშიძის (1959, 1962) მონაცემებთან შედარებით. სახეობების რელიქტურობა შეფასებული იქნა დ. მანჯავიძის (Манджавидзе 1982) მონაცემებთან შედარებით.

საკვლევ ობიექტებზე ფოთლოვანი სახეობების დაავადებების გამოსავლენად გამოიყენებოდა დაავადების სიმპტომების მქონე ხეების მარშრუტული წესით აღრიცხვა და დაავადების ლაბორატორიული კვლევის მეთოდების გამოვლენა.

საკვლევ ობიექტებზე ფაუნის მრავალფეროვნების ანალიზს საფუძვლად დაედო აჭარის ფაუნის რეესტრი, 2012 (ა. ბუხნიკაშვილის რედაქტორობით), ცხოველთა იშვიათი და ქრობადი სახეობების გამოვლენა და რიცხოვნობის აღწერა ჩვენი მონაწილეობით განხორციელდა დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციების სამუშაო პროგრამების ფარგლებში, ფოტოსაფანგების გამოყენებით.

## მეცნიერული სიახლე

პვლევის სიახლე, სპეციფიკურობა და ორიგინალობა განპირობებულია იმით, რომ ჩვენს მიერ კომპლექსურად იქნა შესწავლილი კონტრიშის დაცული ტერიტორიების და მტირალას ეროვნული პარკის ტყის ძირითადი ფორმაციების ფიტოცენოლოგიური და სახეობრივი მრავალფეროვნების თანამედროვე მდგრმარეობა.

- კინტრიშის დაცული ტერიტორიების და მტირალას ეროვნული პარკის მაგალითზე გაანალიზებულია აჭარის დაცული ტერიტორიების და მათი დამხმარე (ბუფერული) ზონების სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები;
- გაანალიზებულია ტყის ძირითადი ფორმაციების სატყეო-სატაქსაციო მაჩვენებლები;
- დადგენილია ერთიანი ეკოლოგიის მქონე სახეობათა არეალები და სახეობათა კომბინაციები, რაოდენობრივად და ცენოტურად წამყვანი ტაქსონების მრავალფეროვნება;
- დადგენილია ტყების ტიპოლოგიური სტრუქტურა, წარმოდგენილია მათი ფიტოცენოტური მრავალფეროვნება ტყის ეკოსისტემურ დონეზე და

- მოცემულია თითოეულ ფორმაციაში შემავალი ტყის ფიტოცენოზების ჯგუფების, მათი ძირითადი და მეორადი (წარმოებული) ასოციაციების მოკლე დიაგნოსტიკური მაჩვენებლები;
- დაზუსტებულია ტყის მცენარეულობის სახეობათა სია ახალი ტაქსონომიითა და ნომენკლატურით; თითოეული სახებისათვის მიეთითა სასიცოცხლო ფორმა, ბიოტოპი, იშვიათობის სტატუსი, ენდემურობა,;
  - შეფასება მიეცა ტყის შემქმნელი ძირითადი სახობების ფიტოსანიტარულ მდგომარეობას;
  - გაანალიზებულია ტყის ჰაბიტატებისათვის დამახასიათებელი ფლორის და ფაუნის იშვიათი და ქრობადი სახეობების მრავალფეროვნება;
  - შესწავლილია ტყის ძირითადი ფორმაციების ბუნებრივი განახლების თავისებურებები.
  - შეფასდა აჭარის დაცული ტერიტორიების ტყის ეკოსისტემების კონსერვაციული დირებულებები და დაისახა მათი გამოყენების პრიორიტეტული მიმართულებები.

### **ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა და ღირებულება**

კვლევის შედეგები საფუძვლად დაედება განახლებადი მონაცემთა ბაზის შექმნას აჭარის დაცული ტერიტორიების ეკოსისტემური და სახეობრივი მრავალფეროვნების თანამედროვე მდგომარეობის შესახებ.

- კვლევის შედეგები ხელმისაწვდომი და გამოყენებადი იქნება კინტრიშის დაცული ტერიტორიების და მტირალას ეროვნული პარკის განახლებული მენეჯმენტის გეგმის მომზადებისათვის.
- საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტოს, ასევე ჩვენი ქვეყნის სამთავრობო და საკანონმდებლო ორგანოებს მიეწოდებათ განახლებული ინფორმაციები კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზე ველურად მზარდი მერქნიანი სახეობების ეკოსაგანმანათლებლო და კონსერვაციული დირებულებების შესახებ.

**ნაშრომის აპრობაცია:** სადისერტაციო გამოკვლევების ცალკეული შედეგები პერიოდულად იხილებოდა სტუდენტთა, დოქტორანტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციებზე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული და საინჟინრო

ტექნოლოგიების ფაკულტეტის აგროგოლოგიისა და სატყეო დეპარტამენტის გაფართოებული სამეცნიერო საბჭოს სხდომებზე (ბათუმი, 2010, 2011, 2012); საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე (ქუთაისი, 2012); მეორე საერთაშორისო სამეცნიერო-კონფერენციაზე (თბილისი, 2012); კინგრიშის დაცული ტერიტორიების და მტირალას ეროვნული პარკის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს სხდომებზე.

**პუბლიკაცია:** სადისერტაციო ოემის ირგვლივ გამოქვეყნებულია 8 სამეცნიერო სტატია.

**დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა:** სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს 148 ნაბეჭდი გვერდს და 51 გვერდ დანართს, შესავალს, 5 თავს, 16 ქვეთავს, 20 ცხრილს, 25 ფოტოსურათს, 5 რუკას, 3 დიაგრამას, დასკვნებს და რეკომენდაციებს. გამოყენებულია 162 დასახელების ლიტერატურა, მათ შორის, 96 უცხოურ ენებზე, 2 დოკუმენტი და 16 ელექტრონული ინფორმაცია.

**პვლევის ობიექტი:** პვლევის ობიექტს წარმოადგენდა აჭარის დაცული ტერიტორიები, კერძოდ კი კინტრიშის დაცული ტერიტორიების და მტირალას ეროვნული პარკის ტყის ფორმაციები, აგრეთვე ძირითადი მდინარეების: მდ. ყოროლისწყლის, ჩაქვისწყლის, კინტრიშის ხეობებისა და მათი მრავალრიცხვანი დიდი და პატარა შენაკადების ბუნებრივი და აგროეკოსისტემები.


**სამადლობელო:** პვლევის პერიოდში სახეობათა ინვენტარიზაციის, სისტემატიკის უახლოესი ნომენკლატურით დაზუსტებისა და საკვლევი ობიექტების ფლორის სისტემატიკური ანალიზისათვის გაწეული მეთოდოლოგირი დახმარებისათვის მადლობას ვუხდით ბათუმის ბოტანიკური ბაღის ჰერბარიუმის კურატორს, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, ქალბატონ ნინო მემიაძეს.

## თავი I აჭარის დაცული ტერიტორიების ბუნებრივ-ისტორიული პირობები

### 1.1 ადგილმდებარეობა და ფართობები

მტირალას ეროვნული პარკი შეიქმნა 2006 წელს, საქართველოს კანონის „მტირალას ეროვნული პარკის შესახებ“ შესაბამისად ქობულეთის, ხელვაჩაურის და ქედის რაიონების საზღვრების ფარგლებში მოქცეულ სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებს, საერთო ფართობით, 15 806 ჸა, მიენიჭა დაცული ტერიტორიის კატეგორია - ეროვნული პარკი და ეწოდა მტირალას ეროვნული პარკი.

მტირალას ეროვნული პარკი მდებარეობს კავკასიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, მცირე კავკასიონის, სახელდობრ, აჭარა-იმერეთის ქედის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში, ქობულეთ-ჩაქვის ქედზე – შავი ზღვის სიახლოეს (მანძილი ზღვიდან პარკის უახლოეს საზღვრამდე 12 კმ-ია). პარკის ცენტრალური ნაწილის გეოგრაფიული კომპონენტებია: აღმ. გრძედის  $41^{\circ} 50'$ , ჩრდ. განედის  $41^{\circ} 50'$  (რუკა 1.1).



### **რუკა 1.1.1 მტირალას ეროვნული პარკის ადგილმდებარეობა და ბუნებრივი საზღვრები ტყის მცენარეულობის ფონზე**

პარკი შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებზე. მის შუაგულში მდებარეობს სოფ: ჩაქვისთავი, რომლის ტერიტორია პარკს არ მიეკუთვნება. მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაცია მდებარეობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქობულეთის რაიონის, დაბა ჩაქვში (ჭავჭავაძის ქ. №13). იგი თბილისიდან დაშორებულია 370 კმ-ით. საქართველოს დედაქალაქს უკავშირდება როგორც რკინიგზით, ასევე საავტომობილო გზით.


პარკის ტერიტორია მოქცეულია ქობულეთის სატყეო მეურნეობის ჩაქვის სატყეოს (12203 ჰა), ხელვაჩაურის სატყეო მეურნეობის ერგე-ორთაბათუმის სატყეოს (3200 ჰა) და ქედის სატყეო მეურნეობის მახუნცეთის სატყეოს (403 ჰა) ცალკეულ მონაკვეთებზე და მოიცავს 15 806 ჰა ფართობს. პარკის ტერიტორია დაყოფილია 104 კვარტლად, რომელთა საზღვრებად მიღებულია ბუნებრივად წარმოშობილი ხევები, ხეობები, წყალგამყოფი ქედები, ლელეხები და გზები, კვარტლების საშუალო მოცულობა 156, მინიმალური 56, მაქსიმალური კი 275 ჰა-ს შეადგენს.

მტირალას ეროვნული პარკის საერთო ფართობია 15806 ჰა (მათ შორის ტყით დაფარულია 15699 ჰა); ფუნქციური ზონების მიხედვით პარკის ტერიტორია შემდეგნაირადაა გადანაწილებული: ბუნების მკაცრი დაცვის ზონა: 2584 ჰა (16,3%), ვიზიტორთა ზონა: 8519 ჰა (53,9%), ტრადიციული გამოყენების ზონა: 4703 ჰა (29,8%).

კინტრიშის დაცული ტერიტორიები (ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის IUCN პირველი კატეგორია) დაარსდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 22 იანვრის №75 და 24 ივნისის №506 დადგენილებით, სადაც აღნიშნულია: “მოეწყოს ქობულეთის რაიონში კოლხური ტყის ტიპის რელიქტიური ფლორისა და ფაუნის კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალი”.

კინტრიშის დაცული ტერიტორიები მდებარეობს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ხეობა მოქცეულია აჭარა-გურიის, ჩაქვისა და ქობულეთის ქედებს შორის, აჭარა-გურიისა და ჩაქვის ქედები ჩრდილოეთით, აღმოსავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ხეობას ყოფენ მდ. ჩოლოქის, აჭის წყლის ხეობებისაგან, გურიის მთიანი ნაწილისა და შიდა აჭარისაგან, ხოლო

ქობულეთის ქედი სამხრეთით-მდ. დეხვასა და ჩაქვის წყლის ხეობებისაგან. მეტწილად განედური მიმართულების აღნიშნული ქედებით ხეობა სამი მხრიდან შემოსაზღვრულია უწყვეტად, ხოლო მეოთხე - დასავლეთის მხარე ღიაა და დაბლობით ესაზღვრება შავ ზღვას; მისი ფართობი 284 კვადრატული კილომეტრია, რომელიც ვრცელდება ჩრდილოეთის განედის  $41^{\circ} 41'$  და  $41^{\circ} 49'$  და აღმოსავლეთის გრძედის  $41^{\circ} 46'$  და  $42^{\circ} 09'$  შორის. დღევანდელი მონაცემებით ნაკრძალის მთლიანი ფართობი შეადგენს 13893 ჰექტარს (რუკა 1.1.2).



**რუკა 1.1.2 კინტრიშის დაცული ტერიტორიების ადგილმდებარეობა და ბუნებრივი საზღვრები ტყის მცენარეულობის ფონზე**

კინტრიშის დაცული ტერიტორიების ტყის ფონდის ფართობია 13350 ჰა, მათ შორის ნაკრძალს უჭირავს 10703 ჰა, ხოლო დაცულ ლანდშაფტს 3190 ჰა), რაც დაცული ტერიტორიის მთლიანი ფრთხობის (13893 ჰა) 96,1%-ია. აქედან ტყით დაფარული ფართობია 12840 ჰა. 3,6 %, ანუ 496 ჰა ტყით დაუფარავია; აქედან, 2,2 %, ანუ 298 ჰა მეჩხერ კორომებს უკავიათ და 1,4% ანუ 198 ჰა ველობებს. არა სატყეო ფართობებიდან საერთო ფართობის 2,0%, ანუ 280 ჰა უკავია სახმარ ფართობებს, მათ შორის სათიბებს 29 ჰა, ანუ 0,2%; საძოვრებს 247 ჰა ანუ 1,8%.

კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიას ესა ზღვრება: ჩრდილოეთით – ქობულეთის სატყეო მეურნეობა, ნაწილობრივ სოფ. ხუცუბნის ფართობები, სამხრეთ-დასავლეთით – შუახევის რაიონი, სამხრეთ-დასავლეთის – ქობულეთის სატყეო მეურნეობა, სამხრეთით – ქედის რაიონი.


კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალი და მტირალას ეროვნული პარკი, როგორც ადმინისტრაციულ-სამეურნეო ერთეულები, შედის საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების საქვეუწყებო დაწესებულების დაცული ტერიტორიების სააგენტოს გამგებლობაში.

გარდა ჩვენი საკვლევი ობიექტებისა (კინტრიშის დაცული ტერიტორიები და მტირალას ეროვნული პარკი) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე დღეს ფუნქციონირებს ასევე ქობულეთის დაცული ტერიტორიები, რომელიც შეიქმნა 1999 წელს და მოიცავს ქობულეთის ნაკრძალს (331,25 ჰა) და ქობულეთის აღკვეთილს (439 ჰა) და ეხლახან დაარსებული მაჭახელას ეროვნული პარკი (IUCN II კატეგორია) ფართობით 8733 ჰა, რომელიც ოფიციალურად დაარსდა 2012 წლის 15 მაისს კანონით „მაჭახელას ეროვნული პარკის შესახებ“ ([http://www.parliament.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=69&kan\\_det=det&kan\\_id=5350](http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=69&kan_det=det&kan_id=5350)).

აჭარაში დღეს არსებული და მოქმედი დაცული ტერიტორიები იმართება საქართველოს კანონით „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ (1996) გათვალისწინებული მენეჯმენტით და სახეობების და ჰაბიტატების *in situ* კონსერვაციის მოთხოვნების შესაბამისობაში.

ასევე, არსებობს დაგეგმარების პროცესში მყოფი ორი დაცული ტერიტორია: მტირალას ეროვნული პარკის დამხმარე ზონა (მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია საერთო ფართობით 10202 ჰა). (რუკა 1.1.3).

მაჭახელას ეროვნული პარკი ესაზღვრება მდ. მაჭახელას ზედაწელში, გლობალური გარემოსდაცვითი ფონდისა (GEF) და მსოფლიო ბანკის ხელშეწყობით თურქეთში დაარსებულ ჯამილის ბიოსფერულ რეზერვაცის. ამ გარემოების გათვალისწინებით, მაჭახელას ხეობა, გარდა ტურიზმის განვითარებისა, ახლო მომავალში უმნიშვნელოვანეს ფუნქციას შეასრულებს-როგორც ეკოლოგიური დერეფანი და საკვანძო დაცული ტერიტორია სამხრეთ კოლხეთში ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის განსავითარებლად (რუკა 1.1.4).



**რუპა 1.1.3 დაცული ტერიტორიების ქსელი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში**



**რუპა 1.1.4. საქართველო-თურქეთის დაცული ტერიტორიების ტრანსასაზღვრო მონაცემი კავკასიის ეკორეგიონის დასავლეთ მცირე კავკასიონის მონაცემთვე.**

კინტრიშის დაცული ტერიტორიები, მტირალას ეროვნული პარკი და მაჭახელას ეროვნული პარკი გაადგილებული არიან მცირე კავკასიონის დასავლეთის კორიდორში, რომელიც მიცავს კრიტიკული ეკოსისტემების თანამშრომლობის პრიორიტეტულ არეალს №94- (CEPF priority site # 94 – Mtirala:[http://www.cepf.net/Documents/CEPF\\_footprints\\_caucasus.pdf](http://www.cepf.net/Documents/CEPF_footprints_caucasus.pdf)), ასევე ეს სამი დაცული ტერიტორია მოქცეულია კავკასიის ეკორეგიონული კონსერვაციის პრიორიტეტულ არეალში №54 (Ecoregional Conservation Plan for the Caucasus. WWF-KfW-BMZ-CEPF-MakArthur Foundation. Printed by “Contour Ltd.”, Tbilisi, 2006, 220 p; <http://www.grida.no/graphicslib/collection/caucasus-ecoregion-environment-and-human-development-issues>) (რუკა 1.15)



### რუკა. 1.15 პრიორიტეტული დაცული ტერიტორიები კავკასიის ეკორეგიონში

საგულისხმოა, რომ კინტრიშის ნაკრძალს 10703 ჰა ფართობით, მინიჭებული აქვს Ia კატეგორია (IUCN Ia Category of Protected Areas :WDPA, ID1656; [http://protectedplanet.net/sites/Kintrishi\\_Nature\\_Reserve](http://protectedplanet.net/sites/Kintrishi_Nature_Reserve)).

## 1.2 გეოლოგიური აგებულება და რელიეფი

გეოლოგიურად მტირალას ეროვნული პარკის ტერიტორია მთლიანი აჭარისაგან ნაკლებად განსხვავდება: ძირითადად გავრცელებულია მესამეული პერიოდის ანდეზიტური შემადგენლობის ტუფოგენური ქანები. ოროგრაფიულად ქობულეთ-ჩაქვის ქედი აჭარას ჰყოფს დასავლეთ (ზღვისპირა) და აღმოსავლეთ (შიდა მთიან) ნაწილებად. პარკის ტერიტორიაზე, რომელიც, ძირითადად, ზღვისპირა აჭარის ზონას მოიცავს, გამოიყოფა:

- მთისწინეთის გორაკბორცვიანი სარტყელი (500-600 მ-დე ზ.დ);
- მთის ქვედა სარტყელი (1000-1200 მ-დე);
- შუა სარტყელი (1500-1600 მ-დე);
- ზედა სარტყელი (1500-1600 მ-ზე მაღლა).

უმადლესი ჰიფსომეტრული ნიშნულები 1700 მ-ის სიახლოვესაა და მიესადაგება მორვილის ქედს, რომელსაც პარკის აღმოსავლეთის საზღვარი გასდევს (მთა მორვილის სიმადლეა 1. 765 მ ზ.დ. ხოლო პარკის უმადლესი წერტილია 1. 761 მ). 1. 300 მ-ს აღემატება მთები დიდი მტირალა, ტერათი და ზოგიერთი სხვა. რელიეფი მეტად დანაწევრებულია. მის ფორმებს შორის გამოირჩევა თვალწარმტაცი ვიწრო ხეობები (მათ შორის კანიონები).

კინტრიშის დაცული ტერიტორიები საკმაოდ რთული და მრავალფეროვანი რელიეფით ხასიათდება. მისი ტერიტორიის უმეტესი ნაწილი მთებს და ლრმა ხეობებს უკავია. ზედაპირის აბსოლუტური სიმადლე ზღვის ნაპირიდან აღმოსავლეთისაკენ ოთხი ათეული კილომეტრის მანძილზე 2 596 მეტრს აღწევს. პირველივე შეხედვით თვალში გვაცემათ რელიეფის საფეხურებრივი აგებულება, რაც ხაზგასმით აღნიშნეს ს. კუზნეცოვმა და ნ. ტრიფონოვმა (1935). ლ. ჯავახიშვილის (1936) მიხედვით ქობულეთის რაიონში გამოიყოფა რელიეფის 4 ძირითადი საფეხური (რაიონი):

- ზღვისპირა დაბლობი 0-დან 15-25 მეტრამდე ზღვის დონიდან;
- გორაკბორცვიანი მთისწინეთი 15-25დან 500-600მ მეტრამდე;
- საშუალო მთა-ხეობები 500-600-დან 2000-2100 მ-მდე;
- მთამაღალი 2000-2100-დან 2 596 მეტრამდე;

ზღვისპირა დაბლობი წარმოადგენს კოლხეთის დაბლობის უკიდურეს სამხრეთს, რომელიც ცნობილია კინტრიშის დაბლობის სახელწოდებით. მისი ზედაპირი საკმაოდ ერთფეროვანია, რამდენადმე მხოლოდ ვიწრო სანაპირო

ზოლი. განსხვავდება ქვიშიანი სანაპირო ზოლი (პლატი) ოდნავ ტალღისებური ზედაპირისაა, რომლის სიგანე 25-30 მეტრს აღწევს და ნაპირიდან აღმოსავლეთით 2-3 მეტრამდე მაღლდება. ვაკე-დაბლობი აღმოსავლეთისკენ 7-8 კილომეტრ მანძილზე სოლისებურად არის შეჭრილი გორაკ-ბორცვებში, სადაც მისი სიმაღლე 25 მეტრს აღწევს.

გორაკბორცვიანი მთისწინეთი შექმნილია ხუცუბნის, სამებისა და კვირიკეს შემაღლებებით. დაბალი ბორცვიანი ნაწილი სუსტად არის დანაწევრებული, მაგრამ ზღვის ნაპირიდან, მანძილისა და სიმაღლის ზრდასთან ერთად, მატულობს ფერდობების დახრილობა და რელიეფი მკვეთრ ფორმებს იძენს. მთისწინეთის ქვედა ნაწილი ზღვის დონიდან 500 მ-დე მიეკუთვნება ტიპიურ გორაკბორცვიან რელიეფს, ხოლო ზედა (700-800 მ-დე) მთების წინა მხარეა, რომელიც თანხვედრილი დასავლეთის მიმართულების ფერდობებით გორაკბორცვებსა და დაბლობებთან ერთად ქმნის მსხვილ სანაპირო ოროგრაფიულ რაიონს.

მთა-ხეობათა რელიეფი წარმოდგენილია კინტრიშის აუზის უმეტეს ნაწილში. ალ. ჯავახიშვილის (1947-1955) მიხედვით, ეს არის აჭარა-იმერეთის (მესხეთის) ქედისთვის დამახასიათებელი ნაოჭა სტრუქტურის მქონე იარუსულად განლაგებული ზედაპირიანი რელიეფი, რომელიც მიეკუთვნება მთიანი ეროზიულ-დენუდაციური რელიეფის ტიპს. იგი საშუალო სიმაღლის მთებისა და მრავალი ვიწრო ხეობის კომპლექსია. აქ გვხვდება ნებისმიერი დახრილობის და ექსპოზიციის ფერდობები, რომლებიც ვიწრო სანაპირო მოვაკებები ენაცვლება. ფერდობები დასერილია ხევებით. ხშირად გვხვდება ხრამები და ფლატები; ადგილი აქვს მეწყრულ მოვლენებს, მთებიდან აღსანიშნავია ელიას ციხე (1016 მ), სკურდა (1153 მ), კინტრიში (1426 მ), თელათი (1563 მ), კალვა (1766 მ) და სხვ. მთამაღალას მიდამოებში რელიეფი წარმოდგენილია სხვადასხვა დახრილობის, მეტწილად დასავლეთის, ფერდობებით და მოსწორებული ზედაპირებით (სარბიელა, ტბილელა, დიდველა, სარიყელი); შედარებით ნაკლები ადგილი უჭირავს მთამაღალას კლდეებსა და ნაშალებს. უმაღლესი მთაა ხინო, საიდანაც აჭარა-გურიის და ჩაქვის ქედები იწყება. სხვა მთებიდან აღსანიშნავია: ნარახალი (2204 მ), ნაბაძირი (2363 მ), პერანგა (2334 მ) და გვანცა (2151 მ).

როგორც ნ. გვოზდეცკის გამოკვლევებიდან (1954-1963) ჩანს, კინტრიშის აუზის უმეტესი ნაწილი ზღვისგან საბოლოოდ გამოთავისუფლებული და ოროგრაფიული ფორმირების ფაზაში შევიდა მიოცენში, ნეოგენის ბოლოს

კინტრიშის აუზის ტერიტორიაზე უნდა ყოფილიყო ახლანდელთან შედარებით დაბალი ხმელეთი - მცირე სიღრმის ხეობით და ვრცელი მოსწორებული ზედაპირებით, რომლის დანაწევრებაც ძლიერ ტექტონიკური პროცესების გამო გრძელდებოდა მეოთხეული პერიოდში. ს. კუზნეცოვის (Кузнецов, 1935) მიხედვით სანაპირო გორაკბორცვიანი ზოლის ტერასისებური რელიეფი განვითარდა პლიოცენსა და მეოთხეული პერიოდის გამყინვარების დროს. სანაპირო დაბლობი აღნიშნული პერიოდის წარმონაქმნია.

ხეობის ლითოლოგიური შემადგენლობა არაერთგვაროვანია. ზღვისპირა დაბლობი ძირითადად, აგებულია მეოთხეული პერიოდის ზღვისეული და მდინარისეული ალუვიური ნაფენებით. გორაკბორცვები და წინა მთები აგებულია ეოცენის ახალგაზრდა ვულკანოგენური წარმონაქმნებით-ანდეზიტებით, ბაზალტებით, ავგიტური პორფირიტების ტუფებით და ტუფბრექჩიებით. სოფ. ჭახათიდან ზერაბოსელამდე თავს იჩენს კალი ბაზალტები, თხელშრიანი ფიქლები და ქვიშაქვები. სოფ. ხინოს ზემოთ გვხვდება ლოკალური გავრცელების ლითოგრაფიული კირქვები (რასთანაც დაკავშირებულია ადგილების სახელები - საკირე, საკირილელე). ხეობის სათავეში ტუფოგენურ-პორფირიტული კომპლექსი გამოსახულია მუქი ფიქლოვანი ტუფოგენებით და სხვადასხვა ქვა-ქვიშებით დაფარული ავგიტლაბარადორის პორფირიტებით. ეოცენის ეფუზიური ქანები განსაკუთრებით გაშიშვლებულია მთამაღალას რაიონში ქედების თხემებსა და მწვერვალებზე.

### 13 ჰავა

ბუნებრივ პირობებთაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ჰავა. მასზე დიდადად დამოკიდებული მცენარეული საფარის განვითარება. აჭარის დაცული ტერიტორიები შედის დასავლეთ საქართველოს კლიმატურ რაიონში. იგი ცნობილია სუბტროპიკულ რაიონად. დასავლეთი საქართველო, შავი ზღვის უშუალო კლიმატური გავლენით, მსოფლიოს ნამდვილ სუბტროპიკულ რაიონებს წააგავს.

ნოტიო სუბტროპიკული ჰავა უფრო უკეთესად გამოხატულია შავი ზღვის აჭარის სანაპიროზე. მთაგარი კავკასიონის, მცირე კავკასიონისა და მცირე აზიის მაღალი მთაგრეხილების შემდეგ აქ ჰავაზე ზეგავლენას ახდენს ზღვასთან ახლოს აღმართული აჭარა-გურიის, ჩაქვისა და ქობულეთის ქედები, რომლებიც

ხელს უწყობენ ზღვიური ქარების გამოყენებას. ეს უკანასკნელი განაპირობებს ატმოსფერული ნალექების სიუხვეს და ჭარბტენიანობას, რითაც აჭარის ზღვისპირეთი მიეკუთვნება ზღვის სუპტოპიკული ჰავის მუდმივ ტენიან ოლქს (მ. კორძახია 1961). მაგრამ ზღვისპირა აჭარასა და კინტრიშის ხეობაში ჰავა ყველგან ერთნაირი არ არის. დაბლობიდან ხინოს მწვერვალამდე იგი თანდათან მკაცრდება.

ატმოსფერული ნალექების საშუალო წლიური მაჩვენებელი მტირალას ეროვნულ პარკში 2000 მმ-ზე მეტია, ხოლო მთა დიდი მტირალას ზღვისკენ მიქცეულ ფერდობებზე 4000 მმ-საც კი აღემატება, რაც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ადგილობრივი ბიოტის უნიკალურობას.

ჰავის ტენიანობა შეადგენს 80-85% -ს, ხშირია ნისლიანი დღეები, რაც თავისებურ ელფერს ანიჭებს მარადმწვანე ქვეტყით მოცულ, გაუვალ კოლხურ ტყეებს. ჰავის საშუალო წლიური ტემპერატურა აქ აბსოლუტური სიმაღლის მიხედვით  $10-12^{\circ}\text{C}$ -დან ( $500-600$  მ ზღვაზე)  $5-6^{\circ}\text{C}$ -მდე ( $1000-1200$  მ) მერყეობს.

მთის ქვედა სარტყელში ყველაზე თბილი თვის (აგვისტო) საშუალო მაჩვენებელია  $20^{\circ}\text{C}$ , ცივი თვის (იანვარი)  $-2^{\circ}\text{C}$ . აბსოლუტური მინიმუმი  $\text{ზ.დ.-დან } 1000-1200 \text{ მ-ზე } -13,6^{\circ} \text{ C-ს აღწევს. ჰარკის ტერიტორიაზე უყინვო დღეთა რაოდენობა საშუალოდ 274-ა. თოვლის საფარველი სიმძლავრე მთის შუა და ზედა სარტყელში ხშირად 3-4 მ-ს (ზოგან მეტსაც) აღწევს.}$

უყინვო პერიოდი ხშირად 300 დღემდე გრძელდება. ჰავის საშუალო დღე-დამური ტემპერატურა  $-5^{\circ}\text{ ზე } \text{ქვევით არასდროს ეცემა. ანუ წყვეტილი სავეგეტაციო პერიოდი } 10^{\circ}\text{-ზე მეტი საშუალო ტემპერატურით იწყება აპრილის პირველ დეკადაში და გრძელდება ოქტომბრის შუა რიცხვებამდე. ამ პერიოდის დადებით ტემპერატურათა ჯამი } 4000-4500^{\circ}\text{-ია.}$

გორაკბორცვიანი ზოლი დაბლობთან შედარებით უფრო თბილია. ეს იმითაა გამოწვეული, რომ ზამთარში ადგილი აქვს ტემპერატურულ ინვერსიას: ფერდობებიდან დაბლობზე ჩამოედინება ჰავის ცივი მასა, რომელიც შევსებას იღებს აგრეთვე ჩრდილოეთიდან. ამიტომ ამ კლიმატური ზონის ზემო და ქვემო ნაწილი ტემპერატურით განსხვავდება ერთმანეთისაგან (ცხრილი 1.3.1).

აჭარის დაცული ტერიტორიების რთული რელიეფის მეტად დასერილი ზედაპირი და ლრმა ხეობები ხელს უწყობს კლიმატურ ელემენტთა ხშირ ცვალებადობას. სიმაღლის ზრდასთან ერთად ადგილი აქვს ჰავის (ჰავის) ტიპების კანონზომიერ ცვლას.

ზამთრობით, რელიეფის თავისებური მოყვანილობის გამო, ადგილი აქვს ტემპერატურულ ინვერსიებს, ამიტომ ნაკრძალის გორაკბორცვიან ზონაში ზამთრის მინიმალური ტემპერატურა 3-4 გრადუსით უფრო ნაკლებია, ვიდრე სანაპირო ვაკეზე. ტემპერატურულ ინვერსიებს ადგილი აქვს შიდამთიან მხარეშიც.

საკმაოდ თბილი ზაფხული იცის შიდამთიან ნაწილშიც უთბილეს თვეებად ივლისი და აგვისტო ითვლება ასეთი კლიმატი სავსებით ხელსაყრელ პირობებს ქმნის ხე-მცენარეულობის კარგი ზრდა-განვითარებისათვის. ესენია: წაბლი, უთხოვარი, წიფელა, რცხილა, მურყანი, მუხა, იფანი, ნეკერჩხალი. ისინი ქმნიან საკმაოდ მაღალ წარმადობას, როგორც წმინდა, ასევე შერეულ კორომებს შორის, რასაც ადასტურებს ნაკრძალში არსებული I და II ბონიტეტის არსებობა. აქედან გამომდინარე, ნაკრძალის ტერიტორიაზე საჭიროა საკუთარი მეტეოროლოგურის მოწყობა, რომელიც ვერ მოგვარდა ნაკრძალის დაარსებიდან დღემდე.

### ცხრილი 1.3.1 პაერის საშუალო წლიური ტემპერატურის ჯამი კვლევის ობიექტებზე

გეოგრ- სადგური	ზ.დ სიმაღ. მ-ში	პაერის საშუალო ტემპერატურა ( $^{\circ}\text{C}$ )											
		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
ქობულეთი	4	4.8	5.5	7.6	10.9	15.4	19.5	22.4	22.6	19.5	15.6	10.7	6.7
ბობოვგათი	70	6.6	6.8	8.5	11.7	15.7	19.5	21.1	22.4	19.9	16.8	12.5	9.3
დაგვა	200	6.7	6.7	8.8	11.8	15.8	19.2	21.6	22.2	19.7	16.8	12.4	8.8
ჩაქვისთავი	315	5.0	5.4	7.3	11.3	15.0	17.9	20.0	20.5	17.7	14.9	10.8	7.4

აჭარის მცენარეული ფორმაციების კლიმატური საზღვრების ფორმირებაში პაერის ტემპერატურას, სხვადასხვა მახასიათებელთან ერთად, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. კლიმატური ტიპების ჩამოყალიბება მჭიდრო კავშირშია ბუნებრივ ზონებთან. კლიმატური ტიპების ასეთი პრინციპით კლასიფიკირდა

კავკასიის და საქართველოს პირობებისათვის მოგვცეს დოკუმენტაცია (Докучаев 1951), ბერგმა (Берг 1938), გულისაშვილმა (Гулисашвили 1964).

„საქშავზღვაპიდრომეტმშენის“ მრავალწლიანი მონაცემებსა და დ. მანჯავიძის (Манджавидзе, 1982) ანალიტიკურ მასალებზე დაყრდნობით ტყის მცენარეულობის სარტყლიანობასთან კავშირშირში კინტრიშის დაცულ ტერტორიებზე და მტირალას ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გამოიყოფა კლიმატის სემდეგი ტიპები:

### 1.3.1 ზღვისპირა აჭარის შერეული სუბტროპიკული ტყეების კლიმატი

შავი ზღვის სანაპირო და გორაკბორცვიან ზონაში, ზღვის დონიდან 400-500 მ-მდე შერეული სუბტროპიკული ტყეების სარტყელში, ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა  $12^{\circ}\text{C}$ -ია. ყველაზე ცივი თვის - იანვრის საშუალო ტემპერატურა  $2^{\circ}\text{C}$ -სს აღემატება. ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი იშვიათად ჩამოდის  $10^{\circ}\text{C}$ -ზე ქვემოთ, ხოლო  $10^{\circ}$ -ზე მეტი ტემპერატურათა ჯამი შეადგენს  $3900-4700^{\circ}\text{C}$ . ნ. კრასნოვი (Краснов 1913) თვლიდა, რომ სუბტროპიკული კლიმატისათვის დამახასიათებელია არანაკლებ  $12^{\circ}\text{C}$  საშუალო წლიური ტემპერატურე. იანვარში ჰაერის საშუალო ტემპერატურა არის ნულზე ზევით. მის გამო იგი სუბტროპიკებს მიაკუთვნებდა მხელოდ სამხრეთ კოლხეთს. ს. გინკული (Гинкул, 1940) სუბტროპიკებს მიაკუთვნებდა აჭარას და აფხაზეთს, და აღნიშნავდა, რომ იგი წარმოადგენს სუბტროპიკების ჩრდილოეთი საზღვრის. ლ. ბერგი (Берг, 1938) სუბტროპიკული კლიმატის ჩრდილოეთ საზღვარის განმსაზღვრელად თვლის ყველაზე ცივი თვის საშუალო ტემპერატურას არა ნაკლებ+2  $\text{C}$ -სა; ხოლო ტ. სელიანინოვი (Селианинов, 1931) სუბტროპიკების ჩრდილოეთი საზღვრის განმსაზღვრელს უკავშირებს მცენარეთა ცალკეული სახეობების მთელი წლის განმავლობაში ვეგეტაციის შესაძლებლობებს და  $\geq 10^{\circ}\text{C}$ -ზე ტემპერატურათა ჯამის რაოდენობას არა ნაკლებ  $3000-4000^{\circ}\text{C}$  -ისა.

ყოველივე აღნიშნული საფუძველს იძლევა ვირწმუნოთ, რომ აჭარის შერეული სუბტროპიკული ტყეების გავრცელების ზედა საზღვრები (500 მ-მდე ზ.დ.) ემთხვევა სუბტროპიკული კლიმატის ტიპს.

### **1.3.2 ზღვისპირა აჭარის წაბლის ტყეების სარტყლის კლიმატი**

გრცელდება 500-1000 მ. სიმაღლემდე ზღვის დონიდან. ამ ტიპის კლიმატისათვის დამახასიათებელია ზომიერად ცივი ზამთარი მაღალი, მაგრამ არახანგრძლივი თოვლის საფარით; დამახასიათებელია თბილი, ხანგრძლივი ზაფხული და ნალექების დიდი რაოდენობა ( $>2500\text{mm}$ ) ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა შეადგენს  $10-11^{\circ}\text{C}$ -სს, აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა ჩამოდის- $10-12^{\circ}\text{C}$ -მდე, (იშვიათად  $16^{\circ}\text{C}$ -მდე), სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა 6,5-7,5 თვეა.

### **1.3.3 ზღვისპირა აჭარის წიფლის ტყეების სარტყლის კლიმატი**

მოიცავს 1000-1400 (1500) მ. სიმაღლეებს. მას ახასიათებს ჰაერის მაღალი ფარდობითი ტენიანობა 80-81% საშუალოდ წელიწადში და უხვი ნალექები 4000 მმ-მდე წელიწადში. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა შეადგენს  $+8,5-9^{\circ}\text{C}$ -ს; ყველაზე თბილი თვის (აგვისტო) საშუალო ტემპერატურა  $15-15,5^{\circ}\text{C}$ -ია, ყველაზე ცივისა (იანვარი) კი ტემპერატურა  $+0,5^{\circ}\text{C}$ ; აბსოლუტური მინიმუმი შეადგენს  $-16-17^{\circ}\text{C}$ -ს.

### **1.3.4 ნაძვისა და სოჭის ტყეების სარტყლის კლიმატი**

მოიცავს ზღვის დონიდან 1500-1600 დან 2100-2200 მ-მდე სიმაღლეებს. ხასიათდება ტენიანი, შედარებით ცივი ზამთრით და მდგრადი თოვლის საბურველით. ზაფხული ხანმოკლე და გრილია, ტემპერატურული მაქსიმუმი აღწევს  $28^{\circ}\text{C}$ -ს, ყველაზე ცივი თვის საშუალო ტემპერატურა ეცემა -  $6,4^{\circ}\text{C}$ -მდე, აბსოლუტური მინიმუმი  $-20^{\circ}\text{C}$ -მდე, ზოგჯერ კი უფრო დაბლა ეცემა. სავეგეტაციო პერიოდი შეადგენს 4,5 - 5,5 თვეს.

### **1.3.5 სუბალპური ტყის სარტყლის კლიმატი**

მოიცავს ნაწილს ნაძვისა და სოჭის ტყის კლიმატისა და აღწევს  $2400\text{m}$ -მდე. გამოირჩევა ცივი ზამთრით და ხანგრძლივი თოვლის საბურველით. ზაფხული ხანმოკლეა და ცივი - სავეგეტაციო პერიოდი აღწევს 3,5-4,5 თვეს.

მაშასადამე, აჭარის ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები გამოირჩევა რელიეფის რთული ოროგრაფიული დანაწევრებით, ფერდოფთა დაქანების სიმკვეთრითა და ექსპონირების ნაირგვარობით, მკვეთრად გამოხა-ტული ვერტიკალური სარტყლიანობით და ხელსაყრელი ნიადაგური და კლიმატური

პირობებით, რაც მიუთითებს ტყის მცენარეულობის ზრდა-განვითარებისათვის მრავალფეროვანი ეკოტოპური პირობებისა და შესაბამისად მრავალფეროვანი ტყის თანასაზოგადოებების ფორმირების დიდ პოტენციურ შესაძლებლობებზე.

კინტრიშის დაცული ტერიტორიებისათვის და მტირალას ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გავრცელებულია კლიმატის ძირითადი ტიპების დახასიათება მოცემულია **ცხრილი 1.3.2-ში.**

#### 1.4 ნიადგები

აჭარის რთულმა გეოფიზიკურმა ფონმა და ბუნებრივ ეკოსისტემებზე ინტენსიურმა ანთროპოგენურმა ზემოქმედებამ განაპირობა ნიადაგსაფრის მრავალფეროვნება. აჭარის ნიადაგების შესახებ პირველი ცნობები მოგვეპოვება XIX საუკუნის მიწურულიდან - ა. კრასნოვის (Краснов 1906) შრომებში. ვ. დოკუჩაევმა (Докучаев 1900) მე-19 საუკუნის ბოლოს, პირველმა დაადგინა კავკასიის ნიადაგების გეოგრაფიული გავრცელების კანონზომიერებანი და წარმოადგინა მათი ვერტიკალური ზონალობის სქემა; ამ კანონზომიერების თანახმად, თითოეულ ვერტიკალურ სარტყელს შეესაბამება გარკვეული კლიმატური პირობები, მცენარეულობის და ნიადაგის ტიპი.

დღეისათვის სამეცნიერო წყაროებში მოიპოვება მნიშვნელოვანი მონაცემები ცალკეული ნიადაგობრივი ტიპების ფიზიკური და ქიმიური თვისებების, მათი ნაყოფიერების შესახებ (გედევანიშვილი, ლატარია 1951; შევარდნაძე, 1963; საბაშვილი 1965; ლომიძე, 1976, 1980; თავართქილაძე 1983; ფალავანდიშვილი 1987, 1993, 2004; ღორჯომელაძე 1997; ღორჯომელაძე, მანველიძე, 1998; ლეონიძე 1994; ლეონიძე, მანველიძე 1998; 2003; პაპუნიძე, მანველიძე 2000; მანველიძე, ლეონიძე, 1988; 2003; ჯაბნიძე 2012; პოლინოვ, 1933; კლიმატის, 1933; დარასელია, 1939, 1949; ბერიძე, 1969, რომაშკევიჩ, 1974; გედენიძე, 1975; პაპუნიძე, 1985; მანველიძე, 1990; კიპნის, 1986; და სხვები).

საქართველოს ტერიტორია 70 ათას-მდე კვადრატული კილომეტრია, ანუ 7 მილიონი ჰექტარი, იგი გამოირჩევა მრავალფეროვანი ბუნებით, ფიზიკურ-გეოგრაფიული, ნიადაგობრივი და კლიმატური თავისებურებით, სახელმწიფოს ტერიტორიის მესამედი ტყითაა დაფარული. სოფლის მეურნეობის სავარგულებისათვის

მთელი ფართობის მხოლოდ 40-მდე პროცენტია ათვისებული, რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია და თითოეულ კაცზე სახნავი ფართობი 0,16 ჰა-ს შეადგენს.

საქართველოს ტენიანი სუბტროპიკული ზონის თავისებურმა ბუნებრივმა და გეოგრაფიულმა პირობებმა სპეციფიკური ტიპის ნიადაგები წარმოქმნა. ნიადაგთმცოდნეობის ფუძემდებელი, პროფ. ვ. დოკუჩაევი დაინტერესდა და პირველმა ჩაატარა მეცნიერული გამოკვლევები სუბტროპიკული ნიადაგების გენეზისა და თვისებებზე. მისი მტკიცებით: „ნიადაგი წარმოადგენს ბუნებრივ-ისტორიულ სხეულს დედამიწის ზედაპირზე, რომელსაც უნარი აქვს, უზრუნველყოს მცენარის მოთხოვნილება და წარმოშობილია ნიადაგწარმომქმნელი 5 ძირითადი ფაქტორის ერთობლივი მოქმედებით”, მათ მიეკუთვნება მთის ქანები, რელიეფი და ხეოვანება. თავისებურებათა ერთობლიობამ ტენიან სუბტროპიკულში წარმოქმნა ნიადაგის შემდეგი ტიპები: წითელმიწები, ყვითელმიწები, სუბტროპიკული ეწერები და მათი სახესხვაობები.

**წითელმიწებს** უჭირავს დასავლეთ საქართველოს ტენიანი სუბტროპიკული ზონის გორაქბორცვიანი ზოლი და შედარებით დიდ მასივებად გვხვდება ხელვაჩაურის, ქობულეთის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის რაიონებში, ხოლო მცირე მასივების სახით – ოჩამჩირის, გალის, ზუგდიდის, წალენჯიხის, სენაკის, მარტვილის, წყალტუბოს, ქედის და ხონის რაიონებში. წითელმიწებს უკავია დასავლეთ საქართველოს ჭაობიანი და ეწერი ნიადაგების გავრცელების ზედა ზოლი, ზღვის დონიდან 50-300 მ სიმაღლემდე და საუკეთესოა ჩაისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების გასაშენებლად, ამ მიზნით ასეთ მიწებს ყურადღება ჯერ კიდევ XIX საუკუნეში მიაქციეს.

ტიპიური წითელმიწა დრმა პროფილით გამოირჩევა. მისი აკუმულაციურ-ალუვიური ჰორიზონტის სისქე 20-50 სმ-ის ფარგლებში მერყეობს და სიღრმის მიხედვით თანდათან გადადის გამოფიტვის ქერქში, რომლის სისქე ჩაქვი-ციხისძირის მიდამოებში ზოგჯერ 7-10 მ-ს აღწევს. ეს ქერქი ფხვიერია, ახასიათებს კარგად გამოსახული მიკროაგრეგატულობა, კარგი წყალგამტარია და ფესვს ადგილად ითვისებს, ეს კი ტიპიური წითელმიწების ერთ-ერთი დადებითი მხარეა.

**ცხრილი 1.3.2 კინტრიშის დაცული ტერიტორიებსა და მტირალას ეროვნული პარკის ტერიტორიებზე გავრცელებული კლიმატის ძირითადი ტიპები**

მცენარეულობის გაგრცელების სარტყელი	სიმაღლე (მეტრი ზ-დ.-დან)		კლიმატის დახასიათება
	ქვედა საზღვარი	ზედა საზღვარი	
1	2	3	4
ზღვისპირა დაბლობების და ჰიგროფილური, თერმოფილული შერეული ფოთლოვანი ტყეების სარტყელი	50 - 150	550-600	ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა $12^{\circ}\text{C}$ -ია. ყველაზე ცივი თვის-იანვრის საშუალო-ტემპერატურა აღემატება $2^{\circ}\text{C}$ -სს. ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი იშვიათად ჩამოდის $10^{\circ}\text{C}$ -ზე ქვევით, ხოლო $10^{\circ}\text{-ზე}$ მეტი ტემპერატურათა ჯამი შეადგენს $3900\text{-}4700^{\circ}\text{C}$ -ს.
ზღვისპირა აჭარის წაბლის ტყეების სარტყელი	550 - 600	1150-1200	დამახასიათებელია ზომიერად ცივი ზამთარი მაღალი, მაგრამ არა ხანგრძლივი თოვლის საფარით; თბილი, ხანგრძლივი ზაფხული და ნალექების დიდი რაოდენობა ( $>2500\text{mm}$ ) ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა შეადგენს $+10\text{-}11^{\circ}\text{C}$ -სს, აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა ჩამოდის $-10\text{-}12^{\circ}\text{C}$ -მდე, (იშვიათად $-16^{\circ}\text{C}$ -მდე), სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა 6,5-7,5 თვეა.

## გაგრძელება ცხრილი 13.2

1	2	3	4
ზღვისპირა აჭარის წიფლის ტყეების და ხე-ბუჩქნარი დაჯგუფებების “შერიანი”-ს სარტყელი	550 - 600	1500	ახასიათებს ჰაერის მაღალი ფარდობითი ტენიანობა - 80-81% საშუალოდ წელიწადში და უხვი ნალექები-3500-3800 მმ-მდე წელიწადში. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა შეადგენს +8,5-9,0°C-ს; ყველაზე თბილი თვის - აგვისტოს საშუალო ტემპერატურა +15-15,5°C-ია, ყველაზე ცივი თვის (იანვარი) საშუალო ტემპერატურა +0,5°C; აბსოლიტური მინიმუმი ეცემა - 16-17°C-მდე.
ნაძვისა და სოჭის ტყეების სარტყელი	2000 - 2100	2350	ხასიათდება ტენიანი, შედარებით ცივი ზამთრით და მდგრადი თოვლის საბურველით ვიდრე წინა კლიმატურ ტიპები. ზაფხული ხანმოკლე და გრილია, ტემპერატურული მაქსიმუმი აღწევს 28°C-ს, ყველაზე ცივი თვის საშუალო ტემპერატურა ეცემა-6,4°C-მდე, აბსოლუტური მინიმუმი - 20°C-მდე; სავეგეტაციო პერიოდის ხანგძლივობა შეადგენს 4,5-5,5 თვეს.
სუბალპური და ალპური მცენარეულობის სარტყელი	2300 - 2350	2596	მოიცავს ნაწილს ნაძვისა და სოჭის ტყის კლიმატისა და აღწევს 2400 მ-მდე ზ.დ-დან. გამოირჩევა ცივი ზამთრით და ხანგრძლივი თოვლის საბურველით. ზაფხული ხანმოკლეა და ცივი, სავეგეტაციო პერიოდი აღწევს 3,5-4,5 თვეს.

ამრიგად, პუმუსი წითელმიწა ნიადაგის ზედა ფენაში-0-10სმ სიღრმეს აღწევს, აზოტის შემცველობაც მეტია, რაც სიღრმის მატებასთან ერთად მკვეთრად კლებულობს. მ. ბზიავას (1958) მონაცემებით, წითელმიწა ნიადაგების პუმუსოვანი ნივთიერებების შედგენილობაში ჭარბობს ფულგმუავები და პუმუსი მკვეთრად გამოხატული ფულვატური ტიპისაა. გაკულტურებისას მკვეთრად იზრდება პუმინის მჟავების შემცველობა და შეფარდება, სადაც პუმინომუავები-ფულვომუავები ერთის ტოლია ან ერთზე მეტია. წითელმიწა ნიადაგების პუმუსში აზოტის შემცველობა 5-6 %-ს აღწევს. რაც უფრო მდიდარია ნიადაგი ორგანული ნივთიერებებით, მით უფრო მეტი რაოდენობით შეიცავს აზოტს, მაგრამ წითელმიწა და ეწერი ნიადაგების მაღალი მჟავიანობისა და ფუძეებით გადარიბების გამო მათში მიკრობიოლოგიური პროცესები მეტად შეზღუდულია, ამასთან ორგანული აზოტის მინერალიზაცია ძალზე შენელებულად მიმდინარეობს. ამით პუმუსით მდიდარი ნიადაგებიც კი, სასოფლო სამეურნეო კულტურებით აზოტიანი სასუქებითგამოკვების ეფექტიანობა ამით აიხსნება.

**ყვითელმიწები** აჭარაში შედარებით მცირე არეალითაა წარმოდგენილი; ფართოდაა გავრცელებული აფხაზეთში, სამეგრელოში, ხონში, ტყიბულსა და ვანში. ამ ნიადაგებს, თავიანთი ფიზიკო-ქიმიური თვისებებით, გარდამავალი ადგილი უჭირავთ წითელმიწებსა და ტყის ყომრალ ნიადაგებს შორის. მათ ახასიათებს მოყვითალო ფერი, ნაკლები სისქე, სუსტი განვითარება და მძიმე მექანიკური შედგენილობა. წითელმიწები და ყვითელმიწები 400-500 მ სიმაღლემდეა გავრცელებული, უფრო ზევით კი ტყის ყომრალი ნიადაგებია.

**ალუვიური** ნიადაგები გავრცელებულია ბზიფის, კოდორის, ენგურის, როონის, ცხენისწყლის, სუფსის, ჭოროხის და სხვა მდინარეების ქვეტერასებზე.

არჩევენ კარბონატულ და უკარბონატო ალუვიურ ნიადაგებს. უფრო მეტი ტერიტორია უჭირავს კარბონატულს. ალუვიური ნიადაგები გამოირჩევა საშუალო და მსუბუქი მექანიკური შედგენილობით, სუსტად დიფერენცირებული პროფილით და პუმუსის მცირე შედგენილობით (1,5-2,5%), ამ ნიადაგებში აზოტის შემცველობა 0,1-0,15%-ს, ხოლო ფოსფორისა 0,15-0,2%-ს უდრის.

კოლხეთის დაბლობის დასავლეთ ნაწილში გავრცელებულია მდელოს ალუვიური დაჭაობებული ნიადაგები. დაჭაობებას იწვევს მძიმე მექანიკური შედგენილობა და ჭარბი ტენიანობა. ალუვიური ნიადაგები გამოყენებულია სიმინდის,

ბოსტნეულის, ჩაის (უკარბონატო), ეთერზეთების, ციტრუსოვნებისა და სხვა კულტურებისათვის. ეს ნიადაგები კარგი ფიზიკური თვისებებით ხასიათდება.

მ. საბაშვილის ხელმძღვანელობით 1956 წელს შედგენილი საქართველოს ნიადაგების რუკისა და ბოლო წლებში აჭარის ნიადაგების შესწავლის მონაცემებზე (თავართქილაძე 1983; ლორჯომელაძე 1997; ლეონიძე 1994; ურუშაძე, 1977, 1997; ურუშაძე 1987; პალავანდიშვილი 1985) დაყრდნობით კინტრიშის დაცული ტერიტორიებისათვის და მტირალას ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ნიადაგების გავრცელებას ახასიათებს მკვეთრად გამოხატული ვერტიკალური ზონალობა.

#### 1.4.1 შერეული სუბტროპიკული ტყეების (ჰიგროფილური, თერმოფილული შერეული ფოთლოვანი ტყეების) ზონის ნიადაგები

ამ ზონისათვის, რომელიც ვრცელდება ზღვის დონიდან 500-600 მეტრამ-და, ძირითადად დამახასიათებელია წითელმიწა ნიადაგები. აჭარაში გავრცელებულია წითელმიწების ორი სახესხვაობა. ესენია - წითელმიწა სუსტად განვითარებული - Red shallow (Haplic Ferralsoli- **FAO**-ს მიხედვით, **FAO soil classification**; <http://www.economicexpert.com/a/FAO:soil:classification.html>) და წითელმიწა ტიპიური და გაეწერებული – Red true and podzolic ( Haplic Hitosoli ან Rodic Acrisoli- **FAO**-ს მიხედვით). წითელმიწები რელიქტური ნიადაგებია და ამ მხრივ დასავლეთი საქართველო და, პირველ რიგში, აჭარა, ევროპაში მათი გავრცელების ერთადერთ ადგილს წარმოადგენს; ეს ნიადაგები ფორმირდება წითელი ფერის გამოფიტვის ქარქზე. წითელმიწები ხასიათდება რკინის დიდი შემცველობით, მეტავარ რეაქციით, ძირითადში თიხნარი მექანიკური შემადგენლობით, გამოფიტვის ალიტური ტიპით.

#### 1.4.2 წაბლის ტყეების ზონის ნიადაგები

აჭარის დაცული ტერიტორიების წაბლის ტყის სარტყელში მნიშვნელოვანი ფართობები უჭირავთ ყვითელ-ყომრალ ნიადაგებს–Yellow-brown forest (Ocsic Cambisol- **FAO**-ს მიხედვით). ისინი იკავებენ სუბტროპიკული ზონის ზედა ნაწილს და წიფლნარი ტყეების ზონის ქვედა სარტყელს. ამგვარად, ყვითელ-ყომრალი ნიადაგები აჭარაში გავრცელებულია ზღვისპირა გორაკ-ბორცვიან ზონაში - ზღვის დონიდან 1000 მ-მდე. აღსანიშნავია, რომ ეს ნიადაგები ფორმირდება გამოფიტულ ძველ ქარქებზე. ამით აიხსნება, რომ ყოველთვის არ

ემიჯნება წითელმიწებს და ამ შემთხვევაში, მათ ცვლის ყომრალები, რომლებიც ფორმირდება ჩვეულებრივ დედა ქანებზე. ყვითელ-ყომრალი ნიადაგები საქართველოში პირველად გამოიყო პროფ. თ. ურუშაძემ (1977); მანვე მოგვცა ამ ნიადაგების შედარებით სრული დახასიათება.

ყვითელ-ყომრალს, წითელ-მიწებს, ყვითელმიწებს და ყომრალ ნიადაგებს შორის გარდამავალი აღგილი უკავია და ყომრალებთან შედარებით უფრო მეტე რეაქციით, რკინის და ჰუმუსის უფრო მეტი შემცველობით და გამოფიტვის სიალიტურ-ალიტური ტიპით ხასიათდება.

#### 1.4.3 წიფლნარი ტყეების ზონის ნიადაგები

გავრცელებულია 1000-1100-დან - 1500-1600 მეტრამდე ზღვის დონიდან; ეს ზონა წარმოდგენილია ყომრალი ნიადაგებით, კერძოდ ტიპიური ყომრალებით –Brown forest true (Umbric Cambisoli- **FAO**-ს მიხედვით) და მცირე სისქის ყომრალებით- Brown forest shallow (Distric Combisoli- **FAO**-ს მიხედვით). ყომრალი ნიადაგები აჭარაში იკავებენ ყველაზე დიდ ფართობს. სამწუხაროდ, ბევრ აღგილას ეს ნიადაგები ეროდირებულია. ამის მიზეზია ტყეების გაჩეხვა, ფერდობების არასწორი დამუშავება, მოსახლეობის დიდი სიმჭიდროვე და სხვა. ნიადაგისადმი ასეთი უდიერი დამოკიდებულების შედეგად გააქტიურდა სტიქიური მოვლენები (მეწყერები), რამაც აიძულა მოსახლეობა ბევრ აღგილას მიეტოვებინა თავისი საცხოვრებელი აღგილები. ასე, სამწუხაროდ შემოვიდა ახალი ნებატიური ცნება- მოსახლეობის ”ნიადაგური მიგრაცია.”

#### 1.4.4 ნაძვნარ-სოჭნარი ტყეების ზონის ნიადაგები

გავრცელებულია 1400 - 1500-დან 2000-2100 მეტრამდე ზღვის დონიდან; ეს ზონა წარმოდგენილია ყომრალი გაეწრებული-Brown forest podzolic (Gleic Cambisoli- **FAO** - ს მიხედვით) ნიადა-გებით. ტიპიური და მცირე სისქის ყომრალი ნიადაგებისაგან განსხვავებით, გაეწრებული ყომრალები ხასიათდებიან დიფერენცირებული პროფილით და გაეწრებული პორიზონტის არსებობით. ეს ნიადაგებიც საკმაოდ ეროდირებულია.

#### 1.4.5 სუბალპური და ალპური ზონის ნიადაგები

გავრცელებულია 2100-2200-დან 2800-2900 მეტრამდე ზღვის დონიდან; ეს ზონა წარმოდგენილია მთა-მდელოს კორდიანი-Mountain-meadow sward (Distric Regosoli

**FAO-ს მიხედვით**) და მთა-მდელოს კორდიან- ტორფიანი ნიადაგებით და ტორფნარებით - Mountain-meadow sward-peat (Folic Histosoli- **FAO-ს მიხედვით**).

კინტრიშის დაცულ ტერიტორიებისათვის და მტირალას ეროვნული პარკის ტერიტორიისათვის დამახასიათებელი ნიადაგების ძირითადი ტიპები ვერტიკალური ზონალობის მიხედვით წარმოდგენილია **ცხრილი 14.1-ში**.

## 1.5 ჰიდროგრაფია

მტირალას ეროვნული პარკის მთლიანი ტერიტორიის წარმოდგენილია მთაგორიანი რელიეფით, ამიტომ აქ ნალექების რაოდენობა დიდ გავლენას ახდენს პარკში არსებული მდინარეების რეჟიმზე. პარკის ტერიტორიაზე მრავალი საშუალო და მცირე ზომის მდინარეა. ძირითადი ჰიდროარტერიებია ქობულეთ-ჩაქვის ქედის ზღვისკენ მიქცეული ფერდობის მდინარეები ჩაქვისწყალი და ყოროლისწყალი, რომლებიც შავ ზღვაში ჩაედინებიან. ქედის სამხრეთ ფერდობზე მიედინება - მდ. აჭარისწყლის შენაკადები დოლოგანი, ზუნდაგისწყალი და სხვა. ბევრი მათგანი თვალწარმტაც ხეობებში ეშვება და ჭორომებსა და ჩანჩქერებს ქმნის. მრავლადაა სამკურნალო თვისებებით გამორჩეული მინერალური და მტკნარი წყაროები.

კინტრიშის დაცული ტერიტორიების ჰიდროგრაფიული ქსელი საკმაოდ რთულია. წყალშემკრები აუზის ფართობი 284 კვ.მ-ია. და ძირითადად მდინარე კინტრიში წარმოადგენს, რომლის სიგრძე 45 კმ-ია. მდინარე სათავეს იღებს ხინოს მთიდან - 2400 მ სიმაღლეზე ზ.დ-დან და სოფ: ზერაბოსლამდე მიედინება დასავლეთით; აქედან სოფ. ჭახათამდე მიემართება ჩრდილოეთით, ხოლო შემდეგ კვლავ დასავლეთით უხვევს და ქ. ქობულეთთან შეერთვის შავ ზღვას. სათავედან ზღვისპირა დაბლობამდე კინტრიში ტიპიური მთის მდინარეა, რომელიც ხმაურით ეშვება ლოდიდან ლოდზე და ვიწრო კალაპოტში აჩენს მრავალ ჩანჩქერს.

ზემო დინების ზედა ნაწილში კინტრიშს ორი თანაბარი შენაკადით: შეერთვის მარჯვენიდან - ჩიდილას დელე და მარცხნიდან - წერაქვეთის დელე. სინი მდინარეს სოფ. დიდვაკესთან უერთდებიან. შეა წელში - სოფ. ზერაბოსელთან - სამხრეთიდან ერთვის ხეკნარა;

ქვემო წელში, ასევე სამხრეთიდან, ქობრონის წყალი და კინკიშა. ამათ გარდა კინტრიშს აქვს მრავალი მცირე შენაკადი (საკირიდელე, მისანათის

ღელე, პეტიონის ღელე, ლაშე ღელე, ჭერულა, მაღალხევი, თირთხელი, საკირქა, აბშილა და სხვ).

აღნიშნული მდინარეები და ღელეები იკვებებიან წყაროებით და თოვლის ნაჟური წყლებით, რომლებიც ალპურ და სუბალპურ სარტყლებში ბლომადაა. ჩამოთვლილი მდინარეები წვიმიანობისას ან თოვლის დნობისას ხასიათდებიან უხევწყლიანობით და დიდი სისწრაფით. აღნიშნული წყლები ატმოსფერული წარმოშობისაა. უხევ ნალექიანობის გამო ჩამონადენის სიდიდე ძალიან მაღალია 60-90 ლ/წმ.

გარდა ზემო ჩამოთვლილისა, ნაკრძალის ტერიტორიაზე ზღვის დონიდან 2000-2200 მ სიმაღლეზე მეტად მომხიბლავ სურათს ქმნის ტბა, რომელთანაც დაკავშირებულია ამ ადგილის სახელი “ტბიყელა”, იგი იკვებება ნალექებით და გრუნტის წყლებით.

ნაკრძალის ტერიტორიაზე უამრავი წყაროა. მდინარეები ქმნიან მრავალსაფეხურიან წყალვარდნილებს, რაც დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას ჰგვრის მნახველს. და, ბოილოს, შავი ზღვა, რომლის როლიც მეტად დიდია ხეობის ბუნების შემქმნელი კომპონენტების ფორმირებაში.

## 1.6 ტყის მცენარეულობის ფორმირებისა და განვითარების ისტორია

მცენარეული საფრის ერთ-ერთ უმთავრეს ტიპს წარმოადგენს ტყე, სადაც მცენარეები, ცხოველთა სამყარო, კლიმატი, რელიეფი, ნიადაგი და სხვა გარემო ფაქტორები ერთიანობასა და მუდმივ განვითარებაშია. ჩვენ შევეცდებით ბიოლოგიური და პალეონტოლოგიური ლიტერატურული წყაროების გამოყენებით გავაანალიზოთ აჭარის დაცული ტერიტორიების ტყის მცენარეულობის ფორმირებისა და განვითარების ისტორია, საქართველოსა, კერძოდ, სამხრეთ კოლხეთის (აჭარის მაგალითზე) ტყის მცენარეულობის ფორმირებისა და ქრონოლოგიური განვითარების ისტორიის ზოგიერთი ასპექტი.

სხვადასხვა გეოლოგიურ პერიოდში მცენარეულობის ქრონოლოგიური ჩამოყალიბების, მიგრაციის, ისტორიული, მემკვიდრეობითი და შემდგომი განვითარების საკითხები განხილულია ნ. მარგალიტაძის (Маргалитадзе, 1955, 1982), გულისაშვილის (Гулисашвили, 1956), მ. უზნაძის (Узнадзе, 1946), ა. მჭედლიშვილის (Мчедлишвили, 1949), ი. თუმაჯანოვის (Тумаджанов, 1973), დ. მანჯავიძის (Манджавидзе, 1982) და სხვათა შრომებში.

**ცხრილი 1.4.1 კინტრიშის დაცული ტერიტორიებსა და მტირალას ეროვნული პარკის ტერიტორიებზე გავრცელებული ნიადაგის ძირითადი ტიპები**

მცენარეულობის გავრცელების სარტყელი	სიმაღლე (მეტრი ზ-დ.-დან)		ნიადაგსაფარის დახასიათება FAO-ს განმარტებების მიხედვით ( <a href="#">ურუშაძე და სხვები, 2000; ფალავანდიშვილი, 2003; FAO soil classification; http://www.economicexpert.com/a/FAO:soil:classification.html</a> )
	ჰედა საზღვარი	ზედა საზღვარი	
1	2	3	4
პიგროფილური, თერმოფილული შერეული ფოთლოვანი ტყეების სარტყელი	50 - 150	550-600	ძირითადად დამახასიათებელია წითელმიწების ორი სახესხვაობა: წითელმიწა სუსტად განვითარებული (Haplic Ferralsols) და წითელმიწა ტიპიური და გაეწერებული (Haplic Histosols ან Rodic Acrisols).
ზღვისპირა აჭარის წაბლის ტყეების სარტყელი	550 - 600	1150-1200	წარმოდგენილია ტიპიური ყომრალებით (Umbric Cambisols) და მცირე სისქის ყომრალებით (Distric Cambisols).
ზღვისპირა აჭარის წიფლის ტყეების და ხე-ბუჩქნარი დაჯგუფებების “შერიანი”-ს სარტყელი	550 - 600	1500	ძირითადად გავრცელებულია ყვითელ-ყომრალი ნიადაგები (Ocsic Cambisols).
ნაძვისა და სოჭის ტყეების სარტყელი	2000 - 2100	2350	წარმოდგენილია ყომრალი გაეწერებული ნიადაგებით (Gleic Cambisols).
სუბალპური და ალპური მცენარეულობის სარტყელი	2300 - 2350	2596	წარმოდგენილია მთა-მდელოს კორდიანი (District Regosols) და მთა-მდელოს კორდიან- ტორფიანი ნიადაგებით და ტორფნარებით (Folists Histosols).

აღნიშნული მკვლევარების ცნობებით თანამედროვე მცენარეულობის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი იყო ნეოგენური სისტემის პლიოცენის ეპოქა. ამ დროისათვის კავკასიონი და ამიერკავკასია უკვე მთლიანი ხმელეთი იყო და ნახევარკუნძულის ფორმა ჰქონდა. პლიოცენურ დანალექებში გამოიყოფა მეოტური, პონტოური, ქიმერიული და სხვა დანალექები.

**ზედა პლიოცენის მეოტურ ხანაში ზღვის სიღრმემ იკლო და კავკასიონის სამხრეთით გაჩნდა ხმელეთის დიდი ტერიტორია, სადაც ინტენსიურად გავრცელდა ფოთლოვანი ტყები წაბლის, წიფლის, ნეკერჩხლის და სხვათა გაბატონებით. სარმატის ხანასთან შედარებით ბორეალური ფლორა უფრო ფართოდ გავრცელდა.**

**პონტოს (პონტოურ)** ხანაში მთავარი კავკასიონი და ამიერკავკასია შეერთებული იყო, მაგრამ გურია მთლიანად და აჭარა ნაწილობრივ, ჯერ კიდევ წყლით იყო დაფარული. ხმელეთზე ამ დროისათვის განვითარებული იყო ფოთოლმცენი ხე-მცენრეების ტყები: მუხის, რცხილის, ძელქვის, თელის, წაბლის, წიფლის, ვერხვის და სხვათა მონაწილეობით.

**ქიმერიის ხანაში** ამიერკავკასიაში ზღვის ტერიტორია იმდენად შემცირდა, რომ კასპიის ზღვა წარმოდგენილი იყო მცირე ტბით. ხმელეთი ძალზე ძლიერ გაფართოვდა. წინა გეოლოგიურ პერიოდებთან განსხვავებით შეიცვალა პავა (აცივდა). ჩრდილოეთიდან გაძლიერდა ბორეალური ფლორის სახეობების შემოჭრა, სამხრეთიდან ინტენსიურად გაიზარდა ქსეროფიტული მცირეაზიური და წინააზიური ფლორის წარმომადგენელთა რიცხვი.

**ქვედა და შუა პლიოცენში** საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული იყო სითბოს მოყვარული მარადმწვანე მცენარეულობა: პალმა, დაფნა, ფიკუსი, მაგნოლიები, კამელია, ქაფურის ხე, სოფორა, ლიქვიდამბარი და სხვა; წიწვოვანი მცენარეებიდან – სოჭი, ნაძვი, კვდარი, სექვოია, კრიპტომერია, ფიჭვი, ცუგა, კუნიგამია და სხვა; ფოთოლმცენებიდან – წიფელი, წაბლი, მუხა, რცხილა, ძელქვა, უხრავი, არყი, თხილი, მურყანი, ცაცხვი, ვერხვი, ჭადარი, ტირიფი, ნეკერჩხლი და სხვა.

**მეოთხეული სისტემის პლეისტოცენის პერიოდში** მოხდა რამდენიმე გამყინვარება, რომელიც შეეხო როგორც მთავარ, ისე მცირე კავკასიონის ქედებს. საქართველოს ტერიტორიაზე გამყინვარება ატარებდა ადგილობრივ ხასიათს. კავკასიონის მყინვარები უშუალოდ ეშვებოდნენ ვაკე-ბარამდე-მყინვარმა არ მოახდინა დიდი გავლენა კოლხეთის, ქართლისა და კახეთის

ვაკეებზე და ამიტომ აქ წარმოიქმნა უფრო ტენიანი და ცივი ჰავა, რამაც განაპირობა ბორეალური და არქტიკული მცენარეების ამ რეგიონების ფლორაში შემოჭრა. გამყინვარების პერიოდში ამიერკავკასიაში გამორჩეული იყო ადგილობრივი ფლორის გადარჩენის ორი კერა – კოლხეთი და თალიში, რომელთაც გამყინვარების გავლენა არ განუცდიათ. მაშინ როდესაც მთავარი კავკასიონის სამხრეთ კალთებზე მესამეული პერიოდის მეზოფილური მერქნიანი სახეობების უმრავლესობა განადგურდა, საქართველოს ბარში და მთის კალთებზე გადარჩა რელიქტური ტყეები: დასავლეთ საქართველოს ბარში – ზღვისპირა ქვიშნარებისა და ჭაობების მცენარეულობა, დაფნარები, მურუნარები, დაბლობის მუხნარები და რცხილნარები; მთის კალთებზე – წაბლნარები, წიფლნარები, ნაძვნარები, სოჭნარები, ფიჭვნარები. აღმოსავლეთ საქართველოს ბარში – ნახევარუდაბნოს და ველების მცენარეულობა, ჭალის ტყეები (ვერხვნარები, ტირიფნარები, თელნარები, ლაფნარები, მუხნარები (ჭალის მუხა); ნათელი ტყეები (საკმლისხიანები, აკაკიანები, ლვიანები და სხვა); მთის კალთებზე – მუხნარები, წაბლნარები, წიფლნარები. ბარის და მთის აღნიშნული მცენარეულობა ჩამოყალიბდა იმ გადარჩენილ ფლორის კერებში, რომლებიც დღემდე შემორჩა მთავარი და მცირე კავკასიონის ქედებს შორის მოქცეულ სივრცეზე. ამრიგად, მესამეული პერიოდის მცენარეულობამ, რომელიც პლეისტოცენში შენარჩუნდა, გამოიარა გამყინვარების შემდგომი ქსეროთერმული ეპოქა. მშრალმა და თბილმა ქსეროთერმულმა რამდენიმე პერიოდმა განვითარა ქსეროფიტული მცენარეულობა. ეს მცენარეულობა ახლაცაა შემორჩენილი აღმოსავლეთ საქართველოს ნახევარუდაბნოს, ველისა და ნათელი ტყეების ტერიტორიებზე.

**უკანასკნელი გამყინვარების მომდევნო პერიოდში (პლიოცენში)** ფართო განვითარებით ხასიათდება ფოთოლმცვენი მერქნიანი სახეობების ტყეები, მათ შორის, წაბლნარები, რომლებიც დასავლეთიდან აღმოსავლეთ საქართველომდე ფართოდ იყო გავრცელებული და თითქმის უწყვეტ ზოლს წარმოადგენდა. წაბლის ტყეები უკვე ქმნიდნენ ვერტიკალურ სარტყელს ზღვის დონიდან 400-500 დან 1000-1100 მ-ის ფარგლებში. წაბლნარები გავრცელებული იყო ლიხის ქედის აღმოსავლეთ ფერდობებიდან შუა ქართლის გავლით კახეთის კავკასიონის მიდამოებამდე (ფშავ-ხევსურეთისა და თუშეთის გარდა).

**ზედა პლიოცენში** დასავლეთ საქართველოში დომინირებდა ტყის მცენარეულობა, ხოლო აჭარაში, სადაც ჯერ კიდევ მიოცენში ხმელეთი

ზღვისაგან გათავისუფლდა, პლიოცენური სუბტროპიკული ფლორა იყო შემორჩენილი. გამყინვარება, შავშეთის და აჭარა-იმერეთის ქედების უმაღლეს ნაწილებს, რომ შეეხო, ამან გამოიწვია საერთო აცივება, რომელიც შავი ზღვის თბილი ჰავის გავლენის შედეგად ისეთი ინტენსიური არ იყო, როგორც იმავე განედზე მდებარე ევრაზიის სხვა ქვეყნებში. ყოველ შემთხვევაში აჭარის მცენარეულ საფარში მაინც მოხდა ცვლილებები, რადგან ტროპიკული ფლორის ბევრი წარმომადგენელი განადგურდა (ამოწყდა). ასევე გაქრა სოჭის და ნაძვის უძველესი სახეობები. შემორჩენილი სახეობები უძველესი წინაპრებისგან მორფოლოგიური და ბიოეკოლოგიური ნიშან-თვისებებით განსხვავდება. ამ პერიოდში ტყის მცენარეულობის გავრცელებაში გამოიკვეთა, ვერტიკალური სარტყელიანობა: ზღვისპირეთის დაბლობებსა და გორაკ-ბორცვებზე განვითარდა ფართოფოთლოვანი ტყები - მუხის, წაბლის, ცაცხვის, რცხილის, წიფლის, ფიჭვის მონაწილეობით. მთის ზემო სარტყელში კი სოჭნარები, ნაძვნარები, სოჭნარ-ნაძვნარები და ფიჭვნარები.

**შეოთხეული სისტემის პოლოცენი** გამყინვარების შემდგომი პერიოდია. მყინვარების უკან დახევის და ჰავის თანდათანობითი გათბობის შედეგად საქართველოში ფართოდ გავრცელდა ფიჭვისა და არყის ტყები. ისინი ადრეულ პოლოცენში იკავებენ მყინვარებისაგან გამოთავისუფლებულ ადგილებს. მოგვიანებით ფიჭვის ტყები ფართოდ გავრცელდა დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, აჭარის მთებში და შეავიწროვა ფოთლოვანი ტყები.

**შუა პოლოცენის პირველი ნახევრის ატლანტურ პერიოდში** (ჰავის დათბობა, ყინვარების დადნობა) მოხდა თანამედროვე მცენარეულობის სრული ფორმირება - როგორც დასავლეთ (მათ შორის აჭარაში), ისე აღმოსავალეთ საქართველოში. კოლხეთის დაბლობზე გაბატონდა ფართოფოთლოვანი ტყები - მურყნარები; მთების წინა კალთებზე - მუხნარები, წაბლნარები; მთის ქვემო სარტყელში განვითარდა ტიპიური კოლხური შერეული ფართოფოთლოვანი ტყები (წიფლი, წაბლი, რცხილა, მუხა, ცაცხვი); მთის ზედა სარტყელში გაბატონდა სოჭნარები, ნაძვნარები, სოჭნარ-ნაძვნარები, წიფლნარ-ნაძვნარები; სუბალპური სარტყელი დაიკავა დეკამ, იელმა და მაღალმთის მდელოებმა.

**შუა პოლოცენის სუბბორეალურ (აცივება და ტენიანობის მატება)** პერიოდში დასავლეთ საქართველოსა და, მათ შორის, აჭარის მთებშიც, ძლიერ გავრცელდა წიფლის, ნაძვის და სოჭის ტყეები. ხოლო აღმოსავლეთ

საქართველოში წიფლის ტყეები გამოვიდნენ აგრესორის როლში და ძლიერ შეავიწროეს მუქწიწვოვანი და ქვემო სარტყლის მუხნარი ტყეები.

საერთოდ, წიფლის არეალის სწრაფი გაფართოება აღინიშნება შუა პოლოცენის სუბბორეალური პერიოდიდან და გრძელდება გვიან პოლოცენშიც. კოლხეთის დაბლობზე ვრცელ ფართობებს იკავებდა მურყნარები და შერეული ფართოფოთლოვანი სუბტროპიკული ტყეები, წიფლის, წაბლის, ძელქვის, რცხილის, ცაცხვისა და სხვათა მონაწილეობით.

მიოცენის დასაწყისში როცა ფართობი ზღვისგან გამოთავისუფლდა აჭარის მცენარეული საფარის განვითარება მიმდინარეობდა ისევე, როგორც ყველგან საქართველოში, კერძოდ დასავლეთ საქართველოში მიმდინარე გეოქრონოლოგიური პერიოდების მიხედვით. განსხვავება ისაა, რომ აჭარაში იგრძნობოდა შავი ზღვის სიახლოვე, მისი გავლენა ზღვისპირა და შიდამთიან თბილ კლიმატზე, სუბტროპიკული მცენარეულობის ჩამოყალიბებასა და რელიქტურ მცენარეთა შენარჩუნებაზე.

**თავი II - აჭარის დაცული ტერიტორიების ტყის ფონდი, მოსახლეობა და ტრადიციული მეურნეობა**

## **2.1 კინტრიშის დაცული ტერიტორიები (ტყის ფონდი, მოსახლეობა და ტრადიციული მეურნეობა)**

კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალი დაარსდა 1959 წელს კოლხური რელიქტური ტყების, ფლორისა და ფაუნის დაცვის მიზნით. დაცვის ძირითადი ობიექტებია წაბლნარები და წიფლნარები მარადმწვანე ქვეტყით, ფლორისა და ფაუნის რელიქტური და ენდემური სახეობებით. 2007 წელს ნაკრძალის ბაზაზე სეიქმნა დაცული ლანდშაფტი.

კინტრიშის დაცული ტერიტორიების ტყის ფონდის საერთო ფართობია 13350 ჰა, მათ შორის ნაკრძალს უჭირავს 10703 ჰა, ხოლო დაცულ ლანდშაფტს 3190 ჰა), რაც დაცული ტერიტორიის მთლიანი ფართობის (13893 ჰა) 96,1%-ია. აქედან ტყით დაფარული ფართობია 12840 ჰა. 3,6 %, ანუ 496 ჰა ტყით დაუფარავია ; აქედან 2,2 %, ანუ 298 ჰა მეჩევრ კორომებს უკავიათ და 1,4% ანუ 198 ჰა ველობებს. არა სატყეო ფართობებიდან საერთო ფართობის 2,0%, ანუ 280 ჰა უკავია სახმარ ფართობებს, მათ შორის სათიბებს 29 ჰა, ანუ 0,2% ; საძოვრებს 247 ჰა ანუ 1,8%.

კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზე დაცვის მთავარ ობიექტებს წარმოადგენენ მარადმწვანე ქვეტყიანი წაბლის და წიფლის ტყის ეკოსისტემები; მართვის მთავარი მიზნია კოლხეთის რელიქტური ფლორა და ფაუნა.

კინტრიშის დაცული ტერიტორიების მთიანი რელიეფი ღრმა ხეობებითაა დასერილი. ნაკრძალის წყლის მთავარი არტერია – მდინარე კინტრიში სათავეს ხინოს მთიდან იღებს და კურორტ ქობულეთის სიახლოვეს შავ ზღვაში ჩაედინება. მისი საერთო სიგრძე 45 კილომეტრია. ნაკრძალის დანარჩენი მდინარეები და ღელეებია: ხეკნარა, პერანგა, მამედაღი, დიდღელე, მისანათის ღელე, რომლებიც მთავარი მდინარის- კინტრიშის შენაკადება წარმოადგენს. მაღლა მთებში 2200 მეტრის სიმაღლეზე განლაგებულია ორი პატარა ტბა – ტბილელი და სიძერძალი, რომელთა ფართობი 1,5 ჰექტარს არ აღემატება. აქედან პირველი ტბა უშუალოდ ნაკრძალის ტერიტორიაზეა განლაგებული, მეორე კი – მის საზღვრებს გარეთ.

კინტრიშის დაცული ლანდშაფტი მოიცავს მდინარეების: კინტრიშის და ხეკნარას კალაპოტების მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების 500 მეტრიან ზოლს (მთელს სიგრძეზე მდ. ხეკნარასათვის და ზემო წელი მდ. კინტრიშისათვის, ანუ უშუალოდ კინტრიშის დაცული ტერიტორიის საზღვრების ფარგლებში).

კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზე ყველაზე დაბალი ჰიფსომეტრული ნიშნულია 350 მ ზღვის დონიდან (სადაც განლაგებულია დაცული ტერიტორიების მთავარი შესასვლელი და ვიზიტორთა ცენტრი), ყველაზე მაღალი კი მთა სარბიელა – 2471 მ ზღვის დონიდან.

ტყის ფონდის ინგენიერიზაციის ბოლო მონაცემებით (კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალის ტყის მეურნეობის ორგანიზაციის და განვითარების პროექტი, ტომი I, წიგნი I, ახსნა-განმარტებითი ბარათი, 1994), კინტრიშის დაცული ტერიტორიების ტყის ფონდის საერთო ფართობია 13350 ჰა, რაც დაცული ტერიტორიის მთლიანი ფართობის (13893 ჰა) 96,1%-ია. აქედან ტყით დაფარული ფართობია 12840 ჰა. 3,6% ანუ 496 ჰა ტყით დაუფარავია ; აქედან 2,2%, ანუ 298 ჰა მეჩერ კორომებს უკიავიათ და 1,4% ანუ 198 ჰა ველობებს.

არა სატყეო ფართობებიდან საერთო ფართობის 2,0%, ანუ 280 ჰა უკავია სახმარ ფართობებს, მათ შორის სათიბებს 29 ჰა, ანუ 0,2% ; საძოვრებს 247 ჰა ანუ 1,8%.

კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზე ყველაზე მეტი ფართობი უკავიათ წიფლით (*Fagus orientalis*) გაბატონებულ კორომებს (7129 ჰა/55,5%), შემდეგ მოდის წაბლნარი (*Castanea sativa*) კორომები (2862 ჰა/22,3%); შემდეგ მოდიან მურყნარები (*Alnus barbata, A. incana*) (456 ჰა/3,6%), რცხილნარები (573 ჰა/4,4%), წყავის (716 ჰა/5,6%) და შეკერის (*Rhododendron ponticum; Rh. Ungernii*) (767 ჰა/6,0%) კორომები (ცხრილი 2.1.1).

კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზე ტყის სარტყელისათვის დამახასიათებელი ძირითადი მცენარეული ასოციაციებია : *Alnetum sambucosum, Castanetum rhododendrosum, Fagetum mixtofruticosum, Fagetum laurocerasosum, Fagetum rhododendroso-laurocerasosum, Fagetum arctostaphylosum, Fage-tum azaleosum, Fagetum rubosum, Fagetum filicicosum, Fagetum nudum, Fagetum trachystemosum.*

სუბალპური და ალპური სარტყელებისათვის ძირითადად დამახასიათებელია სუბალპური *Fageta-s* და *Betuleta-s* ფორმაციები, ტყე-

ბუჩქნარების, მაღალბალახულობის, სუბალპური და ალპური მდელოების, აგრეთვე კლდის და ნაშალ ლორდიანების ფლორისტული კომპლექსები მესამეული პერიოდის კოლხური და კავკასიური ელემენტების მნიშვნელოვანი მონაწილეობით.

ტყით დაფარული ფართობების ყველაზე მეტი წილი (2834 ჰა/20,4%) მოდის ზღვის დონიდან 1001-1250 მ-მდე სიმაღლეებზე, შემდეგ მოდის ზღვის დონიდან 1501-750 მ-მდე სიმაღლეებზე განლაგებული კორომები (2640 ჰა/19,0%); ზღვის დონიდან 2000 მეტრს ზევით განლაგებული ფართობები უკავიათ ალპურ საძოვრებს და სუბალპურ მეჩერებს.

ტყის კორომების საერთო მარაგი შეადგენს 2227,9 ათას კბ.მ-ს, რომელთაგან ძირითადი წილი მოდის წიფლის (*Fagus orientalis*) (1598,5 ათასი კბ.მ) წაბლის (*Castanea sativa*) (4015 ათასი კბ.მ), რცხილის (*Carpinus caucasica*) (56,3 ათასი კბ.მ), მურყანის (*Alnus barbata, A. incana*) (49,6 ათასი კბ.მ) და ნაძვის (*Picea orientalis*) (40,4 ათასი კბ.მ) კორომებზე.

ხნოვანებითი ჯგუფების მიხედვით ტყით დაფარული ფართობების განაწილება ნაირგვარია, აქ წარმოდგენილია ყველა ხნოვანებითი ჯგუფი, რაც ტყეების ბიომრავალფეროვნების ერთ-ერთი მნიშნელოვანი ელემენტია ყველაზე მეტი ფართობი უკავიათ მწიფე და გადაბერებულ კორომებს (9355 ჰა/72,8%). მათ შორის გადაბერებული შეადგენს 4473 ჰა-ს, ანუ 34,8%-ს. შემდეგ მოდის შუახნოვანი კორომები (1292 ჰა/10,51%). ახალგაზრდა კორომებს უკავიათ მხოლოდ 75 ჰა ფართობი, ანუ 0,6% (ცხრილი 2.1.2).

ტყეების ზრდა-განვითარების ბუნებრივ-ფიზიკური პირობები, მათი პროდუქტიულობა და სიხშირე შემდეგი ტენდენციებით ხასიათდება: კინტრიშის დაცული ტერიტორიების ტყით დაფარული ფართობებიდან ყველაზე მეტი ფართობი ბონიტეტის III და IV კლასის კორომებზე მოდის, რომელთაც ტყით დაფარული ფართობების 66,8% ანუ 8582 ჰა უკავიათ. შემდეგ მოდის V ბონიტეტის კლასის ფართობები, რომლებსაც 27,7%, ანუ 3549 ჰა უკავიათ. შემდეგ მოდის I და II ბონიტეტის კლასის კორომები 1718 ჰა (13,3%) (ცხრილი 2.1.3).

კინტრიშის დაცული დაცული ტერიტორიების ტყით დაფარული ფართობის უდიდესი ნაწილი უკავიათ დაბალი სიხშირის (05 და <) კორომებს (14921 ჰა, ანუ 38,3%), საშუალო სიხშირის (0,6) კორომებს უკავიათ 4370 ჰა (34,0%); ხოლო მაღალი სიხშირის კორომებს (07 და >) უკავიათ 3549 ჰა, ანუ 27,7% ტყით დაფარული ფართობისა.

**ცხრილი 2.1.1 აჭარის დაცული ტერიტორიების ფართობების და მარაგების  
განაწილება გაბატონებული სახეობების მიხედვით**

გაბატონებული სახეობა	კინგრიშის დაცული ტერიტორიები		მტირალას ეროვნული პარკი		სულ	
	ფართობი (ჰა)	მარაგი (ათასი მ <sup>2</sup> )	ფართობი (ჰა)	მარაგი (ათასი მ <sup>2</sup> )	ფართობი (ჰა)	მარაგი (ათასი მ <sup>2</sup> )
1	2	3	4	5	6	7
მურყანი	<b>456,0</b>	<b>49,6</b>	<b>2044,0</b>	<b>234,8</b>	<b>2500,0</b>	<b>284,4</b>
%	3,6	2,2	13,0	11,45	8,76	6,65
რცხილა (თ+ა)	<b>573,0</b>	<b>80,8</b>	<b>789,8</b>	<b>101,03</b>	<b>1362,8</b>	<b>181,83</b>
%	4,5	3,6	5,03	4,92	4,77	4,25
წაბლი (თ+ა)	<b>2862,0</b>	<b>401,5</b>	<b>544,8</b>	<b>32,02</b>	<b>3406,8</b>	<b>433,52</b>
%	22,3	18,1	3,5	1,56	11,94	10,13
მუხა (თ+ა)	-	-	-	-	-	-
%						
წიფელი	<b>7129,0</b>	<b>1598,5</b>	<b>10288,0</b>	<b>1642,53</b>	<b>17417,0</b>	<b>3241,03</b>
%	55,5	71,7	65,53	80,10	61,02	75,75
ნაძვი	<b>139,0</b>	<b>40,4</b>	-	-	<b>139,0</b>	<b>40,4</b>
%	1,1	1,8	-	-	1,1	1,8
შექრი და წყავი	<b>1483,0</b>	<b>46,5</b>	<b>1700,0</b>	<b>34,22</b>	<b>3183,0</b>	<b>80,72</b>
%	11,5	2,1	10,82	1,67	11,15	1,04
სხვა მერქნიანები	<b>198,0</b>	<b>10,6</b>	<b>332,4</b>	<b>5,88</b>	<b>530,4</b>	<b>16,48</b>
%	1,5	0,5	2,12	0,3	1,26	0,38
სულ	<b>12840,0</b>	<b>2227,9</b>	<b>15699,0</b>	<b>2050,48</b>	<b>28539,0</b>	<b>4278,38</b>
%	100	100	100	100	100	100

**ცხრილი 2.1.2** აჭარის დაცული ტერიტორიების ტყით დაფარული ფართობების განაწილება ხნოვანებათა ჯგუფების მიხედვით

დაცული ტერიტორიები	ხნოვანებითი ჯგუფი			
	ახალგაზრდა	შუასნოვანი	მომწიფარი	მწიფე და უხნესი
კინტრიშის დაცული ტერიტორიები %	75 0,6	1292 10,4	2118 16,0	9355 73,0
მტირალას ეროვნული პარკი %	1758,3 11,2	12245,2 78,0	926,2 5,9	769,2 4,9

**ცხრილი 2.1.3** აჭარის დაცული ტერიტორიების ტყით დაფარული ფართობების განაწილება ბონიტეტის კლასებისა და სიხშირეების მიხედვით

დაცული ტერიტორია	ტყით დაფარული ფართობების განაწილება					
	ბონიტეტი			სიხშირე		
	I-II	III-IV	V	07 და >	06	05 და<
კინტრიშის დაცული ტერიტორიები %	1718,0 13,3	8582,0 66,8	2540,0 19,9	3549,0 27,7	4370,0 34,0	4921,0 38,3
მტირალას ეროვნული პარკი %	8854,2 56,4	5023,7 32,0	1821,1 11,6	2229,3 14,2	5573,1 35,5	7896,6 50,3

ტყის კორომებს შემდეგი საშუალო სატაქსაციო მაჩვენებლები გააჩნიათ:

- საშუალო ხნოვანება – 116 წელი
- საშუალო ბონიტეტი – III, 6
- საშუალო სიხშირე – 0,59
- კორომების საშუალო მარაგი 1 ჰა-ზე 174,0 კბმ.
- საშუალო შემატება 17,9 ათასი კბ.მ (ცხრილი 2.14)

კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალის დაარსებამდე (1959 წელი) მდ. კინტრიშის ხეობა ერთერთი მჭიდროდ დასახლებული ობიექტი იყო ტრადიციული კულტურით და სოფლის მეურნებით (მემცნარეობა, მეცნოველეობა და მეფუტკრეობა).

ხეობის მოსახლეობა ძირითადად თავმოყრილია, სუბტროპიკულ ზონაში. შეა საუკუნეების ციხე-სიმაგრე „ელიას ციხე“, თაღიანი ხიდები მდინარე კინტრიშზე და ეკლესია სოფელ ხინოში მიგვითოთებენ ხალხმრავალ წარსულზე (გორდელაძე, 1970; „ბუნების მატიანე“, 2008,2009,2010).

ახლო წარსულში მდ. კინტრიშის ხეობის მოსახლეობა საკმაოდ ხალხმრავალი იყო და ჰქონდა თავისებური ტრადიციები (მ. ბექაია 1960). ვარჯანაული, კობალაური, ცხემვანა, ზერაბოსელი და ხეკნარა, სადაც ახლა თითოოროლა კომლი ცხოვრობს, საკმაოდ დიდი სოფლები იყო. უკანასკნელი 50 წლის მანძილზე მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ბარად ჩამოსახლდა და ეს პირველ რიგში, უგზოობამ განაპირობა. ქობულეთის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ მთაში გზისა და ელექტროგადამცემი ხაზების გაყვანას სოფლების დაცლა ამჯობინა, ამის შედეგად შემცირდა ადამიანის ზემოქმედებაც ხეობის მთიანი ნაწილის მცენარეულ საფარზე, რომლის უმეტესი ნაწილი ამჟამად ნაკრძალს წარმოადგენს.

დღეს აქ მოსახლეობა გვხვდება მხოლოდ დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე და წარმოდგენილია 7 ყოფილი საოემო დასახლებით (ხინო, წერაკვეთი, ქათამური, დიდვაკე, მესხიქედი, ზერაბოსელი და ცხემვანა) ზამთარ-ზაფხულ მცხოვრები 3 ოჯახით (8-10 სული); 20 ოჯახი და 40 სული მოსახლე დროებით (მხოლოდ ზაფხულობით: აპრილიდან ნოემბრის ჩათვლით).

ცხრილი 2.1.4 აჭარის დაცული ტერიტორიების ტყის ფონდის ძირითადი სატაქსაციო მაჩვენებლები

ადმინისტრაციული ერთეული	საშუალო			მარაგი				შემატება		მწიფე და უნიტერადი კორომების ფართობები (ჰა)	
	სამართლებრივი მუნიციპალიტეტი	სამართლებრივი მუნიციპალიტეტი	სამართლებრივი მუნიციპალიტეტი	საერთო		მწიფე და უნიტერადი კორომების		საშუალო			
				ათასი მ <sup>3</sup>	ტყით დაფარული ფართობის 1 ჰა-ზე	ათასი მ <sup>3</sup>	ტყით დაფარული ფართობის 1 ჰა-ზე	ათასი მ <sup>3</sup>	ტყით დაფარული ფართობის 1 ჰა-ზე		
1	3	4	5	6	7	8	9	10	11		
მტირალას ეროვნული პარკი	141	II-6	0,62	2054,2	136,0	1343,4	205	20,4	1,3	9388,0	
კინტრიშის დაცული ტერიტორიები	116	III-6	0,59	2227,9	174,0	1774,7	190,0	17,9	1,4	9355,0	

სარგებლობს სახმარად გარგის ფართობებს (ძირითადად საძოვრების და სათიბების სახით, ნაწილობრივ მებოსტნეობისთვის და ხეხილოვნებისათვის). კინტრიშის დაცული ლანდშაფტის დროებით მოსარგებლები მოსახლეობას შეადგენს ძირითადად მდ. კინტრიშის ქვემო წელის სოფლების (სოფ. ქობულეთი, სოფ. ხუცუბანი, სოფ. ჭახათი და სხვა) მუდმივი მკვიდრები, რომელთა წინაპრებიც აქ ცხოვრობდნენ ნაკრძალის დაარსებამდე. წლების განმავლობაში აქ ჩამოყალიბებულმა დაცული ტერიტორიის მკაცრმა რეჟიმმა, რომელსაც ითვალისწინებს “ნაკრძალის” კატეგორია, მაქსიმალურად უზრუნველყო ანთროპოგენული ზემოქმედებების სეზონური გაოსისტემაზე. ფაქტიურად აქ რაიმე მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებას ბუნებრივ გაოსისტემებზე ადგილი არ აქვს. მუდმივ და სეზონურად მცხოვრები მოსახლეობის დამოკიდებულება აისახება მხოლოდ დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე პირიტყვის ძოვებით, შეზღუდული რაოდენობის თევზაობით, ველური ხილის და კენკრის შეგროვებით და აუცილებელი საჭიროების მერქნის მოპოვებით (ძირითადად საშეშე მერქანი, ჭიგოები და დამხმარე ნაგებობების აშენებისათვის). რაც შეეხება უშუალოდ ნაკრძალის ტყის გაოსისტემებზე ზემოქმედებას, ამ მხრივ ერთადერთი ზემოქმედებაა მეფუტკრება.

კინტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციასთან, რეინჯერებთან და უშუალოდ დაცული ლანდშაფტის მოსახლეობასთან გამოკითხვით დადგინდა, რომ კინტრიშის დაცული ტერიტორიების დაცულ ლანდშაფტში მემცენარეობას მისდევს 20 ოჯახი, რომელთა მიერ საშუალოდ წელიწადში იწარმოება შემდეგი რაოდენობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი:

სიმინდი: 8 ტონა

ლობიო: 1 ტონა

კარტოფილი: 6 ტონა

ბოსტნეული: 1 ტონა

ხილი: 5 ტონა

კინტრიშის დაცული ტერიტორიების დაცულ ლანდშაფტში მეცხოველეობას მისდევს 3 ოჯახი, მსხვილფეხა პირუტყვის რაოდენობა შეადგენს საშუალოდ 12 სულს; მათი ძოვება შემოიფარგლება მხოლოდ დაცული ლანდშაფტის ტერიტორიებით (ძირითადად მდინარისპირა მონაკვეთებით) და იგი მნიშვნელოვან ზეგავლენას არსებულ გაოსისტემებზე არ ახდენს.

მოსახლეობის მიერ მემცნარეობით და მეცხოველეობით ნაწარმოები პროდუქცია მთლიანად შიდა მოხმარებისთვისაა განკუთვნილი.

ტყის გაოსისტებში არამერქნული პროდუქტის (კაკალი, წაბლი, მოცვი, მაყვალი სოკო და სხვა) შეგროვებას, ასევე, მდინარეში თევზის მოპოვებას აქვს მხოლოდ და მხოლოდ შიდა მოხმარების დანიშნულება, და ფაქტიურად არანაირ უარყოფითი ზემოქმედებას ეკოსისიტემებზე არ ახდენს.

განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს აქ ნაწარმოები თაფლი. ბოლო 5 წლის საშუალო მონაცემებით, კინტრიშის დაცული ტერიტორიების დაცულ ლანდშაფტში მეფუტკრეობას მისდევს 20 მეფუტკრე, ფუტკრის ოჯახების რაოდენობა შეადგენს 300, ყოველწლიურად იწარმოება 2-დან 3 ტონამდე თაფლი. თაფლის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი აქაური მუდმივი და დროებითი მაცხოვრებლების ყველაზე სტაბილური შემოსავლის წყაროა.

ხელოსნობით, ან სამკურნალო მცენარეების შეგროვებით, თევზის მოშენებით აქ ფაქტიურად არავინაა დაკავებული.

კარიერები და ინერტული მასალების მოპოვების ადგილები და ხანძრების ფაქტები კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზე არ აღინიშნება.

მთის ფერდობებზე განლაგების, დასახლებულ პუნქტებთან და ზღვასთან სიახლოვის გამო, ტყეებს ასევე უაღრესად დიდი მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ სანიტარულ-ჰიგიენური, ესთეტიკური, ისტორიული, სამეცნიერო და სხვა სოციოლოგიური თვალსაზრისით. საბაზრო ეკონომიკის პირობებში აჭარის დაცულ ტერიტორიებში მთავარი სარგებლობით ჭრები, სამასალე და საშემე მერქნით სარგებლობა კანონით გათვალისწინებული არ არის.

კინტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის ოფიციალური მონაცემებით დაცული ლანდშაფტის მუდმივი და დროებითი მცხოვრებლებისათვის აუცილებელი საჭიროების მერქნის (ძირითადად საშემე მერქანის) ლეგალიზებული გაცემის მოცულობები მერყეობს 30-დან 60 კუბ.მ-მდე ფარგლებში. მაგალითად,

2009 წელში გაიცა 53,0 კუბ.მ საშემე მერქანი

2010 წელში გაიცა 42,0 კუბ.მ საშემე მერქანი

2011 წელში გაიცა 37 კუბ.მ საშემე მერქანი

2012 წელში გაიცა 55,92 კუბ.მ საშემე მერქანი

ბოლო 10 წლის განმავლობაში კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზე უკანონო ხე-ტყის მოპოვება, ნადირობა, თევზაობა ან სხვა დარღვევა არ დაფიქსირებულა

კინტრიშის დაცული ტერიტორიები სახელმწიფოს დაცვის ქვეშ მყოფი ობიექტია. უშუალოდ “ნაკრძალის” მონაკვეთზე მაქსიმალურად შეზღუდულია ადამიანის დაშვება. ნაკრძალში ვიზიტორთა სესვლა ნებადართულია მხოლოდ სამუცნიერო და საგანმანატლებლო მიზნით ადმინისტრაციასთან შეთანხმებულ მარშრუტებზე. ტურისტებისათვის თავისუფალი გადაადგილება ნებადართულია მხოლოდ დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე.

კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზე ტურისტებისათვის მომსახურებისათვის მოწყობილია ვიზიტორთა ცენტრი 2 სასტუმრო ნომრით, 2 და 4 ადგილიანი.

კინტრიშის დაცულ ტერიტორიების დაცული ლანდშაფტის ზონაში 2012 წლიდან ამოქმედდა 1 საოჯახო სასტუმრო.

ვიზიტორთა სტატისტიკა კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზე ასეთია:

2007 წელი: 0

2008 წელი: 458

2009 წელი: 1577

2010 წელი: 3464

2011 წელი: 3212

2012 წელი: 4800

ბუნებრივი კატასტროფების (წყალდიდობები, მეწყერები და სხვა) ფაქტები კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზე არ აღინიშნება.

## 2.2 მტირალას ეროვნული პარკი (ტყის ფონდი, მოსახლეობა და ტრადიციული მეურნეობა)

საქართველოში დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარების ახალი ეტაპის კონტექსტში, მტირალას ეროვნული პარკის შექმნას წინ უსწრებდა ჯერ კიდევ 1997-98 წლებში მტირალას ეროვნული პარკის სადამფუძნებლო გეგმის შემუშავება ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდისა (WWF) და გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) ხელშეწყობით. სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური ფაქტორის გამო, ამ პერიოდში, ვერ მოხერხდა აღნიშნული გეგმის განხორციელება. უნდა

აღინიშნოს, რომ მტირალას ეროვნული პარკის მთელი რიგი მირითადი პარამეტრები (მდებარეობა, ფართობი) სწორედ 1997-98 წწ-ის სადამფუძნებლო გეგმის მიხედვით არის შემუშავებული. აღსანიშნავია, რომ მტირალას ეროვნული პარკის ტერიტორია მოიცავს ყოფილი ცისკარას სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიას. ეს მონაკვეთი, ისევე, როგორც მთლიანად მტირალას ეროვნული პარკი, თავისი მდებარეობის (აჭარა-იმერეთის დასავლეთ, კოლხეური რელიეფური ტყით დაფარულ ნაწილი – ნოტიო კლიმატის უკლაზე მეტად გამოხატული ზემოქმედების არე), კომპაქტურობის, ბიომრავალფეროვნების, ენდემური და რელიეფური სახეობების სიმრავლის, დამახსასიათებელი ლანდშაფტებისა და ამ ტერიტორიაზე არსებული ტყეების დაცვითი ფუნქციების გამო დღემდე წარმოადგენს საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სამეცნიერო წრეების ყურადღების საგანს. ფაქტიურად, აღნიშნულ ტერიტორიაზე, უკლაზე ხელუხლებელ მდგრმარეობაში არის შენარჩუნებული კოლხეური ტყეების ეკოსისტემები მთელ შავი ზღვისპირეთის რეგიონში – რაც, გამორჩეულ ეკოლოგიურ, ეკონომიკურ და სოციალურ ფასეულობას ანიჭებს მას.

მტირალას ეროვნული პარკის დაფუძნების თავდაპირველი გეგმის იდეის განახლებისა და შესაბამისად, მტირალას ეროვნული პარკის დაარსების ფორმალური პროცესის დაწყება 2004 წლის მეორე ნახევრიდან, ქვეყანასა და განსაკუთრებით კი აჭარაში მომხდარი პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური ცვლილებების შემდგომ, გახდა შესაძლებელი. აღნიშნული პროცესი, რომელიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ინიციატივას წარმოადგენდა, საბოლოოდ დასრულდა 2006 წელს – მტირალას ეროვნული პარკის შექმნის თაობაზე საკანონმდებლო აქტის მიღებით. იმავე საკანონმდებლო აქტითვე განისაზღვრა მტირალას ეროვნული პარკის შექმნის მიზანი –აჭარის უნიკალური ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნების შენარჩუნება, კოლხეური ტყეების ეკოსისტემების გრძელვადიანი დაცვა, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და ბუნებრივ გარემოში ეკოტურისტული და რეკრეაციული საქმიანობის განვითარების უზრუნველყოფა.

მტირალას ეროვნული პარკის საერთო ფართობია 15806 ჰა (მათ შორის ტყით დაფარულია 15699 ჰა); ფუნქციური ზონების მიხედვით პარკის ტერიტორია შემდეგნაირადაა გადანაწილებული: ბუნების მკაცრი დაცვის ზონა: 2584 ჰა

(16,3%), ვიზიტორთა ზონა: 8519 პა (53,9%), ტრადიციული გამოყენების ზონა: 4703 პა (29,8%).

მტირალას ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონის საერთო ფართობი 4703 პა, მტირალას ეროვნული პარკის დამხმარებულებული ზონის ტყის ფონდის მიწები 7842 პა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისა და დასახლებათა მიწები 2360 პა (სულ 14905 პა), ეს ის ტერიტორიებია, სადაც უშუალოდ უწევს მოსახლეობას ტყის ეკოსისტემებით და აგროეკოსისტემებით სარგებლობა (ტყის მერქნითი და არამერქნითი პროდუქტების მოპოვება და სოფლის მეურნეობა: მემცნარეობა და მცხოვრებლები).

მტირალას ეროვნული პარკის მიმდებარე სოფლებია: ქობულეთის მუნიციპალიტეტი – გორგაძეები, ხალა, ჩაისუბანი, ზედა და ქვედა დაგვა, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი – განთიადი, ჩაისუბანი, ახალშენი, ხეყრუ. ქედის მუნიციპალიტეტი – ზუნდაგა, პირველი მაისი, ზესოფელი. ამ სოფლების მოსახლეობა წარმოდგენილია 4468 ოჯახით და 16620 მცხოვრებით.

დღემდე ამ მოსახლეობისათვის ერთადერთ სათბობ წყაროს წარმოადგენს მერქანი. სევე უხსოვარი დროიდან საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის მთლიანად ან ნაწილობრივ გამოიყენება ისეთი ძირფასი მერქნიანი სახეობები, როგორებიცაა აღმოსავლური წიფელი (*Fagus orientalis*) და ჩვეულებრივი წაბლი (*Castanea sativa*)

ხნოვანების ჯგუფების მიხედვით ტყეები ძირითადად წარმოდგენილია შუახნოვანი, მომწიფარი მწიფე და მწიფეზე უხნესი კორომებით (88,8 %), ისინი უმთავრესად ხელუხლებელი ტყეებია. ბონიტეტის კლასების მიხედვით ყველაზე დიდი ხვედრითი წილი (56,4%) ბონიტეტის I და II კლასზე მოდის; ტყის სიხშირის მიხედვით ყველაზე დიდი ხვედრითი წილი (35,5%) მოდის 0,6 სიხშირის კორომებზე.

ტყის კორომების საერთო მარაგი შეადგენს 2054,2 ათას კბმ-ს, მათ შორის ძირითადი ხვედრითი წილი მოდის წიფელზე - 1814,4 კბ.მ.

ტყის კორომების 75% განლაგებულია ზღვის დონიდან 500–1500 მ სიმაღლეზე, ხოლო 93% კი 21<sup>0</sup>-ზე მეტი დაქანების ფერდობებზე.

ტყის კორომებს შემდეგი საშუალო სატაქსაციო მაჩვენებლები გააჩნიათ:

- საშუალო ხნოვანება – 141 წელი
- საშუალო ბონიტეტი – II-6
- საშუალო სიხშირე – 0,62

- კორომების საშუალო მარაგი 1 პა-ზე 205,0 კბ.მ
- საშუალო შემატება 20,4 ათასი კბ.მ

მტირალას მონაკვეთის ტყის მასივები (ყოფილი საკოლმეურნეო ტყეების გარდა) მდებარეობენ დასახლებული პუნქტებიდან მოშორებით და მათზე ანთროპოგენული ზეგავლენა უმნიშვნელოა (ან ამგვარი გავლენა საერთოდ არ შეინიშნება). დასახლებული პუნქტებიდან სიშორის გამო ტყის ამ მასივებში საქონლის ძოვებას ადგილი არა აქვს.

სპეციალური გამოკვლევის (ტერიტორიის ადგილზე დათვალიერება, ექსპერტული შეფასება და ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვა) შედეგად დადგენილ იქნა ხელუხლებელი, ნაკლებად სახეცვლილი და ის ტერიტორიები, სადაც სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ინტენსივობით განხორციელდა ხე-ტყის დამზადების სამუშაოები.

აღნიშნული გამოკვლევის შედეგად, ტყეების ფუნქციონალური მდგომარეობის ხარისხის მიხედვით, გამოვლენილი იქნა სამი კატეგორია: ხელუხლებელი, ნაკლებად სახეცვლილი და ჭრაგავლილი ტყეები/ტერიტორიები. ხელუხლებელი (სადაც ჭრები არ განხორციელებულა) და ნაკლებად სახეცვლილი (სადაც ჭრები განხორციელებულია მცირე ინტენსივობით) ტყეების/ტერიტორიების საერთო ფართობი შეადგენს მტირალას მონაკვეთის ტყით დაფარული ფართობების დაახლოებით 77%-ს. ტყის ფონდის დანარჩენ ნაწილში სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ინტენსივობით (არც თუ იშვიათად ჭრის წესების დარღვევით) განხორციელებულია ხე-ტყის დამზადების სამუშაოები.

ხე-ტყის დამზადებას გასული საუგუნის 90-იან წლებამდე ძირითადად პქონდა სამრეწველო ხასიათი, ხოლო 90-ანი წლებიდან დაშვებული იქნა მხოლოდ შემის დამზადება ტყის ფონდის მიწების მდებარე სოფლების მცხოვრებთა პირადი/ინდივიდუალური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

ხე-ტყის დამზადება ძირითადად წარმოებდა სპეციალურად გაყვანილი ტყესაზიდი სამანქანე და სატრაქტორო გზების მიმდებარედ (100-150 მ. ზოლში გზის თითოეულ მხარეს). ხშირად ადგილი პქონდა ჭრის წესებისა და ტექნოლოგიების დარღვევის ფაქტებს, ხე-ტყის ჩახერგილობას. მაღალი ინტენსივობის ჭრები იქნა განხორციელებული გავაკებულ ტერიტორიებზე, ზოგიერთ შემთხვევაში ცალკეულ ფართობებზე (1 ჰა-მდე) ადგილი პქონდა

ტყეების თითქმის პირტმინდად მოჭრას. იშვიათობას არც უკანონო/უწევებართვო ჭრები წარმოადგენდა.

ზემოთ აღნიშნული ოვალსაზრისით, მდგომარეობა უკანასკნელი წლების მანძილზე რადიკალურად გაუმჯობესდა. საგარაუდოა, რომ მომავალში, მოსახლეობის სასიცოცხლო პირობების გაუმჯობესებისა და შესაბამისად შეშაზე მოთხოვნილების კლების კვალდაკვალ, მდგომარეობა კიდევ უფრო გაუმჯობესდება.

უნდა აღინიშნოს, რომ ხელსაყრელი კლიმატური პირობების წყალობით ძირითადი მერქნიანი სახეობების ბუნებრივი განახლება მეტწილად დამაკმაყოფილებელია. თუმცა არის შემთხვევები, როდესაც ჭრაგავლილი ტერიტორიები დაფარულია მაყვლით, გვიმრით, მაღალბალახეულობით, ბუჩქნარებით. ჭრაგავლილ ტერიტორიებზე ნიადაგის ეროზიულ პროცესებს ინტენსიური ხასიათი არა აქვს. ამასთან ერთად, მოუვლელობის გამო ადგილი აქვს გზების დახრამვას, ზოგიერთ ადგილებში ფერდობების ჩამოშლას.

ჭრაგავლილი ტერიტორიები (რომლებიც, ფაქტობრივად, გზების მიმდებარედ არის განლაგებული) და ტყესაზიდი გზები მომავალში მუდმივი მონიტორინგის, დაცვის და აღდგენის ობიექტს უნდა წარმოადგენდეს. არსებულ გზებზე საჭიროა განხორციელდეს სამუშაოები, რომელთა შედეგად თავიდან იქნება აცილებული ფერდობების ჩამოშლისა და დახრამვის მოვლენები. ამგვარი გზები მომავალში შეიძლება გამოყენებული იქნეს ტურისტული მიზნით.

მეტად მნიშვნელვანი ფაქტია ის, რომ ეროვნული პარკის ტერიტორიაზე პრობლემას წარმოადგენს საქონლის მიერ ტყეების დაზიანების საკითხი. აქ საქონელი იმყოფება მეტად შეზღუდულ ტერიტორიაზე; უშუალოდ პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაში, მაგალითად სოფ. ჩაქვისთავის ტერიტორიაზე 50-მდე სული თხა და 20-მდე სული მსხვილფეხა საქონელია, დაახლოებით იგივე რაოდენობაა სოფ. ყოროლისთავის მიმდებარე ტერიტორიაზე, მათი გავლენა ტყეების მდგომარეობაზე უმნიშვნელოა ასევე პირუტყვის ძოვების ზეგავლენა პარკის ბუფერული ზონის ტყის ფართობებზე.

2006-2010 წლებში სამასალე ხე-ტყის დამზადების რაოდენობა სრულიად სრულიად შეიზღუდა (არ იქნა დაშვებული პარკის აღმინისტრაციის და ბუფერული ზონის სატყეო სამსახურების მიერ); რაც შეეხება საშეშე მერქანს მისი რელური საჭიროება უშუალოდ მტირალას ეროვნული პარკის ბუფერული

ზონის სოფლებში შეადგენს ყოველწლიურად 15100 კუბურ მეტრამდე მერქანს და ვინაიდან სხვა ალტერნატიული საწვავი მოსახლეობას არ გააჩნია, უნდა ვიგულისხმოთ, რომ საშეშე მერქანის ეს რაოდენობა ყოველწლიურად რეალურად მზადდება მოსახლეობის მიერ მტირალას ეროვნული პარკის ბუფერული ზონის სოფლებში.

მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ოფიციალური მონაცემებით, უშუალოდ მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციულ საზღვრებში ლიცენზირებული საშეშე მერქნის მოპოვების მოცულობამ შეადგინა:

2007 წელი: არ იქნა დაშვებული

2008 წელი: დაიშვა 3232,02 კუბ.მ (ათვისებულია 1050,39 კუბ.მ)

2009 წელი: დაიშვა 2298,55 კუბ.მ (ათვისებულია 830,00 კუბ.მ)

2010 წელი: დაიშვა 2798,99 კუბ.მ (ათვისებულია 1148,89 კუბ.მ)

2011 წელი: დაიშვა 1519,07 კუბ.მ (ათვისებულია 205,38 კუბ.მ)

2012 წელი დაიშვა 184,44 კუბ.მ (ათვისებულია 758,96 კუბ.მ)

მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ოფიციალური მონაცემებით უშუალოდ მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციულ საზღვრებში დაფიქსირებულია უკანონო ხე-ტყის მოპოვება:

2007 წელი: მერქანის უკანონო მოპოვება, ხე-ტყის მოცულობა 9,83 კუბ.მ

2008 წელი: მერქანის უკანონო მოპოვება, ხე-ტყის მოცულობა 6,59 კუბ.მ

2009 წელი: მერქანის უკანონო მოპოვება, ხე-ტყის მოცულობა 16,48 კუბ.მ

2010 წელი: მერქანის უკანონო მოპოვება, ხე-ტყის მოცულობა 7,54 კუბ.მ

2011 წელი: მერქანის უკანონო მოპოვება, ხე-ტყის მოცულობა 0,674 კუბ.მ

2012 წელი: მერქანის უკანონო მოპოვება, ხე-ტყის მოცულობა 1,40 კუბ.მ

მტირალას ეროვნული პარკის ბუფერული ზონის სატყეო ფართობებზე სატყეო სამსახურების მიერ ლიცენზირებული ხე-ტყის მოპოვება:

2007 წელი: მერქანის ლიცენზირებული მოპოვება, ხე-ტყის მოცულობა 1695,00 კუბ.მ

2008 წელი: მერქანის ლიცენზირებული მოპოვება, ხე-ტყის მოცულობა 2983,00 კუბ.მ

2009 წელი: მერქანის ლიცენზირებული მოპოვება, ხე-ტყის მოცულობა 1399,00 კუბ.მ

2010 წელი: მერქანის ლიცენზირებული მოპოვება, ხე-ტყის მოცულობა 1730,00 კუბ.მ

2011 წელი: მერქანის ლიცენზირებული მოპოვება, ხე-ტყის მოცულობა 1879,00 კუბ.მ

2012 წელი (01 იანვარი-15 ოქტომბერი): მერქანის ლიცენზირებული მოპოვება, ხე-ტყის მოცულობა 1789,30 კუბ.მ

მტირალას ეროვნული პარკის ბუფერული ზონის სატყეო ფართობებზე სატყეო სამსახურების მიერ დაფიქსირებულია უკანონო ხე-ტყის მოპოვება:

2007 წელი: მერქანის უკანონო მოპოვება, ხე-ტყის მოცულობა 41,95 კუბ.მ

2008 წელი: მერქანის უკანონო მოპოვება, ხე-ტყის მოცულობა 5,52 კუბ.მ

2009 წელი: მერქანის უკანონო მოპოვება, ხე-ტყის მოცულობა 17,69 კუბ.მ

2010 წელი: მერქანის უკანონო მოპოვება, ხე-ტყის მოცულობა 54,30 კუბ.მ

2011 წელი: მერქანის უკანონო მოპოვება, ხე-ტყის მოცულობა 5,81 კუბ.მ

2012 წელი (01 იანვარი-15 ოქტომბერი): მერქანის უკანონო მოპოვება, ხე-ტყის მოცულობა 5,82 კუბ.მ

მტირალას ეროვნული პარკის ბუფერულ ზონაში და ასევე, მასთან უშუალო სიახლოეს (მის მიმდებარე ტერიტორიაზე) მდებარე სოფლების მცხოვრებთა შემოსავლის ძირითადი წყარო სოფლის მეურნეობიდან მიღებული შემოსავლებია. კერძოდ, ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში ძირითადად აწარმოებენ ბოსტნეულს, ციტრუსს, ხეხილს. ტრადიციულად განვითარებულია მემარცვლეობა, მეხილეობა და მეკარტოფილეობა, ხოლო ქედის მუნიციპალიტეტის სოფლებში (შედარებით ნაკლებ ტენიან პირობებში) – მევენახეობა და მეთამბაქოეობა.

ადგილობრივ მოსახლეობასთან და ოემების ხელმძღვანელებთან გამოკითხვით დადგინდა, რომ მტირალას ეროვნული პარკის ბუფერულ ზონაში მემცენარეობას მისდევს 3019 ოჯახი; სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე მტირალას ეროვნული პარკის დაარსებიდან (2006) დღემდე საშუალოდ წელიწადში იწარმოება შემდეგი რაოდენობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი:

სიმინდი: 571,2 ტონა

ლობიო: 57,6 ტონა

პარტოფილი: 340,8 ტონა

ბოსტნეული: 304,9 ტონა

ხილი: 1249 ტონა

კურძენი: 209,7 ტონა

ციტრუსი: 6700 ტონა

თამბაქო: 11 ტონა

სასოფლო მეურნეობები, ძირითადად, საოჯახო მასშტაბებისაა (ოჯახური მეურნეობები ან/და შინამეურნეობები) და მათ მიერ წარმოებული პროდუქციის დიდი ნაწილი ძირითადად საკუთარი (შიდა) მოხმარებისათვის არის განკუთვნილი, პროდუქციის მხოლოდ მცირე ნაწილის რეალიზაცია ხდება ბაზარზე. ადგილობრივ მოსახლეობაში გავრცელებული აზრით შესაძლებელია წარმოებული პროდუქციის ოდენობის გაზრდა, თუმცა ეს ეკონომიკურად მომგებიანი არ იქნება – იმდენად, რამდენადაც არსებობს ტრანსპორტირების, გასაღების ბაზრისა და დაბალი საშემსყიდვების პასების პრობლემა.

უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურის ხვედრითი წილი მოხმარებისა და რეალიზაციის სტრუქტურაში მკვეთრად განსხვავებულია. მაგალითად, მტირალას ეროვნული პარკის და მისი მიმდებარე ტერიტორიაზე წარმოებული სიმინდის, ლობიოსა და კარტოფილის მოსავალი მთლიანად საკუთარი (შიდა) მოხმარებისათვისაა გამოყენებული, მაშინ როდესაც ციტრუსოვანების, თამბაქოს, ხილის და ბოსტნეულის მოსავლის გარკვეული ნაწილის რეალიზება ხდება.

მტირალას ეროვნული პარკის დამხმარებულებულ ზონაში მემკეოველების მისდევს 2400 ოჯახი, მსხვილფეხა პირუტყვის რაოდენობა შეადგენს საშუალოდ 4200 სულს; საშუალოდ წელიწადში იწარმოება ხორცი 242 ტონა, რამ 1172800 ლიტრი.

2012 წლის მონაცემებით, მტირალას ეროვნული პარკის დამხმარებულ ზონაში მეფუტკრეობას მისდევს 116 მეფუტკრე, ფუტკრის ოჯახების რაოდენობა შეადგენს 4510, ყოველწლიურად იწარმოება 40-დან 115 ტონამდე თაფლი.

მტირალას ეროვნული პარკის ბუფერულ ზონაში, უშუალოდ ტყის ეკოსისტემებში არამერქნული პროდუქტის შეგროვებით დაკავებულია 964 ოჯახი; შეეგროვებული პროდუქციის მოცულობა ყოველწლიურად საშუალოდ შეადგენს:

წაბლი: 41,6 ტონა

პაკალი: 141, 8 ტონა

მოცვი: 15,4 ტონა

მაყვალი: 2,5 ტონა

სოკო: 1,5 ტონა

დეკორატიული მცენარეების შეგროვებით და რეალიზაციით დაკავებულია:

თეთრყვავილას (Galanthus) თაიგულები: 12 ოჯახი

ყოჩივარდას (Cyclamen) თაიგულები: 20 ოჯახი

ძმერხლის (Ruscus) ფოთლები: 33 ოჯახი

ყვავილების მოყვანა საობურში: 3 ოჯახი

თითქმის ყველა ოჯახს გააჩნია ტრადიცია ველური ფლორის დეკორატიული მცენარეების გამოყენებისა საკარმილამო ეზოების დეკორაციებისა და გამწვანებისათვის.

სამკურნალო მცენარეების შეგროვებით და ფარმაცევტულ ფირმებზე მიწოდებით დაკავებულია 10 ოჯახი.

ხელოსნობით (ხელსაქმით) დასაქმებული ოჯახების რაოდენობა შეადგენს 85-ს, მათ შორის ლითონის დამუშავება: 4, ხის დამუშავება: 66, როვა-ქსოვა: 15.

მტირალას ეროვნული პარკი და მისი ბუფერული ზონა მდიდარია სასმელი წყლის რესურსებით; სათავე წყაროების რაოდენობა შეადგენს 603-ს, სათავე წყაროების ავზების საელტო მოცულობა შეადგენს 1157 ტონას. სასმელი წყლით, რომელიც სათავეს იღებს მტირალას ეროვნულ პარკში სარგებლობს მიმდებარე (ბუფერული ზონის) სოფლების 4468 ოჯახი 16620 ადამიანით.

ირიგაციის მიზნით წყლის გამოყენებას ადგილი არ აქვს.

მტირალას ეროვნული პარკის მთავარი არტერიით -მდ. ჩაქვისწყალის სასმელი წყლით მარაგდება ქ ბათუმი (150000-მდე მოსახლეობით და ქალაქის ინფრასტრუქტურით); წყალსაცავის გამტარობა შეადგენს 850000 კბ.მ-ს დღე-დამეში.

მტირალას ეროვნულ პარკში და მის ბუფერული ზონაში კუსტარული წარმოების 22 მინიპიდროელექტროსადგურია, რომელთა ენერგიის საერთო სიმძლავრეა 107,5 კილოვატი და რომლითაც სარგებლობს 66 ოჯახი.

მტირალას ეროვნული პარკსა და ბუფერულ ზონაში ფუნქციონირებს 30 თევზის მეურნეობა, რომელიც აწარმოებს სასუალოდ 142 ტონა თევზს (ძირითად ამერიკული კალმახი), ამ დარგით დასაქმებულია 42 ოჯახი.

ბუნებაში თევზაობას მისდევს 56 მეთევზე, რომლებიც მოიპოვებენ დაახლოებით 400 კგ მდინარის თევზს წელიწადში.

მტირალას ეროვნული პარკის დაარსებიდან (2006წელი) დღემდე უშუალოდ პარკის და მის ბუფერულ ზონაში ახალი გზების მშენებლობა არ განხორციელებულა. ოკონსტუქცია-განახლება ჩატარდა დაბა ჩაქვიდან სოფ. ჩაქვისთავის (სადაც განთავსებულია მტირალას ეროვნული პარკის ვიზიტორთა ცენტრი) 12 კმ-იან საავტომობილო გზას და სოფ. ყოროლისთავიდან მთა პატარა მტირალამდე (სადაც იგეგმება ტურისტული სადგომი) 12 კმ-იან საავტომობილო გზას.

კარიერები და ინერტული მასალების მოპოვების ადგილები და ხანძრების ფაქტები მტირალას ეროვნული პარკის და მის მიმდებარე ბუფერულ ზონაში არ აღინიშნება.

მტირალას ეროვნულ პარკში ტურისტებისათვის მომსახურებისათვის მოწყობილია ვიზიტორთა ცენტრი 4 სასტუმრო ნომრით, თითოეული 2 ადგილიანი ტურისტთა თავშესაფარი 8 ადგილიანი. საშუალოდ პარკს ყოველწლიურად 10 000 ვიზიტორი სტუმრობს. პარკს სტუმრობს ერთდღიან ვიზიტით ძირითადად სკოლის მოსწავლეები, ექსკურსიების სახით საშუალოდ 35-40 ვიზიტორი. სხვა ვიზიტორები საშუალოდ 60 კაცი. ორდღიანი ვიზიტორების რიცხვი საშუალოდ შეადგენს 10-15 კაცი. ვიზიტორები რჩებიან პარკში არსებულ ვიზიტორთა ცენტრის სასტუმროში და ასევე საოჯახო სასტუმროებში 2 ან 3 დღით.

ტურიზმის სექტორში დასაქმებულია: მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციიდან: 2 გიდი (ინსტრუქტორი) და პარკის ადმინისტრაციაში ვიზიტორთა მომსახურების 1 სპეციალისტი.

- ტურისტთა თავშესაფარი 8 ადგილიანი: ჯერ არ არის ცნობილი
- ცხენით მომსახურება: 6 ადამიანი
- საოჯახო სასტუმრო: 6 ადამიანი

ვიზიტორთა სტატისტიკა მტირალას ეროვნულ პარკში ასეთია:

2007 წელი: 69

2008 წელი: 628

2009 წელი: 2533

2010 წელი: 15350

2011 წელი: 19400

2012 წელი (01 იანვარი-15 ოქტომბერი): 19137

აჭარის აგტონომიური რესპუბლიკის გეოლოგიის და სამთო საქმის დეპარტამენტის მეწყერსაწინააღმდეგო სამსახურის მონაცემებით მტირალას ეროვნული პარკის ბუვერული ზონის სოფლებში:

2005 წლის საანგარიშო პერიოდისათვის:

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მხრიდან: დანგრეულია და საცხოვრებლად უვარგისია 9 საცხოვრებელი შენობა, 10 ოჯახი იმყოფება საშისი გეოლოგიური პროცესების აქტიურ ზონაში, პროფილაქტიკური და გასამაგრებელი სამუშაოებია ჩასატარებელი 121 საცხოვრებელ შენობაზე, 19 ოჯახი იმყოფება გეოლოგიური პროცესების განვითარების ზონაში, რომლებიც აყვანილია მუდმივი რეჟიმები და კვირვების ობიექტები.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მხრიდან: დანგრეული და საცხოვრებლად უვარგისია 3 საცხოვრებელი შენობა, 17 ოჯახი იმყოფება საშიში გეოლოგიური პროცესების აქტიურ ზონაში; პროფილაქტიკური და გასამაგრებელი სამუშაოებია ჩასატარებელი 108 საცხოვრებელ შენობაზე, 9 ოჯახი იმყოფება გეოლოგიური პროცესების განვითარების ზონაში, რომლებიც აყვანილია მუდმივი რეჟიმები და კვირვები ობიექტები.

ქედის მუნიციპალიტეტის მხრიდან: უვარგისია 9 საცხოვრებელი შენობა, 22 ოჯახი იმყოფება საშიში გეოლოგიური პროცესების აქტიურ ზონაში. როფილაქტიკური და გასამაგრებელი სამუშაოებია ჩასატარებელი 60 შენობაზე და საკარმიდამო ნაკვეთზე, 57 ოჯახი იმყოფება გეოლოგიური პროცესების განვითარების ზონაში და აყვანილია არიან მუდმივი რეჟიმები და კვირვების ობიექტები.

2008 წლის საანგარიშო პერიოდისათვის:

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მხრიდან: 2008 წელს განვითარებული მეწყერელი პროცესების შედეგად დაზიანდა 154 საცხოვრებელი სახლი აქედან:

- საცხოვრებელი სახლები, რომლებიც სტიქიურ-გეოლოგიური (მეწყერი, დიდოვლობა, ქარბორბალა) პროცესების შედეგად დაზიანდა და საცხოვრებლად საფრთხეს წარმოადგენს – 112 საცხოვრებელი სახლი. დაიღუპა 6 ადამიანი.
- საცხოვრებელი სახლები, რომლებსაც ესაჭიროება სარემონტო პროფილაქტიკური სამუშაოები და მიმდებარე ტერიტორიაზე უახლოეს მომავალში აუცილებელია ფერდასამგრი სამუშაოები – 42 საცხოვრებელი სახლი.
- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მხრიდან: 2008 წელს განვითარებული მეწყერელი პროცესების შედეგად დაზიანდა 154 საცხოვრებელი სახლი

აქედან:

- საცხოვრებელი სახლები, რომლებიც სტიქიურ-გეოლოგიური (მეწყერი, დიდთოვლობა, ქარბორბალა) პროცესების შედეგად დაზიანდა და საცხოვრებლად საფრთხეს წარმოადგენს – 117 საცხოვრებელი სახლი. დაიღუპა 5 ადამიანი.
- საცხოვრებელი სახლები, რომლებსაც ესაჭიროება სარემონტო პროფილაქტიკური სამუშაოები და მიმდებარე ტერიტორიაზე უახლოეს მომავალში აუცილებელია ფერდასამგრი სამუშაოები – 37 საცხოვრებელი სახლი.

ქედის მუნიციპალიტეტის მხრიდან: 2010 წელს განვითარებული მეწყერელი პროცესების შედეგად დაზიანდა 165 საცხოვრებელი სახლი (ზვარე-15; მახუნცეთი-48; პირველი მაისი-48; წონიარისი-54)

რაც შეეხება სტიქიურ-გეოლოგიური მოვლენებით ტყის ეკოსისტემების დაზიანებას, ამ მხრივ მნიშვნელოვანი ან საყურადღებო ფაქტი არ დაფიქსირებულა.

აჭარის დაცული ტერიტორიების განვითარების პრიორიტეტული მიმართულებებია ტყეების ნიადაგდაცვითი და წყალმარებულირებელი ფუნქციების გაძლიერება, სამერქნე და არასამერქნე პროდუქციის გეგმაზომიერი და რაციონალური გამოყენება ისე, რომ გარემოს ზიანი არ მიაღეს, არ მოიშალოს ტყეების სასარგებლო სოციალური ფუნქციები, განსაკუთრებით სანიტარულ-ჰიგიენური, ესოებიკური და ტურისტული ოვალსაზრისით. ყოველივე ამას, სხვა გარემოებებთან ერთად, ხელს უწყობს ქვეყნის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა და მესამეული პერიოდის კოლხური ფლორისთვის დამახასიათებელი მაღალი და მრავალფუნქციური ღირებულებების მქონე მრავალფეროვანი სახეობების რეგიონში თავმოყრა.

### **თავი III – აჭარის დაცული ტერიტორიების ბიოლოგიური მრავალფეროვნება**

#### **3.1. აჭარის დაცული ტერიტორიების მცენარეულობა (ტყის ფიტოცენოზები და ძირითადი ფორმაციები)**

ბიოლოგიური მრავალფეროვნების“ ცნებაში ეკოსისტემების მრავალფეროვნებას და მის ერთ-ერთ სახეს ტიპოლოგიურ (ფიტოცენოლოგიურ) მრავალფეროვნებას, რომელიც ცოცხალ თრგანიზმებს აჯგუფებს სტრუქტურული, ფუნქციური, გეოგრაფიული, ეკოლოგიური და სხვა ნიშანთვისებების მიხედვით, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს (Whittaker, 1972).

ტყის მცენარეულობის ტიპოლოგიურ ანალიზს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მდგრადი გეტეოგეობის პრინციპების დაცვის და ბიოლოგიური მრავალფეროვნების ცალკეული პარამეტრების მდგრადობის შენარჩუნების თვალსაზრისით (Maxatadze 1962, Гулисашвили, 1964, Долуханов, 1966, ბახსოვიანი, 2002; ჯაფარიძე, 2003).

თანამედროვე მსოფლიოში, ტყის ეკოსისტემების შესახებ ჯერ კიდევ არასრული ინფორმაციებისა და ამავდროულად მისი ცვალებადობის დინამიკის ძლიერი ტემპის ფონზე, ტყის ტიპების შესწავლა ფიტოცენოტური და სახეობრივი მრავალფეროვნების დონეზე განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს გარკვეული სივრცითი-ტერიტორიული მონაკვეთის ბიოლოგიური მრავალფეროვნების მონიტორინგისათვის, მაღალი კონსერვაციული ღირებულებების ტყის ეკოსისტემების შენარჩუნება-აღდგენის სტრატეგიის შემუშავებისათვის და მდგრადი ტყეთსარგებლობის მეცნიერულად დასაბუთებული ღონისძიებების დაგეგმვისათვის (McAfee B.J., Malouin C., Fletcher N., 2006; Yang Juan, Li Jing, Song Yong-Chang, Cai Yong-Li, 2006; Berca Mihai, Stoica Maricica, 2006; Cullotta Sebastiano, Marchetti Marco, 2007; Сусликов, Фархулиин, 2006; Булдакова, 2006; Алексеев, Трейфельд, Синкевич, 2007, Москалюк, 2007; Исаев, 2008; Фундукин, 2008; Гребенюк, Рунова, 2009).

დადგენილია, რომ ტროპიკული მთის ტყეების სახეობრივი მრავალფეროვნების შენარჩუნებისათვის ლანდშაფტის დონეზე, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება შიგაფრაგმენტირებული მონაკვეთების სახეობრივი მრავალფეროვნების მდგრადობის შენარჩუნებას (Cayuela Luis, Golicher Duncan J.,

Benayas JoseMaria Rey, Gonzalez-Espinosa Mario, Ramirez-Marcial Neptali, 2006; Duran Elvira, Meave Jorge A., Lott Emily J., Segura Gerardo, 2006; Широков, 2005).

კონკრეტული ფიტიცენოზის გეობოტანიკური მახასიათებლების შესწავლას და დენდროინდიკაციას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტყის ეკოსისტემების ისტორიის რეკონსტრუქციისათვის და ბუნებრივი ლანდშაფტების აღდგენის დინამიკის პროგნოზირებისათვის (Grandtner Miroslaw M., 2006; Wang Bo-Sun, Peng Shao-Lin, Guo Luo, Ye You-Hua, 2007; Maggini Ramona, Lehmann Antony, Zimmermann Niklaus E., Guisan Antoine, 2006; Boublík Karel, Zarník Milan, Douša Jan, 2007; Бобровский, 2007; Быков, 2007; Бондаренко, 2008; Брижатая А, Селедец, 2008; Мигунова, 2008).

საწყისი ფიტოცენოზის ბიომრავალფეროვნებისათვის დამახასიათებელი საკვანძო ელემენტების გათვალისწინება, მიჩნეულია, როგორც ტროპიკული და სუბტროპიკული ტყის კულტურების გაშენების და მდგრადი პლანტაციური მეტყველების საფუძველი და კონცეფციური წინამდღვარი (Marjokorpi Antti, Salo Jukka, 2007)

კინტრიშის დაცული ტერიტორიები და მტირალას ეროვნული პარკი ფლორისტული კომპლექსების სახეობრივი შემადგენლობითა და ისტორიით, ფლორის ხისტემატიკური სტრუქტურით, უძველესი ხმელთაშუაზღვისპირეთის სამყაროს, ხმელთაშუაზღვისპირეთის ოლქის, კოლხეთის ანუ აღმოსავლეთ ეპქსინის პროვინციის აჭარაშავშეთის არეს (ოკრუგს) განეკუთვნება და მის ფლორისტულ მრავალფეროვნებას საფუძვლად ედება მესამეული პერიოდის ხმელთაშუაზღვისპირეთის ფლორის ბირთვისაგან განვითარებული ავტოქტონური წარმოშობის ფლორა. მათვის დამახასიათებელია ფლორისა და მცენარეულობის ყველა უძველესი ელემენტი. მიუხედავად იმისა, რომ მესამეული პერიოდის შემდგომი აცივების შედეგად მრავალი სახეობა ამოწყდა და დღეს ეს ფართობები წარმოდგენილია, როგორც უძველესი, ისე უფრო ახალგაზრდა, ახალ პირობებში წარმოქმნილი ფორმებით, თავისი მრავალფეროვნებით და მცენარეთა თავისებური დაგჯგუფებებით იგი გამოირჩევა ზომიერი სარტყლის პირობებისათვის. წიფელი, წაბლი, რცხილა, აგრეთვე პონტოს შქერისა და წყავის ხისმაგვარი ფორმები ბაძგთან, მოცვთან და სხვა მრავალ რელიქტურ მერქნიანებთან და ბალახოვნებთან ერთად დიდ ფართობებზე ქმნიან გაბატონებულ დაჯგუფებებს.

კოლხეთის ბოტანიკურ პროვინცია, რომელიც 6. აუზნეცოვმა 1909 წელს ხმელთაშუაზღვეთის ოლქში გამოჰყო პონტოს ტყეების სახით. ამისთვის

დამახასიათებელი უძველესი მცენარეული დაჯგუფებების ფლორისტული შემადგენლობა, ძირითადად მესამეული პერიოდის რელიქტებითაა წარმოდგენილი და გავრცელების ფართო არეალით თავისებურ ელფერს აძლევენ მცენარეულ საფარს. ამ მხრივ განსაკუთრებულია კოლხეთის სამხრეთი ნაწილი, ე.წ. ბათუმის, ანუ ზავის აჭარის სანაპირო. პროფესორი ა.ნ. კრასნოვი (Краснов 1913) მას სამხრეთ კოლხეთს უწოდებს და აღნიშნავს, რომ იგი თითქოს, „სხვა ბიოლოგიური ოლქის ერთგვარ კუნძულს“ წარმოდგენს. ზღვისპირა აჭარაში გავრცელებულია კოლხეთის ფლორის ძირითადი ბიორგის შემადგენელი მერქნიანი და ბალახოვანი მცენარეების ყველა უძველესი ტიპი. კერძოდ: მერქნიანთაგან – პონტოს შქერი, სმირნოვის შქერი, უნგერნის შქერი, წყავი, მედვედევის არყი, პონტოს მუხა, მელიქაური, თაგვისარა, მმერხლი. ბალახოვნებიდან – *Primula megasaeifolia* Boiss, *Sumpphytum thericum* Stev, *Ranunculus ampelophyllus* S. et L და სხვ. აგრეთვე არასპეციალურ-კოლხური რელიქტები – ლაფანი, ჰიმენოფილუმი, სამეფო გვიმრა და ა.შ.

ზღვისპირა აჭარის ჩრდილოეთ ნაწილში, საღაც დაცული ტერიტორიები მდებარეობს, სამხრეთ ნაწილის მსგავსად წარმოდგენილია ფლორისა და მცენარეულობის ყველა უძველესი ელემენტი. კოლხეთის ტყეების ეს მონაკვეთი, რომელსაც ა. კოლაკოვსკი (1958) ბათუმის რაიონს უწოდებს, უძველესი ელემენტების სიმრავლითაც გამოირჩევა და სიცოცხლის ნირითაც.

მაღალი სინოტივის გამო ტყეებში ხშირია ხეებზე ეპიფიტურად მზარდი ხავსები, გვიმრები, ბალახოვნები და ბუჩქებიც კი. თბილი და ნოტიო ჰავა მცენარეებს საშუალებას დაიკავონ ამა თუ იმ მიზეზით გამოთავისუფლებული ნიადაგის ყოველ მტკაველი. მეწყრებისა და სხვა ფიზიკური მოვლენების შედეგად გაშიშვლებული ფართობები პირველივე სავეგეტაციო პერიოდში ბალახოვნებისა და მაყვლის სამოსელით იფარება. მას კი მათზე თავს იჩენს ხეებისა და ბუჩქების თვითნათესი. მცენარეული საფრის ასეთი სწრაფი და მძალვრი განვითარებით ზღვისპირა აჭარა მსოფლიოს ნამდვილ სუბტროპიკულ ოლქებს უახლოვდება.

მესამეული პერიოდის ბოლოს (პლიოცენში) აჭარა-გურიაში, ახლანდელ სუბალპურ სარტყელამდე, მრავალი ტროპიკული ელემენტის შემცველი მდიდარი სუბტროპიკული ტყე ვრცელდებოდა. გოდერძის უღელტეხილის ახლო-მახლო აღმოჩენილია გვიმრების, პალმის, მაგნოლიას, დაფნის, ხურმის და სხვა მცენარეთა მრავალი ნამარხი სახეობა, ეს სახეობები აქ ახლა აღარ გვხვდება.

ტყეებში ჭარბობდა მარადმწვანე ხეები, მაგრამ მესამეული პერიოდის შემდგომი აცივების შედეგად მრავალი სახეობა გადაშენდა. მარადმწვანე მერქნიანებმა ტყის ქვედა იარუსში გადაინაცვლა, ხოლო ზედა იარუსში შემორჩა ფოთოლმცვენი ფორმები, ძირითადად წიფელი და წაბლი. გადაშენებული სახეობების ადგილი დაიკავა უფრო ახალგაზრდა, ახალ პირობებს შეგუებულმა ფორმებმა. წიფელი, წაბლი, პონტოს შქერი, წყავი, მაღალი მოცვი და სხვა, მრავალ რელიქტურ ბალახოვანთან ერთად, დიდ ფართობზე ქმნიან გაბატონებულ დაჯგუფებებს. ამაშია ზღვისპირა აჭარის და, მასთან ერთად, დაცული ტერიტორიების მცენარეულობის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება.

მრავალფეროვანი მთაგორაკიანი რელიეფი განაპირობებს მცენარეულობის ვერტიკალურ სარტყლიანობას. ამასთან, აჭარის დაცული ტერიტორიები ერთადერთია, რომელიც ზღვის ნაპირიდან ალპურ სიმაღლეებამდე ვრცელდება და სრულად არის წარმოდგენილი ამ რეგიონის სიმაღლითი თავისებურებები.

სატყეო პრაქტიკაში - ტყეების ტიპოლოგიას დიდი მნიშვნელობა აქვს მისი ძირითადი მიზანია, მოახდინოს ბიოლოგიურად ერთგვაროვანი ტყის უბნების დაჯგუფება - მსგავსი კლიმატური, ოროგრაფიული და ედაფიური ფაქტორების მქონე ადგილსამყოფელის პირობებში (ეკოტოპში). დაჯგუფების ფარგლებში ინიშნება კონკრეტული სატყეო - სამეურნეო დონისძიებები.

დასავლეთ საქართველოს ტყის ძირითადი ფორმაციები გეობოტანიკურად საკმაოდ ფართოდაა შესწავლილი აფხაზეთის და მისი მიმედბარე რეგიონების პირობებში (Поварницин 1936; Колаковский 1961). მოგვეპოვება აგრეთვე მნიშვნელოვანი ანალიტიკური მონაცემები კოლხური ტიპის შერეული ფართოფოთლოვანი ტყეების ძირითადი ბოტანიკური და მეტყველებურ-ტაქსაციური მახასიათებლების შესახებ (Гулисашвили 1964; Долуханов, 1953, 1966; ხიდაშელი, პაპუნიძე, 1976; Манджавидзе 1982; გემიაძე 1967, 1970, 1971, 1973; ჯორბენაძე, 1969; გიგაური 2000; Doluchanov, überarbeitet von Giorgi Nachucrivišvili, 2000; ქვაჩაკიძე, 2001, 2002; მანველიძე, 1990; გიგაური, 2000; Papunidze, Manvelidze, 2000, ბახესოლიანი, 2002; გვარიშვილი, 2002; სვანიძე, 2003; მანველიძე, ვარშანიძე, შაინიძე, 1998; მანველიძე, მემიაძე, გორგილაძე, 2004, შაინიძე, დავითაძე, შაინიძე, 2010; დავითაძე, 2012 და სხვები).

ფიტცენოლოგიური კვლევების თანამედროვე ქართული სკოლა ტყის მცენარეულობის შესწავლისას ფიტცენოზთა ბიომრავალფეროვნების დონეზე, ძირითადად უყრდნობა მორფოლოგიურ-ეკოლოგიურ მიმართულებას, რომლის

ძირითადი არსი მორფოლოგიური მსგავსების ნიშნით სინტაქსონომიურ ერთეულებში ფიტოცენოზების დაჯგუფება, ანუ სისტემატიზაციაა. ამ მიმართულების ძირითად სინტაქსონომიურ ერთეულს ასოციაცია წარმოადგენს, რომელიც აერთიანებს გარკვეული გარეგნული სახის, ფლორისტული შემადგენლობის, აღნაგობის, ერთგვაროვანი გარემო პირობების ტყის მცენარეთა კონკრეტულ დაჯგუფებებს (ფიტოცენოზებს) (Сукачев, Дилиц 1964; Зонн, Урушадзе 1974).

ჩვენ შევეცადეთ დაგვედგინა კინტრიშის დაცული ტერიტორიებისა და მტირალას ეროვნული პარკის ტყეების ფიტოცენოზური მრავალფეროვნება ტყის ასოციაციის დონეზე და აქ გავრცელებული ასოციაციების მოკლე დიაგნოსტიკური მაჩვენებლები ტყის ფორმაციების მიხედვით. ჩვენი კვლევის შედეგების მიხედვით კინტრიშის დაცული ტერიტორიებისა და მტირალას ეროვნული პარკის ველურ ფლორაში გამოიყოფა ტყის მცენარეულობის 5 ფორმაცია, 25 ასოციაციების ჯგუფი, ტყის ფიტოცენოზის 35 ძირითადი ტიპი (ასოციაცია).

კინტრიშის დაცული ტერიტორიებისა და მტირალას ეროვნული პარკის მცენარეულობის ძირითადი ტიპები, ფორმაციები და მათი ვერტიკალური განაწილება ასე გამოისახება:

**ტყის სარტყელი 200 მ - 2000-2100 მ ზ.დ.**

შერეული კოლხური ტყე 150 მ-დან 550-600 მ-მდე;

წაბლნარი 550-600 მ-დან 1150-1200 მ-მდე;

წიფლნარი 1150-1200 მ-დან 2000-2100 მ-მდე;

შეერიანი (აზონალურია)

**სუბალპური სარტყელი 2000-2100 მ-დან 2300-2350 მ-მდე;**

სუბალპების ტყეები 2000-2100 მ-დან 2200-2250 მ-მდე;

სუბალპების ბუჩქნარები 2100 მ-დან 2350 მ-მდე;

სუბალპური მაღალბალახეულობა 1950-2000 მ-დან 2200 მ-მდე;

სუბალპების მდელოები 2100 მ-დან 2350 მ-მდე.

კინტრიშის დაცული ტერიტორიებისაგან განსხვავებით მტირალას ეროვნულ პარკში სუბალპური სარტყელი არ არის.

ტყის მცენარეულობა. ტყის მცენარეულობა აჭარის მცენარეულობის ძირითადი ტიპია. რელიეფის მრავალფეროვნება, კლიმატური პირობები, ნიადაგები, ანთროპოგენური და სხვა ფაქტორთა კომპლექსები განაპირობებენ მცენარეულობის მოზაიკურობას, რომელშიც კარგად ჩანს ვერტიკალური

სარტყელიანობა და ექსპოზიციურობა. ზღვის სანაპიროდან სიმაღლის ზრდასთან ერთად ტყის ფორმაციებიც შესაბამისად იცვლება და წარმოდგენილია შემდეგი სარტყელებით:

**კოლხური (შერეული ფოთლოვანი) ტყე** - ანუ კოლხური ტიპის შერეული ფოთლოვანი ტყეების („შერეული ფოთლოვანი ტყეები“, Альбов 1896); „წიფლნარ-წაბლნარი კოლხური ტყეები“, Голицын 1935; `სხვადასხვა ტყის ფორმაციებისა და ტიპების კომპლექსი“, Малеев 1936, Колаковский 1964; „შერეული ფოთლოვანი ტყე“, Тумаджанов 1957; „კოლხურ-ლეშამბოიანი“ და „მარადმწვანე ქვეტყიანი ტყეები“, ნ. კეცხოველი, 1960; „ჰიგროფილური, თერმოფიტული შერეული ფოთლოვანი ტყე“, Doluchanov G, überarbeitet von Nachucrivišvili G. 2003) სარტყელი (ზ.დ-დან 400-500 მ-მდე); ტყის მცენარეულობის პირველი საფეხურია. მისი ბუნებრივი ვერტიკალური საზღვრები ზღვისპირა ზოლში ზ. დონიდან 15-25 მ-დან 500 მ-მდე ვრცელდება, ამჟამად 200-250 მ.-მდე ზ. დ. კოლხური ტყე ძირითადად გაჩეხილია და მხოლოდ ფრაგმენტების სახითაა აქა-იქ შემორჩენილი. აღნიშნული ტერიტორია ჭარბადაა დასახლებული და ძლიერ ანთროპოგენურ გავლენას განიცდის. შედარებით უკეთაა შემონახული კოლხური ტყე ზ. დ-დან 250 მ-ს ზემოთ. სუბტროპიკული ტიპის თბილი და ნოტიო ჰავა განაპირობებს ტყის მცენარეულობის სიმდიდრეს და მრავალფეროვნებას. სწორედ აქ გვხვდება აჭარაში გავრცელებული რელიქტური მერქნიანების დიდი უმეტესობა. ქვეტყე მდიდარია მარადმწვანე ბუჩქებით, ლიანებით. ბალახოვან საფარშიც ბევრია მესამეული რელიქტები.

შერეული კოლხური ტყე წარმოდგენილია ფოთოლმცვენი და მარადმწვანე სახეობებით, რომლებიც ორ იარუსად არიან განლაგებული. პირველი, 14-20 მ. სიმაღლის, უფრო მეჩხერი იარუსი შედგება ძირითადად აღმოსავლური წიფლის (*Fagus orientalis*), კავკასიური ცაცხვის (*Tilia caucasica*), წაბლის (*Castanea sativa*), მურყანისა (*Alnus barbata*) და კავკასიური რცხილისაგან (*Carpinus caucasica*), რომლებიც ქმნიან შერეული ცენოზების სხვადასხვა ვარიანტს: რცხილნარ-წიფლნარს, რცხილნარ-წაბლნარს, წაბლნარ-წიფლნარს, რცხილნარ-წაბლნარ-წიფლნარს. ერთეულებად გვხვდებიან: *Pterocarya pterocarpa*, *Ulmus glabra*, *Taxus baccata*, *Diospyros lotus*, *Ficus carica*, *Cerasus avium*, *Morus alba*, *Malus orientalis*, რომლებიც კიდევ უფრო ამდიდრებენ კოლხურ ტყეს. ამის გამო კოლხურ ტყეს თვლიან პოლიდომინანტურ დაჯგუფებად, სადაც დომინირებენ სხვადასხვა ფოთლოვან ხეთა სახეობები.

მეორე იარუსი წარმოდგენილია 4-12 მ. სიმაღლის ხეებითა და ბუჩქებით. კოლხური ელემენტებიდან აქ გვხვდებიან: *Corylus avellana*, *Frangula alnus*, *Viburnum opulus*, *Sambucus nigra*, *Diospyros lotus*, და ამ იარუსის ყველაზე მაღალი *Alnus barbata*, *Carpinus caucasica*.

მესამე იარუსი, 2-3 მ. სიმაღლის ქვეტყე, ყველაზე ხშირი და მარადმწვანე იარუსი წარმოდგენილია ბუჩქებით: *Rhododendron ponticum*, *Laurocerasus officinalis*, *Ilex colchica*, *Buxus colchica*, და ოშვიათად *Phillyrea medwedewii*, რომლებიც ხშირად წარმოდგენილი არიან ხემაგვარი ფორმების სახით მეორე იარუსის შემადგენლობაში. ფოთოლმცვენი სახეობებიდან ამ იარუსში გავრცელებული სახეობებია: *Rhododendron luteum*, *Vaccinium arctostaphylos*, *Frangula alnus* უფრო ოშვიათად *Euonymus leiophlea*, *Mespilus germanica*. ამ იარუსის ქვემოთ გვხვდებიან: *Daphne pontica*, *Ruscus colchicus*, *Ruscus ponticus*.

მარადმწვანე ბუჩქები ძირითადად გვხვდებიან ჩრდილოეთის ფერდობების ტყეებში, ფოთოლმცვენთათვის კი უფრო ტიპიურია სამხრეთის ფერდობები. პზა გვხვდება მდინარეებისა და მათი შენაკადების გასწვრივ.

შერეული კოლხური ტყისათვის დამახასიათებელია ლიანები, კოლხური სურო (*Hedera colchica*), ეკალდიჭი (Smilax exelsa), კატაბარდა (*Clematis vitalba*), რომლებიც თავისებურ იერსახეს ანიჭებენ ტყეს. ამათგან სურო ჩრდილის მოყვარულია და ძირითადად ტენიან პირველად ტყეებში გვხვდება, ეკალდიჭი კი შედარებით სინათლის მოყვარულია, არ ერიდება სიმშრალეს და შესაბამისად გავრცელებულია ძირითადად ტყისპირებსა და მეორად ტყეებში. ხშირია აგრეთვე *Clematis vitalba*, *Humulus lupulus*, *Periploca graeca*, *Lonicera caprifolium*. ხეებზე ხშირია ეპიფიტები გვიმრების *Polypodium serratum* და *Polypodium vulgare*-ს სახით. ყალთალებში და მეორად მეჩერ ტყეებში ძლიერად გავრცელებული მაყვლის სახეობი, განსაკუთრებით *Rubus hirtus* და *R. caucasicus*.

ბალახოვნებით კოლხური ტყე, როგორც ჯერ კიდევ ნ. ალბოვმა (Альбов, 1896), ს. გოლიცინმა (Голицын, 1935), ა. გროსგეიმმა (Гроссгейм, 1930; 1948) და სხვებმა აღნიშნეს, მეტად დარიბია. ხშირი ქვეტყე ხელს უშლის ბალახოვანი საფარის განვითარებას. თუმცა ტენის მოყვარე და ჩრდილის ამტანი სახეობები მაინც გვხვდებიან, რომელთაგან ზოგიერთი ხშირად ხეებზე ეპიფიტურ ცხოვრებას ეწევა. ესენია გვიმრებიდან: *Phyllitis scolopendrium*, *Blechnum spicant*, *Asplenium trichomanes*, *Pteris cretica*, *Pteridium tauricum*; ბალახოვნებიდან კი *Luzula*

forsteri, Cardamine impatiens, Geranium robertianum, Oxalis acetosella და სხვა. ბალახოვნებთან ერთად შეიძლება გნახოთ ხავსმოდებულ ხეებზე მოზარდი ბუჩქები და ხეებიც კი. ასეთებია ქავგახიური რცხილა, პონტოს შქერი, მაღალი მოცვი, მაყვლის სახეობები და სხვ.

კოლხური ტყის სხვადასხვა დაჯგუფებების ბალახოვანი საფარისათვის წვეულებრივია შემდეგი სახეობები: Dryopteris borreri, Polystichum loba-tum, P.woronowii, Festuca montana, Polygonatum multiflorum, Paris incompleta, Aristolochia pontica, Actea spicata, Ranunculus ampelophyllus, Dentaria quinquefolia, Pachyphragma macrophylla, Sanicula europaea, Primula sibtorpii, Omphalodes cappadocica, Symphytum ibericum, Trachystemon orientale, Petasites albus, Cicerbita pontica.

ზღვისპირა გორაქ-ბორცვიანი ზონის მდინარეთა გასწვრივ ვიწრო, თბილ და ტენიან ხეობებში აღინიშნება კოლხური ტყისათვის განსაკუთრებით საინტერესო უძველესი რელიქტები: Hymenophyllum thunbridgense, Primula megasaeefolia. ტყისპირებზე ხალიჩებს ქმნის Galanthus woronowii. ტყისპირებსა და განათებულ ადგილებში გვხვდებიან ასევე: Matteuccia struthiopteris, Dryopteris filix-mas, Athyrium filix-femina, Cardamine hirsuta, C. lasica, Impatiens noli-tangere, Vinca pubescens, Lamium album, Clinopodium vulgare, Scrophularia nodosa, Digitalis schichkinii-ivanina, Petasites albus და სხვა მრავალი. მეორადი ბალახოვანი ცენოზებისათვის წვეულებრივია Chelidonium majus, Geum urbanum, Agrimonia eupatoria და სხვ. შედარებით მშრალ და განათებულ ფერდობებზე ხშირად გვხვდება Iris lasica, Helleborus caucasica

აღნიშნული სახეობები ძირითად ფონს ქმნიან კოლხური ტყის ბალახოვანი საფარის მთლიან შემადგენლობაში; ცალკეულ შემთხვევებში კი შეიძლება უფრო მდიდარი ან პირიქით, დარიბი სურათი გვქონდეს. მერქნიანთა და ბალახოვანთა ბრძოლაში მერქნიანები იმარჯვებენ. ეს ტყის მცენარეულობის ამ საფეხურის დამახასიათებელი თავისებურებაა, მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პირველადი ცენოზების დარღვევისას, რაც ძირითადად ანთროპოგენური ფაქტორის ზემოქმედების შედეგია, ხშირად ფართობის მნიშვნელოვან ადგილს იჭერენ ნაირბალახოვანი ცენოზები.

**შერეული კოლხური ტყის ქანსარტყელში წვენს მიერ გამოიყო  
ფიტოცენოზების ჯგუფები, ფიტოცენოზების ძირითადი ტიპები (ასოციაციები)**

## 1. ფორმაცია რცხილნარები-Carpineta (Carpinus caucasica)

1.1. რცხილნარები მარადმწვანე ქვეტყით (*Carpineta sempervirenti-fruticosa*)

1) რცხილნარი შქერის ქვეტყით (*Carpinetum rhododendrosum*), რომელიც გვხვდება 500 მ-მდე ზღვის დონიდან

იარუსი A: 9 რცხ. 1<sup>წ</sup>ბ+წყ., (ბონიტეტი=III, IV, H საშ=25 მ., Dt=56 სმ, A=190<sup>წ</sup>). დომინანტი, ედიფიკატორი: *Carpinus caucasica*, დამახასიათებელია: *Castanea sativa*, *Fagus orientalis* +*Tilia begonifolia*, *Acer platanoides*; + *Laurocerasus officinalis*, *Rhododendron ponticum* (ხისმაგვარი ფორმები).

იარუსი B: დომინანტი: *Rhododendron ponticum*; დამახასიათებელია: *Laurocerasus officinalis* + *Vaccinium arctostaphylos*, *Viburnum opulus*, (*Euonymus latifolia*, *Ilex colchica*. პროექციული დაფარულობა-70-80%.

იარუსი C: *Athyrium filix femina*, *Blechnum spicant* *Iris lazica* - Sp; *Phyllitis scolopendrium*, *Cicerbita petiolata*, *Circea lutetina*, *Dryopteris filix-mas* –Sol

2) წიფლნარ-ჭაბლნარ-რცხილნარები შქერის ქვეტყით (*Fageto-Castaneto-Carpinetum rhododendrosum*), რომელიც გვხვდება 300 მ-მდე ზღვის დონიდან

იარუსი A: 6რცხ.2წ2წყ+მრყ., (ბონიტეტი=III, H საშ=24 მ., Dt=60 სმ, A=170<sup>წ</sup>). დომინანტი, ედიფიკატორი: *Carpinus beulus*, კოდომინანტი, *Fagus orientalis* + *Ulmus glabra*, *Diospyros lotus*, *Alnus barbata*, *Acer platanoides*.

იარუსი B: დომინანტი: *Rhododendron ponticum*+ *Rubus caucasicus*, *Laurocerasus officinalis*, *Staphyllea pinnata*, *Sambucus nigra*, დამახასიათებელია: *Corylus avellana*, *Rhododendron luteum*. პროექციული დაფარულობა 70-75%.

იარუსი C: *Pteris cretica*, *Cicerbita petiolata*, *Omphalodes cappadocica*, *Cyclamen adzcharicum*, *Prunella vulgaris*, *Phyllitis scolopendrum*, *Iris lazica* – Sp; *Blechnum spicant*, *Dryopteris filix-mas* – Sol.

3) რცხილნარი ბზის ქვეტყით (*Carpinetum buxosum*), რომელიც გვხვდება 300 მ-მდე ზღვის დონიდან.

იარუსი A: 8რცხ1ჯგრც.1ბურ., (ბონიტეტი=III, H საშ=27 მ., Dt=70 სმ, A=190-200<sup>წ</sup>). დომინანტი, ედიფიკატორი *Carpinus betulus*, დამახასიათებელია: *Castanea sativa*, *Fagus orientalis*+*Tilia begonifolia*, *Ulmus glabra*, *Acer laetum*, *Alnus glutinosa*, *Buxus colchica*, *Rhododendron ponticum* (ხისმაგვარი ფორმები).

იარუსი B: *Buxus colchica*, +*Rhododendron ponticum*, *Hypericum ardrosaemum*, *Staphyllea pinnata*, *Laurocerasus officinalis*. პროექციული დაფარულობა 65-80 %.

**იარუსი C:** *Athyrium filix femina*, *Dryopteris filix-mas*, *Sanicula europae-Sp*, *Paris incomplenta*, *Circea lutetina*, *Phyllitis scolopendrium*, *Blechnum spicant - Sol.*

წაბლნარები კოლხეური ტყის შემდეგი საფეხურია, რომელიც გვხვდება როგორც შერეული, ასევე წმინდა ცენოზების სახით. წაბლის ტყის სარტყელი გავრცელებულია ძირითადად ზ. დ. 400-500 მ.-დან 1000-1100 (1200) მ.-მდე. ერთეული ეგზემპლარები გვხვდებიან ზ. დ. 1700-1800 მ. სიმაღლეზეც. აჭარაში წაბლის ტყის სარტყელი ორ სხვადასხვა კლიმატურ ზონაშია გავრცელებული და შესაბამისად ორ ქვესარტყელა-დაა წარმოდგენილი. ზღვისპირა აჭარის წაბლის ტყის ქვესარტყელი და შიგამთიანი აჭარის წაბლისა და ჭოროხის მუხის ტყის ქვესარტყელი.

წაბლის ტყის სარტყელში წაბლის გარდა გვხვდებიან აგრეთვე: *Fagus orientalis*, *Carpinus caucasicus*, *Alnus barbata*, *Tilia caucasica*, *Picea orientalis*, *Ulmus scabra*. *Quercus dschorochensis*, *Ostrya carpinifolia*, *Pinus sosnovskyi* (ეს სამი უკანასკნელი შიგამთიანი აჭარის წაბლისა და ჭოროხის მუხის ტყის ქვესარტყელისათვისაა დამახასიათებელი).

ქვეტყე ძირითადად წარმოდგენილია ბუჩქებით: *Rhododendron ponticum*, *Rhododendron ungerianum*, *Rhododendron luteum*, *Laurocerasus officinalis*, *Vaccinium arctostaphylos*, *Ilex colchica*, *Euonymus latifolia*, *Buxus colchicus*.

ლიანებიდან ვხვდებით: *Hedera colchica*, *Smilax exelsa*, *Clematis vitalba*, *Humulus lupulus*, *Periploca graeca*.

ბალახოვანი საფარით წაბლნარები დარიბია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ტყის ეს საფეხური მხოლოდ ტყეებით არ ამოიწურება. ამ ვერტიკალურ სარტყელში ვხვდებით აგრეთვე მეორად ბუჩქებსა და ბალახოვნების სხვადასხვა ცენოზებს, რომლებიც მრავალფეროვანი სახეობრივი შემადგენლობით ხასიათდებიან. მეორადი ცენოზები ვითარდება ტყისპირებზე, ვიწრო ხევებში მდინარეთა გასწვრივ და გაახოებულ ფერდობებზე. ხშირი გავრცელებით ხასიათდება *Pteridium tauricum*, რომელიც ქმნის ხშირ და მაღალბალახოვან იარუსს. ტყის ფანჯრებში ჩრდილოეთის ფერდობებზე გვხვდებიან: *Matteuccia struthiopteris*, *Phyllitis scolopendrium*, *Polystichum lobatum*, ისინი ქმნიან ხშირ შალდამებს, რომლებშიც სხვა ბალახოვნები იშვიათად მონაწილეობენ.

ბალახოვნებიდან წაბლნარის ტყის სარტყელში გარდა ზემოთ აღნიშნული სახეობებისა გავრცელებულია: *Phleum nodosum*, *Sedum oppositifolium*, *Saxifraga*

*cymbalaria*, *Aruncus vulgaris*, *Geranium robertianum*, *Impatiens noli-tangere*, *Hypericum buplerioides*, *Epilobium lanceolatum*, *Heracleum sosnovskyi*, *Symphytum asperum*, *Galeobdolon luteum*, *Salvia glutinosa*, *Calamintha grandiflora*, *Stachys trapezuntea*, *Cicerbita pontica*, *Petasites albus*, *Mycelis myralis*, *Hydrocotyle ramiflora*. რუებთან და დაჭაობებულ ადგილებში გავრცელებულია: *Mentha longifolia*, *Veronica baccabunga*, ხოლო ტყისპირებზე და ტენიან მდელოებზე ჩვეულებრივია მაღალი ბალახოვნები: *Pyrethrum macrophyllum*, *Campanula lactiflora*, *Telekia speciosa* და სხვ.


წაბლის ტყის ქვესარტყელში ჩვენს მიერ გამოყოფ შემდეგი ფიტოცენოზების ჯგუფები, ფიტოცენოზების ძირითადი ტიპები (ასოციაციები)

## 2. ფორმაცია წაბლნარები –*Castaneta* (*Castanea sativa*)

### 2.1. წაბლნარები მარადმწვანე ქვეტყით (*Castaneta sempervirentifruticosa*)

1) წაბლნარი შეერის ქვეტყით (*Castanetum rhododendrosum*), რომელიც გავრცელებულია 100-1100 მ. ზღვის დონიდან ფარგლებში (სურ. 3.1.1)

იარუსი A: 10წ.+რცხ. (ბონიტები =II, H საშ=20 მ., Dt=36 სმ, A=70წ); ედიფიკატორი, *Castanea sativa*, დამახასიათებელია *Fagus orientalis*, *Carpinus caucasica*, *Alnus barbata* + *Acer platanoides*.



სურ. 3.1.1 წაბლნარი შეერის ქვეტყით *Fagetum rhododendrosum*

**იარუსი B:** დომინანტი, ედიფიკატორი: *Rhododendron ponticum*, დამახასიათებელია (*Laurocerasus officinalis*), *Vaccinium arctostaphylos*, *Ilex colchica*, *Ruscus hypophyllum*, *Hedera colchica* +*Rubus caucasica*, *Corylus avellana*, *Euonymus latifolia*. ქვეტყის პროექციული დაფარულობა 80-90%.

**იარუსი C:** *Tamus communis*, *Potentilla micrantha*, *Circea lutetina*, *Pteridium tauricum*, *Chenopodium vulvaria*, *Ch. Album*, *Stellaria media*, *Veronica officinalis*, *Athyrium filix femina*, *Digitalis ferruginea* - **Sp.**

**2)** წიფლნარ-რცხილნარ-წაბლნარი შქერის ქვეტყით **Fageto-Carpineto-Castanetum rhododendrosum**, რომელიც გავრცელებულია 500-700 მ. ზღვის დონიდან ფარგლებში

**იარუსი A:** 6წ.2რცხ.2წფ. (ბონიტეტი =II, H საშ=28 მ., Dt=70 სმ, A=130წ); დომინანტი, ედიფიკატორი *Castanea sativa*, კოდომინანტი: *Carpinus betulus*, დამახასიათებელია *Fagus orientalis*+*Alnus barbata*, *Tilia begonifolia*, *Ulmus glabra*.

**იარუსი B:** დომინანტი, ედიფიკატორი: *Rhododendron ponticum*+*Laurocerasus officinalis*, *Ilex colchica*, *Euonymus latifolia*, *Staphyllea pinnata*. პროექციული დაფარულობა 30-35%.

**იარუსი C:** *Athyrium filix femina*, *Blechnum spicant*, *Solidago virgaurea*, *Stachys silvatica*, *Salvia glutinosa* -**Sp.**


**3)** წაბლნარი წყავის ქვეტყით (**Castsnetum laurocerasosum**), რომელიც გავრცელებულია 50-1000 მ. ზღვის დონიდან ფარგლებში (სურ. 3.12).

**იარუსი A:** 9წ.1რცხ.+წფ. (ბონიტეტი =II, H საშ=23 მ., Dt=48 სმ, A=80წ); დომინანტი, ედიფიკატორი *Castanea sativa*, კოდომინანტი: *Carpinus caucasica*, დამახასიათებელია *Fagus orientalis*, *Alnus barbata*+*Ulmus glabra*.

**იარუსი B:** დომინანტი: *Laurocerasus officinalis*+ *Rhododendron ponticum*, *Vaccinium arctostaphylos*, *Ilex colchica*, *Viburnum opulus*, *V. orientalis*. პროექციული დაფარულობა 50-70%.

**იარუსი C:** არ არის განვითარებული.

**4)** რცხილნარ-წაბლნარი წყავის ქვეტყით (**Carpineto-Castanetum laurocerasosum**), რომელიც გავრცელებულია 500-1000 მ. ზღვის დონიდან ფარგლებში



**სურ. 3.12.** წაბლნარი წყავის ქედზეთ Fagetum rhododendroso-laurocerasosum

**იარუსი A:** 7წ.2რცხ.1წფ.+ნპ. (ბონიტები =III, H საშ=22 მ., Dt=60 სმ, A=110ვ); დომინანტი *Castanea sativa*, დამახასიათებელია *Carpinus betulus*, *Fagus orientalis*, *Acer laetum*+*Taxus baccata*.

**იარუსი B:** დონინანტი *Laurocerasus officinalis*, დამახასიათებელია *Rhododendron ponticum*, *Ilex colchica*, *Sambucus nigra*, *Hedera colchica*, *Rubus caucasicus*, *R. hirtus*, *Ruscus colchicus*. პროექციული დაფარულობა 70-80%.

**იარუსი C** დამახასიათებელი სახეობებია **Cop1** -*Athyrium filix-femina*, *Dryopteris filix-mas*, *Dr. austriaca*, *Phyllitis scolopendrium*, *Pteris cretica*; sol- პროექციული დაფარულობით წარმოდგენილია *Paeonia macrophylla*, *Helleborus caucasicus*, *Lapsana intermedia*, *Hieracium laevigatum*, *Oxalis villosa*, *Ajuga reptans*, *Prunella vulgaris* - **Sp.**

**5) Fageto-Carpineto-Castanetum laurocerasosum**, რომელიც გავრცელებულია 150-1000 მ. ზღვის დონიდან ფარგლებში

**იარუსი A:** 6წ.2.რცხ.2წფ.+ცცხ. (ბონიტები =III, H საშ=22 მ., Dt=50 სმ, A=90ვ); დომინანტი, ედიფიკატორი *Castanea sativa*, kodominanti *Carpinus betulus*, დამახასიათებელია *Fagus orientalis*+*Alnus barbata*, *Tilia begonifolia*, *Ulmus glabra*.

**იარუსი B:** დომინანტი *Laurocerasus officinalis*+*Rhododendron ponticum*, *Hedera colchica*, *Vaccinium arctostaphylos*.

**იარუსი C:** ბალახოვანი საფარი არ არის განვითარებული.

**2.2. წაბლნარები მკვდარსაფრიანი და ბალახოვანი საფარით (*Castaneta nuda, herbosa*)**

1) წაბლნარი მკვდარი საფარით (*Castanetum nudum*), რომელიც გავრცელებულია 800-1100 მ. ზღვის დონიდან ფარგლებში

იარუსი A: 10°δ.+°ფ. (ბონიტეტი =II, H საშ=25 მ., Dt=60 სმ, A=100°); დომინანტი, ედიფიკატორი *Castanea sativa*, დამახასიათებელია *Fagus orientalis*, *Carpinus caucasica*.

იარუსი B: *Hedera colchica*, *H. helix*, *Hypericum androsaemum*, *Rhododendron ponticum*.

იარუსი C: არ არის.

2) წაბლნარი წივანას საფარით (*Castanetum-festucosum*), რომელიც გავრცელებულია 700-1100 მ. ზღვის დონიდან ფარგლებში

იარუსი A: 8°δ.1°ფ.1რცბ. (ბონიტეტი =III, H საშ=24 მ., Dt=70 სმ, A=110°); დომინანტი, ედიფიკატორი *Castanea sativa*, დამახასიათებელია *Fagus orientalis*, *Carpinus betulus*.

იარუსი B: *Vaccinicum arctostaphylos*, *Rhododendron luteum*.

იარუსი C: *Festuca montana* -Soc, *Brachypodium silvaticum*, *Solidago vurgaurea* - Sp.

3) წაბლნარი ანჩხლას საფარით (*Castanetum trachystemosum*), რომელიც გავრცელებულია 400-1000 მ. ზღვის დონიდან ფარგლებში

იარუსი A: 8°δ.1°ფ.1რცბ.+ცცბ. (ბონიტეტი =III, H საშ=25 მ., Dt=70 სმ, A=120°); დომინანტი, ედიფიკატორი *Castanea sativa*, დამახასიათებელია *Fagus orientalis*, *Carpinus betulus*, *Tilia begonifolia*, *Acer laetum*, *A. platanoides*. +*Diospyros lotus*, *Taxus baccata*.

იარუსი B: *Corylus avellana*, *Sambucus nigra*, *Rubus caucasicus*, *Rhododendron luteum*, *Hedera colchica*.

იარუსი C: *Trachystemon orientalis* -Cop<sub>3</sub>; PPetasites albus, *Athyrium filix-femina* - Cop<sub>1</sub>; *Dryopteris filix-mas*, *Paris incompleta*, *Dentaria quinquefolia*, *Circea lutetiana*, *Sanicula europaea*, *Impatiens noli-tangere*, *Phylitis scolopendrium* - Sp.

**2.3. წაბლნარები ფოთოლმცვენი (ზაფხულმწვანე) ქვეტყით (Castaneta aestifruticosa)**

**1) წაბლნარი მოცვის ქვეტყით (Castanetum arctostaphylosum),** რომელიც გავრცელებულია 150-1000 მ. ზღვის დონიდან ფარგლებში

**იარუსი A:** 9°δ.1რცხ+წყ. (ბონიტეტი =II, H საშ=30 მ., Dt=52 სმ, A=140ვ); დომინანტი, ედიფიკატორი *Castanea sativa*, დამახასიათებელია *Fagus orientalis*, რცხილა *Carpinus betulus*.

**იარუსი B:** დომინანტი-Vaccinium arctostaphylos. დამახასიათებელია *Rhododendron luteum*, *Ilex colchica*, *Rhododendron ponticum*, *Hypericum androsaemum*, *Laurocerasus officinalis*. პროექციული დაფარულობა 25-50%.7

**იარუსი C:** *Festuca montana*, *Pteridium tauricum*, *Fragaria vesca*, *Viola arthoceras - Sp.*

**2) წაბლნარი იელის ქვეტყით (Castanetum azaleosum),** რომელიც გავრცელებულია 400-1100 მ. ზღვის დონიდან ფარგლებში

**იარუსი A:** 7°δ.2რცხ.1წყ.+ნკ. (ბონიტეტი =II,III H საშ=25 მ., Dt=60 სმ, A=115ვ); დომინანტი, ედიფიკატორი *Castanea sativa*, დამახასიათებელია *Carpinus betulus*, *Fagus orientalis*, *Acer laetum*, *Tilia begonifolia*.

**იარუსი B:** დომინანტი *Rhododendron luteum*, დამახასიათებელია *Rhododendron ponticum*, *Vaccinium arctostaphylos*, *Rubus caucasicus*, *Daphne pontica*, *Smilax exelsa*, *Clematis vitalba*, *Hedera colchica*. პროექციული დაფარულობა 60-70%.

**იარუსი C:** *Festuca montana*, *Pretidium tauricum -Cop2*; *Salvia glutinosa*, *Cardamine impatiens*, *Leucanthemum vulgare -Cop1*; *Vinca pubescens*, *Epimedium pubigerum*, *Viola odorata*, *V. orthoceras*, *Fragaria vesca*, *Pteris cretica -Sp.*

**3) Alnetum matteuccioso-rubosum,** რომელიც გავრცელებულია 500-700 მ. ზღვის დონიდან ფარგლებში

**იარუსი A:** 10 მრკ. (ბონიტეტი =I H საშ=25 მ., Dt=30 სმ, A=50ვ); დომინანტი, ედიფიკატორი *Alnus barbata*, *A. glutinosa*.

**იარუსი B:** დომინანტი *Rubus caucasicus*, დამახასიათებელია *Hedera colchica*.

**იარუსი C:** *Matteuccia struthiopteris - Cop3*; *Petasites albus*, *Circea lutetiana - Cop1*; *Salvia glutinosa*, *Galeobdolon luteum*, *Lamium album - Sp.*

ხშირად შევხვდებით ასევე, სხვადასხვა ზომის ფრაგმენტებად წარმოდგენილ წაბლნარი ტყის ფიტოცენოზურ დაჯგუფებებს მაყვლის ქვეტყით (Castanetum rubosum) ზღ.-დან 300-1100მ სიმაღლეზე მურყანის და ცაცხვის

აქტიური მონაწილეობით. ქვეტყვეში გაბატონებულია მაყვლის სახეობები, ძირითადად *Rubus caucasicum* Fock და *Rubus hirtus*. აქა-იქ გვხვდება პონტოს შქერი, დიდგულა და ხეჭრელი, ბალახოვნებიდან – *Athyrium filix femina* (L.) Roth, *Pteridium tauricum* (Presl) Krecz. *Salvia glutinosa* L., *Geranium robertianum* L. და სხვ. აქ ნიადაგი საკმაოდ ღრმაა, ხოლო ჰუმუსოვანი ფენა 6-10 სმ-ს აღწევს. (სურ. 3.13)

წიფლის ტყის სარტყელი, რომელიც ზ. დ. 1000-1100მ.-დან 1500-1600მ.-მდეა გავრცელებული, ტყის სარტყელის მესამე საფეხურია. თავის ვერტიკალურ საფეხურზე წიფლნარი წმინდა ტყის კორომებს ქმნის. მის ქვედა საზღვრებში წიფელთან ერთად გვხვდება: *Castanea sativa*, *Carpinus caucasica*, *Tilia caucasica*, ხოლო ზედა საზღვრებში კი *Abies nordmanniana*, *Picea orientalis* (მხოლოდ კინტრიშის ნაკრძალში).



სურ. 3.13. წაბლნარი მაყვლის ქვეტყით (*Castanetum rubosum*)

წიფლნარებში ქვეტყე წარმოდგენილია ბუჩქებით: *Rhododendron ponticum*, *Laurocerasus officinalis*, *Vaccinium arctostaphylos*, *Rhododendron luteum*, *Viburnum lantana*, *Rubus caucasicus*, რომელიც მრავალ ადგილას, განსაკუთრებით კი ტყის პირებსა და ტყის ფანჯრებში გაუვალ რაყებსა და ბარდნარს ქმნის.

ლიანები წიფლნარებში იშვიათად გვხვდება და ტყის მცენარეულობის შექმნაში ნაკლებად მონაწილეობს. შედარებით ხშირად ვხვდებით კოლხურ სუროს, მაგრამ ის ჩვეულებრივ მიწაზეა გართხმული და ძირითადად ბალახოვან საფარში უფრო მონაწილეობს.

ბალახოვანი საფარი წიფლნარებში წყვეტილია. მნიშვნელოვან ნაწილში ტყები მკვდარსაფრიანია. მხოლოდ აქა-იქ შეიძლება შეგვხვდნენ: *Sanicula europaea*, *Asperula odorata*. ბალახოვნებით წიფლნარი არაა მდიდარი. მათი უმეტესობა მდინარეთა ნაპირებსა და ველობებზეა ძირითადად თავმოყრილი. განსაკუთრებით აღსანიშნავია წიფლნარების ზედა საზღვრების ველობები და ტყეკაფები 1600-1800 მ. სიმაღლეზე ზ. დ. აქ თავს იყრიან როგორც ტყის, ასევე სუბალპური სარტყლის ელემენტები სწორედ აქ ვხვდებით მაღალბალახეულობას სახეობებით: *Pyrethrum macrophyllum*, *Hypericum buplerioides*, *Senecio platyphylloides*, *Ranunculus ampelophyllus*, *Potentilla elatior*, *Lilium szowitsianum*, *Senecio propinquus*, *Cicerbita petiolata*, *Symphytum asperum*, *Pyrethrum sorbifolium*, *Paeonia macrophylla*, *Aruncus vulgaris*, *Heracleum sosnowskyi*, *Agrostis alba*, *Solidago virgaurea*, *Aconitum orientale*, *Prenanthes abietina*, *Petasites albus*, *Calamintha grandiflora*.

წიფლის სარტყელში ბალახეული საფარი მდიდარია ისეთ ადგილებში, სადაც შედარებით სუსტადაა განვითარებული წყავისა და შექრის ქვეტყებები მეტად აღინიშნება წივანა *Festuca montana*. გვიმრებიდან აღსანიშნავია: *Mateuccia struthiopteris*, *Dryopteris oreopteris*, *D. liliana*, მნიშვნელოვანია ისლების მონაწილეაც (*Carex silvatica*), ვხვდებით აგრეთვე: *Digitalis ferruginea*, *Ranunculus grandiflorus*, *Erysimum aureum*, *Senecio platyphilloides* და სხვ.

წიფლის ტის სარტყელში ჩვენს მიერ გამოიყო შემდეგი ფიტოცენოზების ჯგუფები, ფიტოცენოზების ძირითადი ტიპები (ასოციაციები)

### 3. ფორმაცია წიფლნარები -*Fageta* (*Fagus orientalis*)

#### 3.1 წიფლნარები მარადმწვანე ქვეტყით (*Fageta sempervirentifruticosa*)

1) წიფლნარი შექრის ქვეტყით *Fagetum rhododendrosum*, რომელიც გავრცელებულია 900-1800 მ. ზღვის დონიდან ფარგლებში (სურ. 3.1.4.)

იარუსი A: 10°-15°+ნდ, (ბონიტეტი =II, H საშ=26 მ., Dt=56 სმ, A=130°); დომინანტი ედიფიკატორი, *Fagus orientalis*, დამახასიათებელია *Carpinus caucasica*.

**იარუსი B:** დომინანტი, ედიფიკატორი *Rhododendron ponticum*, დამახასიათებელია *Laurocerasus officinalis*, *Hedera colchica*, *H. helix*, *Rubus caucasicus*, *Ruscus colchicus*. პროექციული დაფარულობა 80%.

**იარუსი C:** *Dryopteris filix-mas-Cop1*, *Trachystemon orientale*, *Dentaria quinquefolia*, *Salvia glutinosa*, *Solidago virgaurea*, *Circea lutetina*, *Cicerbita pontica - Sp.*

2) სოჭნარ-წიფლნარი შეკრის ქვეტყით **Abieto-Fagetum rhododendrosum**, რომელიც გავრცელებულია 1800-1900 მ. ზღვის დონიდან ფარგლებში

**იარუსი A:** 7წ.3სჭ.+ნკ. (ბონიტეტი = II, H საშ=25 მ., Dt=52 სმ, A=110<sup>o</sup>); დომინანტი ედიფიკატორი, *Fagus orientalis*, კოდომინანტი *Abies nordmanniana*, დამახასიათებელია *Acer trautvetteri*.

**იარუსი B:** დომინანტი *Rhododendron ponticum*, დამახასიათებელია *Laurocerasus officinalis*, *Ruscus colchicus*+*Dhododendron luteum*, *Ribes biebersteinii*, *Vaccinium arctostaphylos*, *Daphne mezereum*. პროექციული დაფარულობა 40%.

**იარუსი C:** *Asperula odorata*, *Oxalis villosa*, *Festuca montana*, *Geranium psilostemon Cop3*; *Trifolium canescens*, *Amoria ambigua Cop2*.



სურ. 3.1.4. წიფლნარი შეკრის ქვეტყით *Fagetum rhododendrosum*

**3) წიფლნარი წყავის ქეეტყით (*Fagetum laurocerasosum*), რომელიც გავრცელებულია 1200-1700 მ. ზღვის დონიდან ფარგლებში**

**იარუსი A:** 9წ.1რცხ. (ბონიტეტი = II, H საშ=27 მ., Dt=60 სმ, A=120წ); დომინანტი, ედიფიკატორი *Fagus orientalis*, დამახასიათებელია *Carpinus betulus*, *Tilia begonifolia*, *Picea orientalis*.

**იარუსი B:** დომინანტი *Laurocerasus officinalis* + *Rhododendron ponticum*, *Ilex colchica*, *Rusucus colchicus*,

**იარუსი C:** არ არის განვითარებული.

**4) წიფლნარი შეკრის და წყავის ქეეტყით (*Fagetum rhododendro-laurocerasosum*), რომელიც გავრცელებულია 1000-1700 მ. ზღვის დონიდან ფარგლებში (სურ. 3.1.5).**

**იარუსი A:** 10წ.+წ.ძ.+რცხ.+სჭ. (ბონიტეტი = II, H საშ=28 მ., Dt=56 სმ, A=130წ); დომინანტი, ედიფიკატორი *Fagus orientalis*, დამახასიათებელია *Castanea sativa*, *Carpinus betulus*, *Abies nordmanniana*, *Picea orientalis*. II იარუსი *Acer laetum*, *Sorbus torminalis*.

**იარუსი B:** დომინანტი *Laurocerasus officinalis*+*Rhododendron ponticum*, დამახასიათებელია *Viburnum lantana*, *Rhododendron luteum*, *Ruscus colchicus*, *Rubus caucasicus*, *Hedera colchica*, *Ilex colchica*, *Vaccinium arctostaphylos*, *Lonicera caucasica*. პროექციული დაფარულობა 80%.

**იარუსი C:** *Blechnum spicant*, *Dryopteris filix-mas*, *Athyrium filix-femina*, *Asperula odorata*, *Oxalis villosa*, *Cephalanthera grandiflora* -Sp.

**5) არყნარ-წიფლნარი დეკას ქეეტყით (*Betuleto-Fagetum caucasico-rhododendrozum*) რომელიც გავრცელებულია 1900-2400 მ. ზღვის დონიდან ფარგლებში (მხოლოდ კინტრიშის ნაკრძალში)**

**იარუსი A:** 6წ.4არყ.+ნკ.+ცირც. (ბონიტეტი = IV, H საშ=15 მ., Dt=20 სმ, A=95წ); დომინანტი, ედიფიკატორი *Fagus orientalis*, კოდომინანტი *Betula litwinowii*, *B. medwedewii*, დამახასიათებელია *Acer trautvetteri*, *Sorbus subfusca*.

**იარუსი B:** დომინანტი *Rhododendron caucasicum*, *Vaccinium arctostaphylos*, *V. myrtillus*. პროექციული დაფარულობა 70%.

**იარუსი C:** *Asperula odorata*, *Geranium psilostemon*, *G.sylvaticum*, *Chamenerion angustifolium*, *Aconitum nasutum*, *A. orientale*, *Festuca Montana*- Cop1; *Pulsatilla aurea* -Sp.



სურ. 3.15. წიფლნარი წყავის ქვეტყით Fagetum rhododendroso-laurocerasosum


### 3.2 წიფლნარი ფოთოლმცვენი (ზაფხულმწვანე) ქვეტყით (Fageta aestifruticosa)

1) წიფლნარი მოცვის ქვეტყით Fagetum arctostaphylosum, რომელიც გავრცელებულია 1200-1500 მ. ზღვის დონიდან ფარგლებში (სურ. 3.16)

**იარუსი A:** 10წ. + რცხ. (ბონიტები = III, H საშ=27 მ., Dt=60 სმ, A=170 მ); დომინანტი, ედიფიკატორი *Fagus orientalis*+*Carpinus caucasica*, *Acer laetum*, *Castanea sativa*.

**იარუსი B:** დომინანტი *Vaccinicum arctostaphylos*+*Rhododendron ponticum*, *Ilex colchica*, პროექციული დაფარულობა 70%.

**იარუსი C:** *Festuca montana*, *Luzula forsteri*, *Prunella vulgaris*, *Asperula odorata*, *Geranium rotundifolium*, *Gentiana schistocalyx*, *Cardamine pectinata*, *Paris incomplete* - **Cop1**; *Achillea bisserata*, *Solidago virgaurea*, *Hypericum buplerioides* - **Sp.**



სურ. 3.1.6. წიფლნარი მოცვის ქვეტყით (*Fagetum arctostaphylosum*)



სურ. 3.1.7 წიფლნარი იელის ქვეტყით (*Fagetum azaleosum*)

2) წიფლნარი იელის ქვეტყით (*Fagetum azaleosum*), რომელიც გავრცელებულია 1000-1600 მ. ზღვის დონიდან ფარგლებში (სურ. 3.1.7)

იარუსი A: 8 წფ.+2რცხ.+ცცხ. (ბონიტეტი = III, H საშ=25 მ., Dt=58 სმ, A=130ვ); დომინანტი, ედიფიკატორი *Fagus orientalis*, დამახასიათებელია *Carpinus betulus*, *Tilia begonifolia*.

იარუსი B: დომინანტი *Rhododendron luteum*, დამახასიათებელია *Vaccinium arctostaphylos*, *Rubus caucasicus*, *Ilex colchica*. პროექციული დაფარულობა 60%.

იარუსი C: *Dryopteris filix-mas*, *Asperula odorata*, *Circea lutetina*, *Salvia glutinosa* - **Cop<sub>1</sub>**; *Stachys silvatica*, *Calamintha grandiflora*, *Scrophularia chrisantha*, *Galeobdolon luteum*, *Trachystemon orientalis*, *Lusula forsterii*, *Festuca montana*, *Solidago virgaurea*, *Hypericum buplerioides* - **Sp**.

3) წიფლნარი ძახველის ქვეტყით (*Fagetum viburnosum*), რომელიც გავრცელებულია 1200-1600 მ. ზღვის დონიდან ფარგლებში

იარუსი A: 10წფ.+ნპ. (ბონიტეტი = II, H საშ=30 მ., Dt=64 სმ, A=145ვ); დომინანტი, ედიფიკატორი *Fagus orientalis*, დამახასიათებელია *Acer pseudoplatanus*, *Acer platanoides*, *Sorbus torminalis*.

იარუსი B: დომინანტი *Viburnum orientale*, დამახასიათებელია *Ilex colchicus*, *Vaccinium arctostaphylos*, *Hedera colchica*, *Ruscus colchicus*. პროექციული დაფარულობა 70%.

**iarusi C:** *Trachystemon orientale*, *Paris incompleta*, *Dentaria bulbifera*, *Rubus hirtus*, *Dryopteris filix-mas* - **Cop<sub>1</sub>**.

### 3.3. წიფლნარები მაყვალ-გვიმრიანი საფარით (*Fageta ruboso-filicosa*)

1) წიფლნარი მაყვლის ქვეტყით (*Fagetum rubosum*), რომელიც გავრცელებულია 900-1400 მ. ზღვის დონიდან ფარგლებში (სურ. 3.1.8.)

იარუსი A: 8წფ.1რცხ.1ცცხ. (ბონიტეტი = II, H საშ=30 მ., Dt=68 სმ, A= 160ვ); დონინანტი *Fagus orientalis*, დამახასიათებელია *Carpinus betulus*, *Tilia begonifolia*.

იარუსი B: დომინანტი მაყვალი *Rubus caucasica* +*Rhododendron luteum*, *Corylus avellana*, *Hedera colchica*, *Sambucus nigra*. პროექციული დაფარულობა 40-60%.

იარუსი C: DD*Dryopteris filix-mas*, *Asperula odorata*, *Circea lutetiana*, *Salvia glutinosa*, *Stachys silvatica*, *Calamintha grandiflora*, *Scrophularia chrysantha*, *Galeobdolon luteum*, *Trachystemon orientalis*- **Cop<sub>1</sub>**.

2) წაბლნარ-რცხილნარ-წიფლნარი მაყვლის ქედებით (**Castaneto-Carpinetum Fagetum rubosum**), რომელიც გავრცელებულია 800-900 მ. ზღვის დონიდან ფარგლებში

იარუსი A: 6წ.3რც.1წ.+ცც. (ბონიტები = III, H საშ=25 მ., Dt=52 სმ, A=140<sup>მ</sup>); დონინანტი, ედიფიკატორი *Fagus orientalis*, კოდომინანტი *Carpinus betulus*, *Castanea sativa*+*Tilia begonifolia*, *Picea orientalis*.

იარუსი B: დომინანტი *Rubus caucasica*, +*Rhododendron luteum*, *Rhododendron ponticum*, *Vaccinium arctostaphylos*, *Rusucus colchicus*, *Smilax exelsa*, პროექციული დაფარულობა 60-70%.

იარუსი C: *Asperula odorata*, *Athyrium filix-femina*, *Oxalis acetosella*, *Gentiana schischtocalyx*- Cop1.



სურ. 3.1.8. წიფლნარი მაყვლის ქედებით (*Fagetum rubosum*)

3) წიფლნარი გვიმრის საფარით (**Fagetum filicosum**), რომელიც გავრცელებულია 1200-1600 მ. ზღვის დონიდან ფარგლებში

იარუსი A: 10წ. (ბონიტები=II, H საშ=28მ., Dt=60სმ, A= 130<sup>მ</sup>); დომინანტი, ედიფიკატორი *Fagus orientalis*, დამახასიათებელია *Acer platanoides*, *Ulmus glabra*.

იარუსი B: დამახასიათებელია *Sambucus nigra*, *Rubus caucasicus*.

**იარუსი C:** - *Athyrium filix-femina*, *Dryopteris austriaca*, *D. filix-mas*, *Matteuccia struthiopteris* - **Cop<sub>3</sub>**; *Euphorbia macroceras*, *Pachyphragma macrophyllum*, *Paris incompleta*, *Polygonatum verticillatum*, *Symphytum asperum*. ერთეულად *Paeonia macrophylla*- **Cop<sub>2</sub>**.

### 3.4. წიფლნარები მკვდარი და ბალახოვანი საფარით (*Fageta nuda, herbosum*)

1) წიფლნარი მკვდარსაფრიანი (**Fagetum nudum**), რომელიც გავრცელებულია 600-1500 მ. ზღვის დონიდან ფარგლებში

**იარუსი A:** 9წ.1რც. (ბონიტეტი = I, H საშ=31მ., Dt=70სმ, A= 150-170ვ); დომინანტი, *Fagus orientalis*, დამახასიათებელია *Carpinus caucasica*.

**იარუსი B:** *Rubus caucasicus*, *Hedera colchica*

**იარუსი C** - არ არ არის განვითარებული.

2) წიფლნარი ანჩხლას საფარით **Fagetum trachystemosum**, რომელიც გავრცელებულია 600-1200 მ. ზღვის დონიდან ფარგლებში

**იარუსი A:** 8წ.2რც. (ბონიტეტი = II, H საშ=30მ., Dt=64სმ, A= 130ვ); დომინანტი, ედიფიკატორი *Fagus orientalis*, დამახასიათებელია *Carpinus betulus*, *Tilia begonifolia*.

**იარუსი B:** *Viburnum opulus*, *Sambucus nigra*.

**იარუსი C:** *Trachystemon orientale* -**Cop<sub>3</sub>**; *Asperula odorata*, *Athyrium filix-femina*, *Dryopteris filix-mas*, *Paris incompleta*, *Dentaria bulbifera* -**Cop<sub>1</sub>**.

3) წიფლნარი ხარისშუბლას საფარით (**Fagetum seneciosum**), რომელიც გავრცელებულია 1600-2000 მ. ზღვის დონიდან ფარგლებში

**იარუსი A:** 10წ.+ნკ.+სჭ.+ნძ. (ბონიტეტი = I, H საშ = 28მ., Dt=64სმ, A= 110ვ); დომინანტი, ედიფიკატორი *Fagus orientalis*, დამახასიათებელია *Acer trautvetteri*, *Abies nordmanniana*+*Picea orientalis*.

**იარუსი B:** დამახასიათებელია *Daphne mezereum*, *Vaccinium arctostaphylos*, *Ruscus colchicus*, *Rubus caucasicus*.

**იარუსი C:** *Adenostyles platiphyloides* - **Cop<sub>3</sub>**; *Asperula odorata*, *Athyrium filix-femina*, *Dryopteris filix-mas* - **Cop<sub>2</sub>**; *Aconitum orientale*, *Brachypodium silvaticum*, *Crepis abietina*, *Gentiana schystocalyx*, *Valeriana alleariifolia*, *Oxalis acetosella* - **Cop<sub>1</sub>**.

**4) წიფლნარი მარცვლოვან-ნაირბალახოვანი (*Fagetum graminos-mixtoherbosum*), რომელიც გავრცელებულია 1600-2000 მ. ზღვის დონიდან ფარგლებში**

**იარუსი A:** 10წ.+ნკ.+არყ. (ბონიტეტი = III, H საშ=26მ., Dt=52სმ, A= 145ვ); დომინანტი, ედიფიკატორი *Fagus orientalis*, დამახასიათებელია *Acer trautvetteri*, *Betula litwinowii*, *B.medwedewii*.

**იარუსი B:** დამახასიათებელია *Rhododendron luteum*, *Ribes biebersteinii*, *Vaccinium arctostaphylos*, *Daphne mezereum*.

**იარუსი C:** *Asperula odorata*, *Betonica granriflora*, *Anemone fasciculata*, *Festuca montana* - *Cop3*; *Briza australis*, *Bromopsis villosa*, *Calamagrostis arundinacea*, *Geranium psilostemon*, *Trifolium canescens*, *Amoria ambigua* - *Cop2*.

**5) *Fagetum festucosum*, რომელიც გავრცელებულია 1000-2000 მ. ზღვის დონიდან ფარგლებში**

**იარუსი A:** 10წ.+რცხ.+ნკ. (ბონიტეტი = II, H საშ=30მ., Dt=68სმ, A= 150ვ); დომინანტი, ედიფიკატორი *Fagus orientalis*, დამახასიათებელია *Carpinus betuluss+Acer trautvetteri*.

**იარუსი B:** დამახასიათებელია *Rhododendron luteum*, *Ilex colchicus*, *Rhododendron ponticum*, *Vaccinium arctostaphylos*.

**იარუსი C:** *Festuca montana*- *Cop3*, *Asperula odorata*, *Dentaria bulbifera*, *Rubus hirtus-Cop1*; *Oxalis acetosella*- Sp .

**6) წიფლნარი წმაღალბალახოვანი საფარით (*Fagetum altherbosum*), რომელიც გავრცელებულია 1800-2000 მ. ზღვის დონიდან ფარგლებში**

**იარუსი A:** 8წ.1სქ.1ნძ. (ბონიტეტი = III, IV; H საშ=20მ., Dt=52სმ, A= 105ვ); დომინანტი, ედიფიკატორი *Fagus orientalis*, დამახასიათებელია *Abies nordmanniana*, *Picea orientalis*, *Acer trautvetterii*.

**იარუსი B:** დამახასიათებელია *Daphne glomerata*, *Ribes biebersteinii*, *Rubus caucasicus*, *Rhododendron luteum*, *Rh. caucasicus*.

**იარუსი C:** *Adenostyles platiphylloides* - *Cop3*; *Asperula odorata*, *Athyrium filix-femina*, *Dryopteris filix-mas*, *Aconitum orientale*, *Inula magnifica*, *Grossheimia poliphylla*, *Symphytum asperum*, *Heracleum sosnowskyi*-*Cop2*.

მტირალას ეროვნული პარკის წიფლის სარტყელში ფართოდაა გავრცელებული განსაკუთრებული ესთეტიკური ეფექტით გამორჩეული და თვითმყოფადი კოლხურ ბუჩქნართა დაჯგუფება - მცენარეული თანასაზოგადოება „შქერიანი“, რომელიც 1 პა-ზე 35-მდე მესამეული პერიოდის მერქნიანი სახეობით არის წარმოდგენილი მსგავსს დედამიწის ზომიერი სარტყლის პირობებში სხვაგან ვერსად შევხვდებით. ამ ნიშანთვისებით (რა თქმა უნდა გამორჩეულად მაღალ უხვნალექიანობასთან და მთლიანად სახეობრივ და ეკოსისტემურ მრავალფეროვნებასთან ერთად) მტირალას ეროვნული პარკი განსაკუთრებულად მაღალი კონსერვაციული დირებულებებით გამოირჩევა (სურ. 3.1.9) იგი, პირველად ს. გოლიცინმა (Голицын, 1935; 1939; 1950) აღწერა, დამოუკიდებელ ფორმაციად გამოჰყო და ა. მაყაშვილის რჩევით „შქერიანი“ უწოდა. მას ტყის სარტყელში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს და წარმოდგენილია სახეობებით: *Rhododendron ponticum*, *Rh. uncinaria*, *Rh. luteum*, *Ilex colchica*, *Laurocerasus officinalis*, *Quercus ponticus*, *Ruscus colchicus*. უველაზე კარგად ეს ცენოზი გამოსახულია მდ. ყოროლისწყლის ხეობაში (მისი მარჯვენა შენაკადის ნამწვავისწყლის სათავეებში), სადაც შქერიანში გვხვდება აჭარა-ლაზეთის უიშვიათესი სახეობა *Epigaea gaultherioides*. შქერიანი ბალახოვანი საფრით მდიდარი არ არის, რაც ბუჩქნარის სიხშირითად გამოწვეული.



### სურ. 3.19. ფორმაცია “შეკრიანი” **Fagetum mixtofruticosum**“

თუმცა ჩრდილისა და ნების ამტანი ზოგიერთი სახეობა მაინც გვხვდება. ესენია: *Dryopteris oreopteris*, *Athyrium filix-femina*, *Blechnum spicant*, *Oxalis villosa* და სხვ.

**7) Fagetum mixtofruticosum** ≈ „შეკრიანი“, რომელიც გავრცელებულია 1100-1300 მ. ზღვის დონიდან ფარგლებში

**იარუსი A:** 10წყ. (ბონიტეტი = II, H საშ=30 მ., Dt=70 სმ, A= 150ვ);  
დომინანტი, ედიფიკატორი *Fagus orientalis*, +*Sorbus biossieri*, *Quercus pontica*.

**იარუსი B:** დომინანტი *Rhododendron ponticum*, *Laurocerasus officinalis*, *Ruscus colchicus*+*Frangula alnus*, *Viburnum opulus*, *Rubus caucasica*, *Euonymus leiophlea*, *Ilex colchica*, *Vaccinicum arctostaphylos*, *Rhododendron ungernii*, *Corylus avellana*, *Hedera colchica*, *H. helix*, *Smilax exels*, *Epigaea gaultherioides*.

**იარუსი C:** სუსტადაა განვითარებული - *Asperula odorata*, *Phyllitis scolopendrium*, *Oxalis villosa* - **Sp.**

სუბალპური მცენარეულობა-ზღვის დონიდან 2000-2100 მ-დან 2300-2400მ-მდე კრცელდება და შესაბამისად ჩვენს მიერ შესასწავლი ობიექტებიდან მხოლოდ კინტრიშის ნაკრძალისათვისაა დამახასიათებელი. როგორც გ. ნახუცრიშვილი (1971; 2000; Nakhutsrishvili, 2003), ნ. ზაზანაშვილი, რ. გაგნიძე, გ. ნახუცრიშვილი (Zazanashvili, Gagnidze, Nakhutsrishvili, 1995) აღნიშნავენ, სუბალპური სარტყელი ტყისა და ალპური სარტყელის მცენარე-ულობათა შორის ბრძოლის სარტყელია, რომელშიც ერთმანეთის გვერდით არსებობისათვის იბრძვიან ტყის, მდელოსა და ბუჩქნარების ტიპის ცენოზები.

შესაბამისად სუბალპურ სარტყელში გამოირჩევა სამი ზოლი. ქვედა ზოლი, რომელშიც ტყის სარტყელის ელემენტები სჭარბობენ, შუა ზოლი ტიპიური სუბალპური სარტყელის ელემენტებით და ზედა ზოლი ალპური სარტყელის ელემენტების სიჭარბით. აკად. ნ. კეცხოველის (1960) მიხედვით დასავლეთ საქართველოს სუბალპურ სარტყელში გამოირჩევა: სუბალპური ტყები, სუბალპური ბუჩქნარები, სუბალპური მდელოები და სხვა უფრო ნაკლებად სპეციფიკური ტიპები.

სუბალპური ტყეები აჭარაში ვრცელდება ზ. დ. 2100-2350 მ. საზღვრებში და წარმოდგენილია შემდეგი ფორმაციებით: სუბალპური ტანბრეცილები, სუბალპური მეჩხერი ტყითა და დეკიანით.

ამ სარტყელში თავმოყრილია ძირითადად მესამეული მეზოფილური დენდროფლორის წარმომადგენლები, კავკასიის, საქართველოსა, კოლხეთისა და აჭარის ენდემები: *Betula medwedewii*, *Quercus pontica*, *Rhamnus imeretina*, *Viburnum orientale*, *Rhododendron ponticum*, *Ilex colchica*, *Laurocerasus officinalis*, *Ribes biebersteinii*. სწორედ ამიტომ ა. დოლუხანოვი (Долуханов, 1966) დასავლეთ საქართველოს სუბალპურ სარტყელს თვლის მის ძირითად რეფუგიუმად.

სუბალპური ტანბრეცილები ძირითადად წარმოდგენილია წიფლნარებით, არყნარებითა და მუხნარებით.

ტანბრეცილი წიფლნარები სახეობრივი შემადგენლობით საკმაოდ მდიდარია (Мемиадзе, 1971). მერქნიანებიდან წიფლის გარდა ამ ფორმაციაში მონაწილეობენ: *Betula medwedewii*, *Quercus pontica*, *Sorbus boissieri*, *S. subfusca*, *Acer trautvetteri*, უფრო იშვიათად *Populus tremula*.

ბუჩქოვანი ქვეტყე საკმაოდ მეჩხერია, მაგრამ სახეობებით მდიდარია. მასში მონაწილეობენ: *Rhododendron ponticum*, *Rh. caucasicum*, *Laurocerasus officinalis*, *Ilex colchica*, *Daphne alboviana*, *D. mezereum*, *Salix caprea*, *S. caucasica*, *Corylus avellana*, *Ribes alpinus*, *Sorbus colchica*, *S. graeca*, *Rubus caucasicus*, *R. hirtus*, *Vaccinium arctostaphylos*, *V. myrtillus*, *Viburnum orientale*, *Lonicera caucasica*, *Juniperus sabina* და სხვ.

კიდევ უფრო მდიდარია ბალახოვანი საფარი ტანბრეცილ წიფლნარ ტყეებში, მაგრამ არათნაბრადაა განაწილებული. რაც უფრო მეჩხერია ტყე, იგი მით უფრო ხშირია. ტენიან ადგილებში განსაკუთრებით აღსანიშნავია გვიმრების სიუხვე. გვიმრებიდან აქ ვხვდებით: *Cystopteris fragilis*, *Dryopteris oreades*, *D. spinulosa*, *Thelypteris oreopteris*, *Phegopteris polypodioides*, *Gymnocarpium dryopteris*, *Polystichum lobatum*, *Athyrium alpestre*, *Phyllitis scolopendrium*, *Polypodium vulgare*. ტიალებში და ლარტაფებში თავს იხენებ მარცვლოვნები: *Trisetum pratense*, *Koeleria caucasica*, *Phleum nodosum*, *Agrostis planifolia*, *Calamagrostis arundinacea*, *Deschampsia caespitosa* და სხვ. მათთან ერთად გვხვდებიან ისლისებრნიც: *Carex pontica*, *C. caucasica*, *C. medwedewii*, *C. latifrons*. სხვა ბალახოვნებიდან გვხვდებიან: *Lilium szowitsianum*, *Muscari polyanthum*, *polygonatum verticillatum*, *Rumex arifolius*, *Cerastium cerastoides*, *Silene ruprechtii*, *Melandrium noctiflorum*, *Trollius patulus*, *Aconitum nasutum*, *Potentilla elatior*, *P. nordmanniana*, *P. adjarica*, *Geranium psilostemon*, *Euphorbia macroceras*, *Astrantia maxima*, *Chamaenerion angustifolia*, *Circea alpina*, *Symphytum asperum*, *Scrophularia chrisantha*, *Prenanthes purpurea*, *Senecio platyphylloides* და მრავალი სხვა.

სუბალპური მუხნარების ედიფიკატორია პონტოს მუხა. იგი სინათლის მოყვარულია და ძირითადად სამხრეთის ექსპოზიციებზე გვხვდება, როგორც ტანბრეცილი ასევე სწორტანოვანი სახით. ბალახოვნებიდანაც შესაბამისად გვხვდება უფრო ქსეროფიტული სახეობები.

არყნარების ფორმაცია წარმოდგენილია აჭარაში გავრცელებული არყის სამივე სახეობისაგან: *Betula medwedewii*, *B. litwinowii*, *B. pendula*. არყნარები გავრცელებულია ვიწრო ტენიანი ხეობების ციცაბო ფერდობებზე (Махатадзе, ურუაძე, 1972). წმინდა არყნარები აჭარაში არ გვხვდება, ისინი საქმაოდ მდიდარია სახეობრივი შემადგენლობით. კერძოდ აქ ვხვდებით: *Sorbus boissieri*, *S. colchica*, *Vaccinium myrtillus*, იშვიათად : *Laurocerasus officinalis*, *Rhododendron ponticum*, *Rh. caucasica*, *Ilex colchica*. ბალახოვნებიდან აღსანიშნავია: *Polystichum lobatum*, *Phyllitis scolopendrium*, *Carex medwedewii*, *Luzula pseudosudetica*, *Muscari polyanthum*, *Myosotis amoena*, *Symphitum asperatum* და სხვ.

**სუბალპურ ბუჩქნარებს** გარკვეული უპირატესობა ენიჭებათ ტყისა და მაღალმთის ფორმაციათა შორის ბრძოლის სარტყელში. ამ სარტყელში გვხვდება როგორც მარადმწვანე, ასევე ფოთოლმცვენი ბუქვანი სახეობები. ესენია: *Rhododendron caucasicum*, *Rh. ponticum*, *Daphne alboviana*, *Laurocerasus officinalis*, *Ilex colchica*, *Juniperus rufescens*, *J. sabina*, *Vaccinium arctostaphylos*, *V. uliginosum*, *V. myrtillus*, *Ruscus colchicus*, *Rhododendron luteum*, *Rosa boissieri*, *Salix kikodzea*, *S. caucasica*, *Rubus caucasicus*, *R. saxatilis* და სხვ. ბუჩქები ამ სარტყელში დაბალტანიანებია, სიმაღლით ერთ მეტრამდე. ზოგი მათგანი მიწაზეა გართხმული.

**დეკიანი.** დეკა (*Rhododendron caucasicum*) სუბალპური სარტყელისათვის ფრიად გავრცელებული და დამახასიათებელი ბუჩქია. ჩრდილოეთისა და დასავლეთის ფერდობებზე იგი ქმნის მეტად მნიშვნელოვან და თავისთავად ცენოზს, რომელსაც ნ. კეცხოველმა (1935) დეკიანი უწოდა. დეკიანი გავრცელებულია ძირითადად სუბალპურ სარტყელში, როგორც თავისთავადი ფორმაციის, ასევე ტანბრეცილ სუბალპურ ტყეებში ქვეტყის სახით, ასევე იგი ადის ალპურ სარტყელშიც. დეკიანი მეტად ხშირი დაჯგუფებაა, რაც განაპირობებს ბალახოვანი სახეობებით მის სიღარიბეს. ძირითადად აქ გვხვდებიან ხავსები. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გამეჩერებულ დეკიანებში გვხვდებიან: *Athyrium alpestre*, *Lilium szowitsianum*, *Viola orthoceras*, *Pulsatilla aurea*, *Aconitum nasutum*, *Delphinium flexuosum*, *Oxalis acetosella*, *Geranium platypetalum*, *G. psilostemon*, *Cerastium purpurescens* და სხვ.

უფრო მოშიშვლებულ, სუსტად გამდელოებულ მონაკვეთებზე უხვად გვხვდება *Scutellaria pontica*, *Betonica grandiflora*, *Thymus caucasicus*, *Th.Grossheimii*, *Melamphyrum caucasicum*, *M. alboffianum*, *Hypericum nordmanni*, *Purethrum coccineum*, *Tripleurospermum szowitsii*, *Hieracium*-ის სახეობები და სხვ. შედარებით ტენიან ადგილებში— წყაროებთან, ნაკადულებთან კი თავს იჩენენ *Cardamine siedlitziana*, *Hypericum buplerioides*, *Veronica monticola*, *Paederotella pontica*, *Doronicum macrophyllum*.

თუ კი დეკიანს ჩრდილოეთისა და დასავლეთის ფერდობები უჭირავს, სამხრეთისა და აღმოსავლეთის შედარებით მშრალ და ნაოელ ფერდობებზე გავრცელებულ ცენოზს წარმოადგენს ღვიანი, რომელსაც ქმნიან: *Juniperus sabina* და *J. pygmae*. ღვიანში მონაწილეობენ აგრეთვე *Vaccinium arctostaphylos*, *V. myrtillus*, *Rosa boissieri* და სხვ. ბალახოვნებიდან *DDianthus multicaulis*, *Senecio pandurifolius*, *Centaurea albovii*, *Minuartia*-ს სახეობები და სხვ.

**სუბალპურ სარტყელში ჩვენს მიერ გამოიყო შემდეგი ფიტოცენოზების ჯგუფები, ფიტოცენოზების ძირითადი ტიპები (ასოციაციები)**

#### 4. ფორმაცია არყნარი (*Betuleta*) (*Betula litwinowii*; *B. medwedewii*)

##### 4.1. არყნარი მარადმწვანე ქერტყით (*Betuleta sempervirentifruticosa*)

1) არყნარი დეკას ქერტყით (***Betuleto caucasico - rhododendrosum***), რომელიც გავრცელებულია 2200-2350 მ. ზღვის დონიდან ფარგლებში

იარუსი A: 8არყ.1ცრც.1ნპ.+ტრფ. (ბონიტეტი=IV, H საშ=15მ., Dt=20სმ, A= 90°); დომინანტი, ედიფიკატორი *Betula litwinowii*, *B. medwedewii*, დამახასიათებელია *Sorbus aucuparia*, *Salix caprea*, *Acer traubwetteri*.

იარუსი B: დომინანტი *Rhododendron caucasicum*, დამახასიათებელია *Ribes biebersteinii*, *Daphne mezereum*, *Vaccinium myrtillus*, *V. arctostaphylos*, *Sorbus subfusca*. პროექციული დაფარულობა 70%.

იარუსი C: *Gentiana schystocalyx*, *Milium effusum*, *M. schmidianum*, *Oxalis acetosella*, *Pyrola rotundifolia*, *Senecio rhombifolius*- Cop<sub>1</sub>.

##### 4.2 არყნარი ბალახოვნაი საფარით (*Betuleta herbosum*)

1) არყნარი სუბალპური მაღალბალახოვნებით (***Betuletum altherbosa subalpina***), რომელიც გავრცელებულია 2200-2350 მ. ზღვის დონიდან ფარგლებში

**იარუსი A:** 8არყ.1ცრც.1ტრფ. (ბონიტეტი=V, H საშ=10მ., Dt=15სმ, A= 70°); დომინანტი, ედიფიკატორი *Betula litwinowii*, *B. medwedewii*, დამახასიათებელია *Sorbus aucuparia*, *Salix caprea*, *Fagus orientalis*, *Acer trautwetteri*.

**იარუსი B:** *damaxasia* *Tebelia* *Rhododendron luteum*, *Rhododendron caucasicum*, *Ribes biebersteinii*, *Daphne mezereum*, *Rubus idaeus*.

**იარუსი C:** *Alchemilla caucasica*, *Anemone fasciculata*, *Anthoxanthum odoratum*, *Calamagrostis arundinacea*, *Cephalaria gigantea*, *Geranium ibericum*, *Gentiana schystocalyx*, *Milium effusum*- Cop<sub>3</sub>; *M. schmidtianum*, *Oxalis acetosella*, *Adenostyles rhombifolius*- Cop<sub>2</sub>; *Pyrola rotundifolia*- Cop<sub>1</sub>.

სუბალპების მაღალბალანეულობა მაღალმთის მცენარეულობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ტიპია. საქართველოს ბუნების დიდი მკვლევარი ვახუშტი ბატონიშვილი (1944) მას “შამბ-ბალახ-შროშა-ნიახს” უწოდებდა. ნ. კეცხოველის (1960) მიხედვით სუბალპური მაღალბალანეულობა ტიპიურია დასავლეთ საქართველოში-კავკასიონზე და აჭარა-იმერეთის ქედზე და მას კოლხეთის სუბალპური მაღალბალანეულობა ეწოდება. იგი უძველესი თავისთავადი ცენოზია. მისი წარმოშობა და შემადგენლობა მჭიდროდაა დაკავშირებული შესაბამისი რაიონების (ხეობების) ბუნებრივ პირობებთან. სუბალპური მაღალბალანეულობის შექმნაში მონაწილეობენ 1-2 მ. სიმაღლის ბალახოვნები, რომელთა ფლორისტული შემადგენლობა მეტად მრავალფეროვანია. სულ აღინიშნება 200-მდე სახეობა, ამათგან უველა ხეობებისათვის დამახასიათებელია 90 სახეობა. ამ საერთო სახეობებიდან აღსანიშნავია: *Lilium szowitsianum*, *Paeonia macrophylla*, *Aquilegia caucasica*, *Delphinium flexuosum*, *Aconitum nasutum*, *Geranium psilostemon*, *Hypericum buplerioides*, *Astrantia maxima*, *Antriscus nemorosa*, *Cnidium grossheimi*, *Ligusticum arafae*, *L. alatum*, *Xanthogalum purpurescens*, *Laserpitium affine*, *L. steveni*, *Sympytum asperum*, *Valeriana alliariifolia*, *Knautia montana*, *Cephalaria gigantea*, *Pyrethrum macrophyllum*, *Senecio platyphylloides*, *S. propinquus*, *S. cladobotrys*, *Cirsium hypoleucum*, *Prenanthes abietina*, *P. purpurea*, *Cicerbita petiolata*, *Euphorbia oblongifolia*, *E. scripta*, *Chamaenerion angustifolia*, *Heracleum cyclocarpum*, *H. sosnovskyi*, *Cirsium aggregatum*, *Grossheimia macrophylla*, *Gadelia lactiflora*. გარდა მაღალი ბალახოვნებისა ამ ტიპის ცენოზში ვხვდებით შედარებით დაბალ სახეობებსაც: *Koeleria caucasica*, *Carex pallescens*, *C. latifrons*, *Silene multifida*, *Potentilla elatior*, *Vicia crocea*, *Erigeron caucasicus*, *Crepis pontica* და სხვ.

ზემოაღნიშნული სახეობების უმეტესობა კოლხური, კავკასიისა და კოლხეთ-ლაზეთის ელემენტებია. სწორედ ამიტომ აჭარა-შავშეთის სუბალპური მაღალბალახეულობის ფლოროცენოტურ კომპლექსს სუპერკოლხურს უწოდებენ.

**სუბალპური მდელოები** სუბალპური მაღალბალახეულობის ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს. ბალახეულობის სიმაღლე აქ 1 მ-მდეა. სუბალპური მდელოები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ფლორი-სტული შემადგენლობით, შესაბამისად გამოიყოფა სამი ძირითადი ჯგუფი—მარცვლოვანი, მარცვლოვან-ნაირბალახოვანი და ნაირბალახოვანი სუბალპური მდელოები.

მარცვლოვანი სუბალპური მდელოების მთავარი შემადგენელია: *Anthoxanthum odoratum*, *Deschampsia caespitosa*, *Lerchenfeldia flexuosa*, *Trisetum flavescens*, *Phleum alpinum*, *Ph. nodosum*, *Agrostis planifolia*, *Ag. tenuis*, *Poa iberica*, *P. longifolia* და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ძიგვა (*Nardus stricta*), რომელიც ასარევლიანებს საძოვრებს. მარცვლიან მდელოებს ძირითადად სამხრეთის მზიანი და მშრალი ფერდობები უჭირავთ.

მარცვლოვან-ნაირბალახოვან მდელოებს ზემოაღნიშნულ სახეობებთან ერთად ქმნიან მეტწილად *Carum carvi*, *C. meifolium*, *Ajuga orientalis*, *Betonica grandiflora*, *Trifolium ambiguum*. ეს ჯგუფი ძირითადად გვხვდება ტენიან და ჩრდილოეთის ფერდობებზე.

უფრო ჩვეულებრივია ნაირბალახიანი მდელოები მრავალი ვარიანტით. ქვა-ქვიშიან ფერდობებზე კრაზანას სახეობები ყვავილობისას ქმნიან მკვეთრ ასპექტს *Hypericum perforatum*, *H. polygonifolium*, *H. pruinatum*, *H. nordmanniana* მათთან ერთად გვხვდება აგრეთვე *Thymus caucasicus*, *Melamphyrum caucasicum*, *Androsace intermedia*, *A. albana* და სხვ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სუბალპურ მდელოებზე მთის ბარისპირას (*Betonica grandiflora*) გავრცელება. მისი მონაწილეობით ფლორისტულად მდიდარი კომბინაციები იქმნება, რომელშიც მონაწილეობენ ასევე *Scutellaria pontica*, *Calamintha grandiflora*, *Verbascum alpinum*, *Scrophularia chrysantha*, *Aconitum orientale*, *Potentilla erecta* და სხვ.

საქონლის სადგომებთან გავრცელებულია მთის დვალო. ჩრდილო-დასავლეთის ფერდობების მდელოებზე ძირითადად წარმოდგენილია ნემსიწვერას სახეობები: *Geranium psilostemon*, *G. ibericum*. აქვე გვხვდებან: *Heracleum apiiifolium*,

*Pedicularis caucasica*, *Solidago sausasica*, *Cerastium hemschinicum*, *Ranunculus astrandiefolius* და სხვ.

სუსტად დახრილ ფერდობებზე გვხვდებიან ბოლქვოვანი სახეობებიც: *Muscari polyanthum*, *Bellevalia paradoxa*, *Scilla winogradowii*, *Puschkinia scilloides*, *Fritillaria latifolia*, *Ornithogalum balansae*, *Crocus speciosus*, *C. vallicola*. მთელ სუბალპურ მდელოებზე ჩვეულებრივია შხამა *Veratrum lobelianum*. ჭარბტენიან ნიადაგებზე გვხვდება მდელოსა და ჭაობს შორის გარდამავალი ასოციაციები, რომლებშიც მნიშვნელოვან მონაწილეობას ღებულობენ: *Juncus alpinus*, *Caltha polypetala*, *Cardamine seidlitsiana*, *Epilobium alpinum*, *Veronica monticola*, *V. baccabunga*, *V. anagallis*.

### 3.2. აჭარის დაცული ტერიტორიების ფლორის ანალიზი

აჭარის ფლორის სახეობრივი მრავალფეროვნების შესახებ “საქართველოს ფლორის” (1971-2003), ახევე ა. დმიტრიევას (Дмитриева 1990), ა. დავითაძის 2001, ხორქოვ, მაზურენკო, 1993; ხორქოვ, მანველიძე, მაზურენკო, მემიაძე, 1998; ნ. მემიაძე, 2005, Manvelidze Z. K., Memiadze N.M., Kharazishvili D.Sh., Varshnidze N. I., 2008, 2010 მონაცემების და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ბოტანიკური ბაღის ადგილობრივი ფლორისა და ბუნების დაცვის განყოფილების მიერ 1990-2004 წლების ექსპედიციების შედეგების მიხედვით მოპოვებული აჭარისათვის და საქართველოსათვის ახალი სახეობების უახლოესი სისტემატიკური ნომენკლატურით (რ. გაგნიძე (1971-2004), Czerepanov, 1995, Takhtajan, 1997, Gagnidze,.. 2005, Mabberley 1997) დაზუსტებული სიის მიხედვით აჭარის ფლორისტულ რაიონში აღირიცხება ველურად მოზარდი 1848 სახეობა რომლებიც ერთიანდებიან **157** ოჯახის **725** გვარში. თუ კი მხედველობაში მივიღებთ სახეობების, სახეობათა ვარიაციისა და ქვესახეობების საერთო რაოდენობას (1848) ფართობის ერთეულზე (2900 კმ<sup>2</sup>), შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ აჭარა ყველაზე მდიდარი ფლორისტული რაიონია მთელს კავკასიის ეკორეგიონში.

#### 3.2.1. კინტრიშის დაცული ტერიტორიები ფლორის ანალიზი

კინტრიშის ფლორის ინგენტარიზაციის დიტერატურული და ჩვენი სავალე მუშაობის შედეგად დადგინდა, რომ იგი წარმოდგენილია 894 სახეობით, რომლებიც 116 ოჯახის 396 გვარში ერთიანდებიან.

სახეობები მსხვილ ტაქსონომიურ ერთეულებში შემდეგნაირად ნაწილდებიან (ცხრილი 3.2.1.1):

კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზე დაფიქსირებული 894 სახეობიდან გვიმრანაირია 29 სახეობა-3,2%, რომლებიც ერთიანდებიან 13 ოჯახსა და 18 გვარში. შიშველთესლოვანია -6 სახეობა-0,6%, რომლებიც აქ წარმოდენილი არიან 3 ოჯახით და 2 გვარით და ფარულთესლოვანი 100 ოჯახისა და 572 გვარით წარმოდგენილი 861 სახეობა-96,3%.

სახეობათა რაოდენობის მიხედვით წამყვანი 10 ოჯახია: Asteraceae-119, Poaceae-67, Rosaceae-59, Fabaceae-48, Scrophulariaceae-42, Caryophyllaceae-41, Apiaceae-38, Lamiaceae-37, Boraginaceae-23, Brassicaceae-23, რაც მთელი ფლორის შემადგენლობის 55,5 %- ს შეადგენს.

**ცხრილი 3.2.1.1** სახეობათა განაწილება ტაქსონომიურ ერთეულებში კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზე

ტაქსონომიური ჯგუფი	ოჯახი	გვარი	სახეობა
Pteridophyta	13	18	29
Spermatophyta	103	574	865
Gymnospermae	3	2	5
Angiospermae	100	572	861
Dicotyledones	83	494	721
Monocotyledones	17	78	140
<b>სულ</b>	<b>116</b>	<b>593</b>	<b>894</b>

კინტრიშის დაცულ ტერიტორიების ფლორისა და აჭარის ფლორისტული რაიონის სახეობათა რაოდენობის მიხედვით წამყვანი ოჯახების თანმიმდევრობა შედარებისათვის მოგვყავს ცხლილში (ცხრილი 3.2.1.2).

როგორც ცხრილი 3.3.1-დან ჩანს, პირველი ორი ოჯახი ორივე ფლორისათვის ერთნაირია სახეობათა სიმრავლით. წამყვანი ოჯახების მრავალფეროვნებაც დაახლოებით ერთნაირია, ნაკრძალის ფლორა ფლორის სისტემატიკური

სტრუქტურის პარამეტრებით ბორეალური ფლორისტული ოლქის კონკრეტულ ფლორებს შეესაბამება (Шмидт, 1980, 1984).

ფართო გავრცელებით ოვალსაჩინო ადგილი უჭირავს სახეობებით მდიდარ გვარებს: Carex-14, Veronica, Potentilla-12, Trifolium, Cirsium, Hieracium-11, Alchemilla, Euphorbia-10, Centaurea, Rubus-9, Hypericum, Ranunculus, Geranium, Lathyrus, Scrophularia, Senecio, Cardamine-8.

**ცხრილი 3.2.1.2 კინტრიშის დაცული ტერიტორიებისა და აჭარის ფლორისტული რაიონის წამყვანი ოჯახები**

№	კინტრიშის დაცული ტერიტორიების			აჭარის ფლორისტული რაიონი		
	ოჯახი	სახეობათა რაოდენობა	%	ოჯახი	სახეობათა რაოდენობა	%
1	<i>Asteraceae</i>	119	13,3	<i>Asteraceae</i>	210	11,4
2	<i>Poaceae</i>	67	7,5	<i>Poaceae</i>	146	7,94
3	<i>Rosaceae</i>	59	6,6	<i>Fabaceae</i>	102	5,55
4	<i>Fabaceae</i>	48	5,3	<i>Cyperaceae</i>	74	4,02
5	<i>Scrophulariaceae</i>	42	4,6	<i>Rosaceae</i>	71	3,86
6	<i>Caryophyllaceae</i>	41	4,5	<i>Scrophulariaceae</i>	66	3,57
7	<i>Apiaceae</i>	38	4,3	<i>Lamiaceae</i>	62	3,37
8	<i>Lamiaceae</i>	37	4,1	<i>Brasicaceae</i>	61	3,32
9	<i>Boraginaceae</i>	23	2,5	<i>Liliaceae</i>	47	2,55
10	<i>Brassicaceae</i>	23	2,5	<i>Apiaceae</i>	47	2,55

საკმაოდ საინტერესოა კინტრიშის დაცული ტერიტორიების ფლორის მცენარეთა სასიცოცხლო ფორმების მრავალფეროვნება, რაოდენობა და მათი ურთიერთთანაფარდობით გამოხატული ბიოლოგიური სპეციები.

მის შემადგენლობაში არის როგორც მერქნიანი (ხე, ბუჩქი, ხე-ბუჩქი, ლიანა), ასევე ბალახოვანი სახეობები, რომელთა რაოდენობრივი მაჩვენებლები შემდეგნაირადაა წარმოჩნილი:

ხე	36
ბუჩქი	55
ხე ან ბუჩქი	19
ლიანა	5
გვიმრა	29
მრავალწლოვანი ბალახონგანი მცენარე	569
ერთწლიანი ბალახონგანი მცენარე	106
ორწლიანი ბალახონგანი მცენარე	55
ტუბერ-ბოლქვიანი მცენარე	27

ისევე როგორც მტირალას ეროვნული პარკის ფლორაში კინგრიშის ნაკრძალშიც მერქნიანები რაოდენობრივი მაჩვნებლებით დიდად ჩამორჩებიან ბალახოვნებს, მაგრამ ძლიერ გავრცელებული და გაბატონებული არიან. მერქნიანები გამოირჩევიან ბიოეკოლოგიური ტიპითაც. მათი უმრავლესობა მეზოფილური ფლორის ელემენტებია, რომელთაგან 20-ზე მეტი სახეობა მარადმწვანეა. ბევრი ბუჩქთაგანი ეკოლოგიური ფაქტოტებიდან გამომდინარე ხის ზომებს აღწევს. ამიტომ ზემოთ კლასიფიკაციაში მოგვყავს ხე ან ბუჩქი.

ბალახოვანია 779 (87,13%) სახეობა, რომელთაგანაც ერთწლიანია-106 (11,82%), ორწლოვანი-55 (6,1%), მრავალწლოვანი- 588 (65,7%). ამრიგად ყველაზე დიდი პროცენტით სასიცოცხლო ფორმებში მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეებია წარმოდგენილი, თუმცა გაბატონებული და ფონის მომცემი მერქნიანი სახეობებია.


მრავალფეროვანია კინგრიშის დაცული ტერიტორიების ფლორის სახეობათა გეოგრაფიული სპეცირი, რომელშიც წარმოდგენილია ძირითადი კოლხური და გარდამავალი კოლხურ-კავკასიური, კავკასიურ ჰირკანული, ევქსინის ჯგუფები, მთლიანად ეს ჯგუფი წარმოდგენილია 193 სახეობით, რაც მთელი ფლორისტული შემადგენლობის ელემენტი, რაც მთელი ფლორისტული შემადგენლობის 21,6 %-ს შეადგენს. ამათგან მნიშვნელოვანია კოლხური ელემენტი 156 სახეობით. არა მარტო სახეობრივი, არამედ სასიცოცხლო ფორმების დიდი მრავალფეროვნებთ წარმოდგენილი კოლხური ელემენტი ხეობის ძირითად ბირთვს შეადგენს. კოლხური ელემენტი იმდენად ჩვეულებრივია, რომ ტიპიური მაგალითისათვის რომელიმე მათგანის არჩევაც კი ძნელია. ისინი გავლენას ახდენენტყოს სარტყლის დიდი ნაწილის ფლორის საე-

რთო შემადგენლობაზე. კოლსური ელემენტი განსაკუთრებული მრავალფეროვნებით მაინც სუბალპურ სარტყელშია წარმოდგენილი (107 სახეობა).

ყველაზე დიდი მრავალფეროვნებით ბორეალური ელემენტია წარმოდგენილი 398 სახეობით, მთლიანი ფლორისტული შემადგენლობის 44,5%-ს შეადგენს, რომელიც ძირითადად პალეარქტიკული, ჰოლარტიკული და ევროპული ელემენტებითაა წარმოდგენილი. ეს კიდევ ერთჯერ ადასტურებს, რომ ნაკრძალის ფლორა ბორეალური ფლორისტული ოლქის ფლორებს შეესაბამება.

საკმაო წარმომადგენლობითაა ხმელთაშუაზღვის ელემენტი 115 სახეობით 12,8%. კავკასიურ-მცირე აზიური -90 სახეობა-10 %. კინტრიშის ხეობა თავისი მდებარეობითა და წარსულით დაკავშირებულია კავკასიის და მცირე აზიის ფლორისტულ ცენტრებთან, ძირითადად კოლხური კლასის არეალს მიეკუთვნება, მაგრამ იგი ამავე დროს კავკასიის საერთო არეალში შედის, რომელიც თავის მხრივ მცირე აზიას ესაზღვრება. ასევე მნიშვნელოვანი წილი მოდის ეუქსინურ – 54 სახეობა-6 % და ეუქსინურ-ჰირკაუნულ- 36 - 4% სახეობებზე.

კინტრიშის დაცული ტერიტორიების ფლორისტული შემადგენლობის გეოელემენტთა შეფარდება კარგად ჩანს დიაგრამაზე (დიაგრამა 3.2.1.1.).



**დიაგრამა 3.2.1.1** კინტრიშის დაცული ტერიტორიების ფლორის სახეობათა შემადგენლობის გეოგრაფიული სპექტრი.

### 3.2.2. მტირალას ეროვნული პარკის ფლორის ანალიზი

მტირალას ეროვნული პარკის ფლორის ინგენტარიზაციის შედეგად დადგინდა, რომ იგი წარმოდგენილია 522 სახეობით, რომლებიც 107 ოჯახის 306 გვარში ერთიანდებიან.

სახეობები მსხვილ ტაქსონომიურ ერთეულებში შემდეგნაირად ნაწილდებიან (ცხრილი 3.2.2.1):

**ცხრილი 3.2.2.1** სახეობათა განაწილება ტაქსონომიურ ერთეულებში

ტაქსონომიური ჯგუფი	ოჯახი	გვარი	სახეობა
<b>Pteridophyta</b>	<b>13</b>	<b>16</b>	<b>25</b>
<b>Spermatophyta</b>	<b>93</b>	<b>289</b>	<b>496</b>
Gymnospermae	1	1	1
Angiospermae	92	288	495
Dicotyledones	76	242	428
Monocotyledones	16	46	67
<b>სულ</b>	<b>107</b>	<b>306</b>	<b>522</b>

ეროვნულ პარკში დაფიქსირებული 522 სახეობიდან გვიმრანაირია 25 სახეობა, რომლებიც ერთიანდებიან 13 ოჯახსა და 16 გვარში. შიშველთესლოვანია -1 სახეობა, და ფარულთესლოვანი 522 სახეობა, რომლებიც 92 ოჯახსა და 242 გვარში ერთიანდებიან.

სახეობათა რაოდენობის მიხედვით წამყვანი 10 ოჯახია: Asteraceae-66, Poaceae-35, Fabaceae-30, Rosaceae-28, Lamiaceae-27, Brassicaceae-26, Scrophulariaceae-22, Apiaceae-21, Boraginaceae-16, Caryophyllaceae-13 რაც მთელი ფლორის შემადგენლობის 54,4 %-ს შეადგენს.

მტირალას ეროვნული პარკის ფლორისა და აჭარის ფლორისტული რაიონის სახეობათა რაოდენობის მიხედვით წამყვანი ოჯახების თანმიმდევრობა შედარებისათვის მოგვყავს ცხლილში (ცხრილი 3.2.2.2

**ცხრილი 3.2.2.2** მტირალას ეროვნული პარკისა და აჭარის ფლორისტული რაიონის წამყვანი ოჯახები

№	მტირალას ეროვნული პარკი			აჭარის ფლორისტული რაიონი		
	ოჯახი	სახეობათა რაოდენობა	%	ოჯახი	სახეობათა რაოდენობა	%
1	<i>Asteraceae</i>	66	12,6	<i>Asteraceae</i>	210	11,4
2	<i>Poaceae</i>	35	6,7	<i>Poaceae</i>	146	7,94
3	<i>Fabaceae</i>	30	5,7	<i>Fabaceae</i>	102	5,55
4	<i>Rosaceae</i>	28	5,3	<i>Cyperaceae</i>	74	4,02
5	<i>Lamiaceae</i>	27	5,1	<i>Rosaceae</i>	71	3,86
6	<i>Brassicaceae</i>	26	4,9	<i>Scrophulariaceae</i>	66	3,57
7	<i>Scrophulariaceae</i>	22	4,2	<i>Lamiaceae</i>	62	3,37
8	<i>Apiaceae</i>	21	4,02	<i>Brasicaceae</i>	61	3,32
9	<i>Boraginaceae</i>	16	3	<i>Liliaceae</i>	47	2,55
10	<i>Caryophyllaceae</i>	13	2,4	<i>Apiaceae</i>	47	2,55

როგორც ცხრილი 3.2.1-დან ჩანს, პირველი სამი ოჯახი ორივე ფლორისათვის ერთნაირია სახეობათა სიმრავლით. ოჯახები *Cyperaceae* და *Liliaceae* აჭარის მთლიანი ფლორის შემადგენლობაში სახეობათა სიმრავლით გამორჩეულ ოჯახებს შორისაა, განსხვავებით მტირალას ეროვნული პარკისაგან. ეროვნულ პარკში ოჯახების *Cyperaceae* და *Liliaceae* სახეობებით მდიდარ ოჯახებს შორის არ არსებობა შეიძლება აიხსნას მისი სიმაღლებრივი ზონალობით. კერძოდ, იმით, რომ პარკის ტერიტორიაზე არ არის სუბალპურალპური სარტყელები.

ფლორის ანალიზისას ასევე გაირკვა სახეობებით მდიდარი გვარებიც. ესენია: Trifolium-9, Polygonum-7, Rubus -7, Epilobium-6, Hypericum-6, Rumex-5, Stachys-5, Vicia-5, Geranium -5, Viola-5, Veroniva-5.


ფლორის ანალიზისათვის გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება მცენარეთა სასიცოცხლო ფორმების მრავალფეროვნებას, რაოდენობასა და მათ ურთიერთთანაფარდობას, რითაც გამოიხატება ბიოლოგიური სპექტრი. პარკის ფლორის შემადგენლობაში არის როგორც მერქნიანი (ხე, ბუჩქი, ხე-ბუჩქი, ლიანა), ასევე ბალახოვანი სახეობები. სასიცოცხლო ფორმების რაოდენობრივი მაჩვენებლები შემდეგნაირადაა წარმოჩენილი:

ხე-----	32
ბუჩქი -----	41
ხე ან ბუჩქი-----	5
ლიანა -----	5
გვიმრა -----	25
მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე-----	419
ერთწლიანი ბალახოვანი მცენარე-----	116
ორწლიანი ბალახოვანი მცენარე-----	36
ტუბერ-ბოლქვიანი მცენარე -----	20

სასიცოცხლო ფორმების მიხედვით მტირალას ეროვნული პარკის მთლიანი ფლორისტული შემადგენლობიდან მერქნიანია- 78 (14,9%) სახეობა, მათ შორის ხე- 32, ბუჩქი-41, ლიანა-5 სახეობა, რაც ფანეროფიტებისათვის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. ზღვისპირა აჭარის ამ თავისებურებაზე ჯერ კიდევ 1935 წელს მიუთითა გოლიცინმა (Голицин, 1935). ეროვნული პარკის მერქნიანები მარტო სახეობრივი სიმრავლით როდია საინტერესო. თუმცა ისინი რაოდენობრივი მაჩვენებლებით დიდად ჩამორჩებიან ბალახოვნებს, მაგრამ ძლიერ გავრცელებული და გაბატონებული არიან. მერქნიანები გამოირჩევიან ბიოკოლოგიური ტიპითაც. მათი უმრავლესობა მეზოფილური ფლორის ელემენტებია, რომელთაგან 20-მდე სახეობა მარადმწვანეა; ბალახოვანია 419 (80,26%) სახეობა, რომელთაგანაც ერთწლიანია-116 (22,2%), ორწლოვანი-36 (6,8%), მრავალწლოვანი-292 (55,9%). ამრიგად ყველაზე დიდი პროცენტით სასიცოცხლო

ფორმებში მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეებია წარმოდგენილი, თუმცა გაბატონებული და ფონის მომცემი მერქნიანი სახეობებია.

საკმაოდ მრავალფეროვანია მტირალას ეროვნული პარკის ფლორის სახეობათა გეოგრაფიული სპექტრი, რომელშიც ყველაზე მეტი რაოდენობით -134 სახეობა, ბორეალური ელემენტი სჭარბობს და ფლორისტული შემადგენლობის 25,6%-ს შეადგენს. 125 სახეობით წარმოდგენილია კოლხური ელემენტი, რაც მთელი ფლორისტული შემადგენლობის 24%-ს შეადგენს, ხმელთაშუაზღვისპირულ-წინააზიური ელემენტისახეობით-115 – 22%, კავკასიური-67 სახეობა-12,8%, მცირე აზიული -38 სახეობა - 7% -უქსინური – 34 სახეობა-6,5%, სხვა ელემენტი-10 სახეობა-1,9%. პარკის ფლორისტული შემადგენლობის გეოგლემენტთა შეფარდება კარგად ჩანს დიაგრამაზე (დიაგრამა 3.2.2.1.)



### დიაგრამა 3.2.2.1. მტირალას ეროვნული პარკის ფლორის სახეობათა შემადგენლობის გეოგრაფიული სპექტრი

მაშასადამე, მტირალას ეროვნული პარკის ფლორაც, კინტრიშის ფლორის მსგავსად ბორეალური ტიპისაა. კოლხური ელემენტები, ეროვნული პარკის ფლორის ძირითად ბირთვს შეადგენენ, რომლებიც წარმოდგენილნი არიან არა

მარტო სახეობრივი არამედ სასიცოხლო ფორმების დიდი მრავალფეროვნებითაც. კოლხური ელემენტი ძველი ხმელთაშუაზღვეთის ფლორის ელემენტებთან ერთად შექმნილ თავისთავად და თვითმყოფადი აცოციაციებით მუდმივ ფლორისტიკულ შემადგენლობასა და განსაკუთრებულ ორიგინალურ გარემოს ქმნიან. ამით ტიპიური მაგალითი ფორმაცია „შქერიანია“, რომელზეც მცენარეულობაში უკვე აღვნიშნეთ.

აჭარის დაცული ტერიტორიების მცენარეთა სახეობების სრული სია მოცემულია **დანართი 1-ში.**

კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზე და მტირალას ეროვნულ პარკში გავრცელებული მერქნიანი სახეობებიდან ჩრდილის ამტანია 10, სინათლის მოყვარულია 69, სითბოს მომთხოვნია 58, ყინვაგამძლეა 36, მეზოფიტი, ანუ ნიადაგის ტენიანობისადმი საშუალო მოთხოვნილებისაა 23, ჰიგროფიტი, ანუ ნიადაგის ტენიანობისადმი მომთხოვნია 2 სახეობა (**დანართი 2**)

კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზე და მტირალას ეროვნულ პარკში გავრცელებული მერქნიანი სახეობებიდან რელიქტურებია: ცარცის პერიოდის 1, მესამეული პერიოდის არქომესამეული 1, ტუგაის 29, ქსეროთერმული პერიოდის 1, ყინულოვანი პერიოდის 1, პოლტავის ფლორის 6 (**დანართი 3**).

### 3.3. კინტრიშის დაცული ტერიტორიებისა და მტირალას ეროვნული პარკის ფლორის ენდემები

კინტრიშის დაცული ტერიტორიებისა და მტირალას ეროვნული პარკის ფლორა და მცენარეულობა გამოირჩევა უძველესი მცენარეული დაჯგუფებებითა და რელიქტური და ენდემური სახეობებით მდიდარი ფლორისტული კომპლექსების სიჭარბით. ამ მრავალფეროვნებაში განსაკუთრებული ადგილი ენდემურ ფლორას უჭირავს, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს რეგიონალური ფლოროგენეზური პროცესების დადგენისათვის, რაც გზას გვიხსნის ფლორისა და მცენარეულობის ჩამოყალიბებისა და მისი შემდგომი განვითარების შეცნობისაკენ.

ენდემური სახეობები ყველა ფლორის სპეციფიკური შემადგენელი ნაწილია და სწორედ მათ საფუძველზე ხდება ფლორის აბსოლუტური განსხვავების

დადგენა. ისინი უპირველეს ყოვლისა გამოიყენებიან შე-სასწავლი ფლორების სხვა ფლორებისაგან განსხვავების დასადგენად.

ამა თუ იმ ქვეყნისა თუ რეგიონის ენდემიზმის მაღალი დონე არის ფლორისტული ორიგინალობის ძირითადი მაჩვენებელი და ამავდროულად მიგვითოთებს იმაზე, რომ ამ ტერიტორიაზე მიმდინარეობდა და მიმდინარეობს სახეობათაწარმოქმნის ინტენსიური პროცესები. ენდემური სახეობების გეოგრაფიზმის, სისტემატიკური სტრუქტურისა და ჰიფსომეტრული გავრცელების თავისებურებათა შესწავლა მნიშვნელოვანია სახეობათა წარმოქმნის პროცესების ზოგადი კანონზომიერებების გამოვლენისა და შესწავლისათვის.

ენდემური ფლორა 49 ოჯახის და 150 გვარის 218 სახეობითაა წარმოდგენილი, რაც აჭარის მთლიანი ფლორისტული შემადგენლობის 11,8%-ს შეადგენს (მემიაძე, 2005).

საკვლევ ობიექტებზე ენდემური სახეობების სახეობრივი შემადგენლობა, სისტემატიკური სტრუქტურა და გეოგრაფიული სპექტრი ასეა წარმოდგენილი:

ორივე დაცულ ტერიტორიაზე ერთად დაფიქსირებულია 141 ენდემური სახეობა, რომლებიც ერთიანდებიან 42 ოჯახსა და 97 გვარში.

სახეობებით მდიდარი ოჯახებია: Asteraceae-21 (სახეობა), Rosaceae-13, Ranunculaceae-12, Fabaceae-8, Apiaceae-7, Scrophulariaceae-7.

სახეობებით მდიდარი გვარებია: Cirsium-4 (სახეობა), Sorbus-4, Heracleum, Senecio, Symphytum, Pulsatilla, Ranunculus, Euphorbia, Anthemis –სამ-სამი სახეობით არიან წარმოდგენილი.

მრავალფეროვანია ენდემური სახეობების შემადგენლობა სასიცოცხლო ფორმების მიხედვითაც. 141 სახეობიდან მერქნიანია 14 (9,9%) სახეობა. მათ შორის ხე-3, ბუჩქი-9, ხე-ბუჩქი-2 სახეობა. ბალახოვანია 127 (90%) სახეობა.

აჭარის ენდემური ფლორის გეოგრაფიულ სტრუქტურაში 5 ჯგუფის ენდემებია: კავკასიის, კოლხეთის, საქართველოს, აჭარის და აჭარა-ლაზეთის.


ამავე ჯგუფის ენდემებია გავრცელებული ჩვენს მიერ შესწავლილ დაცულ ტერიტორიებზე. გეოგრაფიული სპექტრის მიხედვით ორივე ტერიტორიაზე ენდემური სახეობები შემდეგნაირად ნაწილდებიან: კავკასიის-63 სახეობა - 44,6%, კოლხეთის-53 სახეობა -37,5%, საქართველოს-12 სახეობა -8,5%, აჭარა-ლაზეთის-9 სახეობა-6,3%, აჭარის-4 სახეობა-2,8%. სხვადასხვა გეოგრაფიული წარმოშობის ენდემური სახეობების გადანაწილება და ურთიერთშეფარდება კარგად ჩანს დიაგრამაზე (დიაგრამა 3.3.1.)

კინტრიშის ნაკრძალში დაფიქსირდა 131 ენდემური სახეობა. მათგან კავკასიის-60 (სახეობა), კოლხეთის-50, საქართველოს-12, აჭარა-ლაზეთის-5, აჭარის-3.

მტირალას ეროვნულ პარკში 51 ენდემური სახეობიდან კავკასიის-22 (სახეობა), კოლხეთის-19, საქართველოს-4, აჭარა-ლაზეთის-4, აჭარის-2.

კინტრიშის ნაკრძალში ენდემური სახეობების სიჭარბე მტირალას ეროვნული პარკისაგან განსხვავებით აისსნება ზღვის დონიდან სიმაღლის ამპლიტუდის სხვაობით, კინტრიშის ნაკრძალში ენდემური სახეობების უმრავლესობა სწორედ სუბალპურ სარტყელშია თავმოყრილი. ამ სარტყელში თავმოყრილია ძირითადად მესამეული მეზოფილური დენდროფლორის წარმომადგენლები, კავკასიის, საქართველოსა, კოლხეთისა და აჭარის ენდემები: *Betula medwedewii*, *Quercus pontica*, *Rhamnus imeretina*, *Acer trautvetteri*, *Sorbus boissieri* var. *adzharica*, *S. subfusca*, *S. migarica*, *S. fedorovi*, *S. colchica*, *Salix caucasica*, *Daphne alboviana*.

სწორედ ამ სარტყელშია მაღალმთის მცენარეულობის ერთ-ერთი დამახასიათებელი სუბალპური მაღალბალახეულობა, რომელიც ტიპიურია დასავლეთ საქართველოში-კავკასიონზე და აჭარა-იმერეთის ქედზე და მას კოლხეთის სუბალპური მაღალბალახეულობა ეწოდება. მის შემადგენლობაშიც მრავლადაა ენდემური სახეობები, რომელთა შორის აღსანიშნავია: *Lilium szowitsianum*, *Paeonia macrophylla*, *Aquilegia caucasica*, *Delphinium flexuosum*, *Ligusticum arafae*, *Laserpitium affine*, *Symphytum asperum*, *Valeriana colchica*, *Knautia montana*, *Cephalaria gigantea*, *Senecio platyphylloides*, *S. cladobotrys*, *Euphorbia scripta*, *Heracleum cyclocarpum.*, *H. sosnovskyi*, *Cirsium aggregatum*, *Grossheimia macrophylla*, *Gadelia lactiflora*. სწორედ ამიტომ ა. დოლუხანოვი (1952) დასავლეთ საქართველოს სუბალპურ სარტყელს თვლის მის ძირითად რეფუგიუმად.



### დიაგრამა 3.3.1. ენდემური სახეობების გეოგრაფიული სპექტრი

თავი IV აჭარის დაცული ტერიტორიების იშვიათი და ქრობადი სახეობები

#### 4.1. აჭარის დაცული ტერიტორიების სხვაგასხვა დაცულობის სტატუსის მქონე მცენარეთა სახეობების მრავალფეროვნება

ბუნების სიმდიდრეთა მტაცებლურმა, არარაციონალურმა და არაკანონზომიერმა ექსპლუატაციამ სერიოზული ზიანი მიაყენა ცოცხალ ბუნებას და საფრთხის წინაშე დააყენა კაცობრიობა. ტექნიკურ პროგრესთან ერთად გაიზარდა ბუნებაზე ადამიანის ზემოქმედება, მისი ჩარევის სფერო, რამაც შეამცირა მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს საარსებო სივრცეები, დაირღვა მილიონი წლებით შეკრული და ნადუღაბები ეკოლოგიური თანაფარდობა.

უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში მოისპო მრავალი ფრინველი, ცხოველი და მცენარე. ჩვენს თვალწინ დაიღუპა კავკასიის ტყეების მშვენება დომბა, მთის ცხვარი, მოსპობის პირასაა ნიამორი და სხვა. მცენარეთა და მცენარეული საფარის დაცვა-შენარჩუნებას ხომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს; მცენარე წყაროა ორგანული ნივთიერებისა და უანგბადისა. წელიწადში ერთ ჰექტარ ტყეს 2-3 ტონა უანგბადის გამოყოფა შეუძლია, რო არაფერი ვთქვათ მის ნიადაგის დამცავი და წყლის მარეგულირებელი ფუნქციაზე.

კოგელივე ამის გამო ბუნების დაცვის საკითხებს განსაკუთრებული უურადღება ექცევა. დღეს ბუნების დაცვა მსოფლიო პრობლემად იქცა.

სწორედ ამიტომ, ჯერ კიდევ წინა საუკუნეებში ადამიანმა სერიოზულად დაიწყო ფიქრი ცოცხალი ბუნების აღდგენით ღონისძიებებზე. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო 1948 წელს შექმნილი ბუნებისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის პირველი საერთაშორისო კავშირი. მიზნად იქნა დასახული “ფაქტების წითელი წიგნების” (Red Data Book) შედგენა. შეადგინეს ასევე ეწ. “შავი სიაც”, რომელშიც მე-17 საუკუნემდე ამომწყდარი მცენარეთა და ცხოველთა სახეობები შეიტანეს.

XX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს მეცნიერების მიერ ფლორის, ფაუნისა და ბუნების არაცოცხალი ძეგლების შესწავლისა და კრიტიკული გადახედვის საფუძველზე გამოიცა „საქართველოს წითელი წიგნი“, რომელის ერთ ნაწილში მოცემულია ცნობები იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი ცხოველთა 65 სახეობის შესახებ, მეორე ნაწილში იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი მცენარეთა 161 სახეობა, ხოლო მესამე ნაწილი ეთმობა არაორგანული ბუნების ესთეტიკურ და სამეცნიერო ღირებულების ძეგლებს. ველური ბუნების მონიტორინგი მიმდინარეობს პერიოდულად, გარკვეული დროის მონაკვეთში. 5-10 წელიწადში ერთხელ. ზემოდ მოცემული მონაცემები მოძველებულია; დღეს მიღის ახალი „წითელი წიგნის“ გამოცემაზე მუშაობა.

ელემენტარულ ჭეშმარიტებად აღიქმება ის ფაქტი, რომ დასაბამიდან დედამიწის ბიომრავალფეროვნება მუდმივი ცვალებადობის პროცესშია დროსა და სივრცეში, ბიომრავალფეროვნების ცალკეული კომპონენტები ვერ არსებობენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად და მისი ერთი შეხედვით თუნდაც უმნიშვნელო რგოლის რღვევა იწვევს ბიომრავალფეროვნების სტაბილურობის რღვევის მასშტაბურ და შეუქცევად პროცესებს, რაც გარკვეული საფრთხეების წინაშე აყენებს საარსებო გარემოს სტაბილურობას. ამიტომაცაა, რომ დღეს საყოველთაოდ აღიარებულია და თითოეული ქვეყნის მიერ აღებულია შესაბამისი ვალდებულებები ბიომრავალფეროვნების მუდმივი მონიტორინგის აუცილებლობის შესახებ, როგორც კონკრეტული სახეობის პოპულაციების და პაბიტატების, ასევე კრცელი ეკოსისტემების დონეებზე, რომელიც უკრდნობა უიტეკერის (Whittaker, 1972) მიერ შემოთავაზებული ალფა, ბეტა და გამა მრავალფეროვნების ცნებებს და რომლის მიხედვითაც ალფა – მრავალფეროვ-

ნება არის მრავალფეროვნება ერთი ადგისამყოფელის ან თანასაზოგადოების ფარგლებში, ბეტა-მრავალფეროვნება მოიცავს სხვადასხვა ადგილსამყოფელთა მრავალფეროვნებას, გამა-მრავალფეროვნება კი დედამიწის კონკრეტული ეკორეგიონის მრავალფეროვნებას.

1994 წელს ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) საბჭომ მიიღო წითელი ნუსხის ახალი სისტემა და ახალი კრიტერიუმები, რომელთა გამოყენებაც ძალიან ფართოდ დაიწყებს სხვადასხვა სამთავრობო თუ არა სამთავრობო ორგანიზაციებმა. ამგვარმა ფართო და მრავალჯერადმა გამოყენებამ ცხადყო ზოგიერთი ცვლილებების შეტანის აუცილებლობაც და მსოფლიო კონსერვაციის კონგრესმა, 1996 წელს, სახეობათა გადარჩენის კომისიას მიანიჭა უფლებამოსილება განეხორციელებინა სისტემის გადასინჯვა. საბოლოოდ შემოღებული იქნა განახლებული სისტემა რომლის მიხედვითაც სახეობებს მიენიჭათ შემდეგი კატეგორიები:

**EX** – გადაშენებული

**EW** – ბუნებაში გადაშენებული

**CR** – კრიტიკულ საფრთხეში მყოფი

**EN** – საფრთხეში მყოფი

**VU** – მოწყვლადი

**NT** – საფრთხესთან ახლოს მყოფი

**LC** – საჭიროებს ზრუნვას

**DD** – არასრული მონაცემები

**NE** – არ არის შეფასებული

საქართველოში სახეობების კონსერვაციის ზოგადი საკითხები განსაზღვრულია მთელ რიგ საკანონმდებლო აქტებში, რომლებიც მიღებულია საქართველოს პარლამენტის მიერ (საქართველოს პარლამენტის ნორმატიული აქტები გარემოს დაცვის სფეროში <http://www.parliament.ge>) 1994-2006 წლებში. 2005 წელს ახალი სისტემის მიხედვით მოხდა - „საქართველოს წითელი ნუსხის“ შემუშავებაც, რომელიც 2006 წელს დამტკიცდა. საერთაშორისო წითელი ნუსხის კატეგორიებისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში ამა თუ იმ კატეგორიას ემატება სიტყვა „რეგიონული“. რაც ნიშნავს, რომ ეს სახეობა გადაშენებულია კონკრეტულ რეგიონში და არა მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

წითელ ნუსხაზე მუშაობა მუდმივად მიმდინარეობს, ვინაიდან დროთა განმავლობაში სახეობათა მდგომარეობა იცვლება და წითელი ნუსხაც საჭიროებს ცვლილებების შეტანას.

საქართველოს „წითელ ნუსხაში”, შესულია 135 სახეობის ცხოველი და 56 სახეობის მცენარე. დღეისათვის საქართველოს „წითელი ნუსხით” დაცულია აჭარაში ველურად მოზარდი 22 მერქნიანი სახეობა (*Arbutus andrachne; Astragalus sommieri; Betula medwedewii; Buxus colchica; Castanea sativa; Celtis australis; Daphne albowiana; Epigaea gaultherioides; Juglans regia; Laurus nobilis; Osmanthus decorus; Ostrya carpinifolia; Pterocarya pterocarpa; Quercus hartwissiana; Quercus imeretina; Quercus pontica; Rhododendron smirnowii; Rhododendron ungernii; Salix kikodseae; Staphylea colchica; Taxus baccata; Ulmus glabra*); ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) „წითელი ნუსხით” დაცულია 10 სახეობა (*Abies nordmanniana, Buxus colchica, Taxus baccata, Alnus glutinosa, Corylus avellana, Diospyros lotus, Ficus carica, Picea orientalis, Pterocarya pterocarpa, Vitis vinifera*).

ველური ფაუნისა და ფლორის გადაშენების საფრთხეში მყოფი სახეობების საერთაშორისო ვაჭრობის კონვენციის (CITES) ნუსხით დაცულია მცენარეთა 5 სახეობა (*Cyclamen couuum, Galanthus alpinus, G. krasnovii, G. rizehensis, G. woronowii*);

კავკასიის „წითელი ნუსხის“ 276 სახეობა.

აჭარის დაცულ ტერიტორიებზე ჩვენს მიერ ლიტერატურული წყაროებსა და საკუთარ კვლევებზე დაყრდნობით დადგინდა, რომ

#### კინტიშის დაცულ ტერიტორიებზე:

- საქართველოს „წითელი ნუსხით” დაცულია 13 სახეობა (61, 9% მთელი საქართველოს „წითელი ნუსხისა”), *Betula medwedewii; Buxus colchica; Castanea sativa; Daphne albowiana; Juglans regia; Laurus nobilis; Pterocarya pterocarpa; Quercus pontica; Rhododendron ungernii; Salix kikodseae; Staphylea colchica; Taxus baccata; Ulmus glabra*).
- კავკასიის „წითელი ნუსხის“ 193 სახეობა (69,4%, აჭარიდან კავკასიის „წითელი ნუსხის“მთლიანი რაოდენობისა).
- ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) „წითელი ნუსხით” დაცულია 10 სახეობა (100% აჭარიდან (IUCN) „წითელი ნუსხის“ მთლიანი რაოდენობისა), *Abies nordmanniana, Buxus colchica, Taxus baccata, Alnus glutinosa,*

*Corylus avellana, Diospyros lotus, Ficus carica, Picea orientalis, Pterocarya pterocarpa, Vitis vinifera.*

- გელური ფაუნისა და ფლორის გადაშენების საფრთხეში მყოფი სახეობების საერთაშორისო ვაჭრობის კონვენციის (CITES) ნუსხით დაცულია მცენარეთა 2 სახეობა- *Cyclamen coum, Galanthus woronowii*.

#### **მტირალას ეროვნული პარკის ტერიტორიაზე:**

- საქართველოს „წითელი ნუსხით” დაცულია 14 სახეობა (66,7% მთელი საქართველოს „წითელი ნუსხისა”), *Betula medwedewii; Buxus colchica; Castanea sativa; Epigaea gaultherioides; Juglans regia; Laurus nobilis; Osmanthus decorus; Pterocarya pterocarpa; Quercus pontica; Rhododendron smirnowii; Rhododendron ungernii; Staphylea colchica; Taxus baccata; Ulmus glabra*.
- კავკასიის „წითელი ნუსხის“ 69 სახეობა (24,8%, აჭარიდან კავკასიის „წითელი ნუსხის“მთლიანი რაოდენობისა).
- ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) „წითელი ნუსხით” დაცულია 8 სახეობა (80 % აჭარიდან (IUCN) „წითელი ნუსხის“ მთლიანი რაოდენობისა), *Buxus colchica, Taxus baccata, Alnus glutinosa, Corylus avellana, Diospyros lotus, Ficus carica, , Pterocarya pterocarpa, Vitis vinifera*.
- გელური ფაუნისა და ფლორის გადაშენების საფრთხეში მყოფი სახეობების საერთაშორისო ვაჭრობის კონვენციის (CITES) ნუსხით დაცულია მცენარეთა 3 სახეობა- *Cyclamen coum, Galanthus krasnovii, G. woronowii*

**ცხრილი 4.1. აჭარის დაცული ტერიტორიების მცენარეთა სახეობათა კონსერვაციის სტატუსი**

<b>კონსერვაციის სტატუსი</b>	<b>კინტრიში</b>	<b>მტირალა</b>
საქართველოს „წითელი ნუსხა”, 2006	11 2 - (EN)	(VU) <b>12 - (VU)</b>
<b>სულ</b>	<b>13</b>	<b>12</b>
კავკასიის „წითელი ნუსხა” <b>2012</b>	<b>151 - (NE)</b> <b>8 - (LC)</b> <b>6 - (NT)</b> <b>6 -(DD)</b>	<b>48 - (NE)</b> <b>3 - (LC)</b> <b>2 -(NT)</b> -

	<b>1 - (CR Blab(I,ii,iii)+2ab(iii))</b>	-
	<b>1 - (EN Blab(iii)+2ab(iii))</b>	-
	<b>1 - (EN B2ab(iii))</b>	-
	<b>1 - (EN B2ab(iii,v))</b>	-
	<b>1 - (VU Blab(ii,iii)+2ab(ii,iii))</b>	-
	<b>1 - (VU Blab(iii))</b>	<b>1 -(VU Blab(iii))</b>
	<b>1 - (VU Blab(iii,v))</b>	<b>1 - (VU Blab(iii,v))</b>
	<b>3 - (VU B2ab(iii))</b>	<b>4 - (VU B2ab(iii))</b>
	<b>4 - (VUD2)</b>	<b>1 - (VUD2)</b>
<b>სულ</b>	<b>185</b>	<b>60</b>
<b>IUCN „წითელი ხუსტი“</b>	<b>1 - ( N Threatened ver 3.1 Pop. trend: decreasing)</b>	<b>1 - ( Near Threatened ver 3.1 Pop. trend: decreasing)</b>
	<b>2 - ( Least Concern ver 3.1)</b>	<b>2 - ( Least Concern ver 3.1)</b>
	<b>1 - (Lower Risk/near threatened ver 2.3 (needs updating))</b>	<b>1 - (Lower Risk/near threatened ver 2.3 (needs updating))</b>
	<b>2 - Lower Risk/least concern ver 2.3 (needs updating)</b>	<b>2 - Lower Risk/least concern ver 2.3 (needs updating)</b>
	<b>1 - Least Concern ver 3.1 Pop. trend: stable</b>	
<b>სულ</b>	<b>205</b>	<b>78</b>

## 4.2 აჭარის დაცული ტერიტორიების იშვათი და ქრობადი სახეობების დაავადებები

ბოლო წლებში, აჭარის დაცულ ტერიტორიებზე გამოვლენილ დაავადებებს შორის განსაკუთრებით საგანგაშოა ბზის კორომების მასობრივი ხმობა, რომელიც სავალე კვლევების პერიოდში, 2010 წლის ნოემბერში ჩვენს მიერ იქნა პირველად დაფიქსირებული მტირალას ეროვნულ პარკში (დავითაძე, 2012). გამოვლინდა სხეულების შემდეგი სიმპტომები: ბზის ფოთლებზე გაჩნდა მუქი ყავისფერი ლაქები და მოშავო ზოლები, რის შედეგადაც დაიწყო ფოთლების ცვენა (სურ. 4.2.1, 4.2.2, 42.3, 4.2.4). ასეთი სიმპტომები აღენიშნებოდა

მტირალას ეროვნულ პარკში გავრცელებული კოლხური ბზის (*Buxus colchica*), 70%-ს. ლაბორატორიული კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ დაავადებას იწვევს სოკო *cylindrocladum buxicola*, ეს დაავადება გავრცელებულია ხორვატიაში, ესაკანეთში, იტალიაში, ბელგიაში, გერმანიასა და ინგლისში. ბზის აღნიშნული დაავადება ცოტა მოგვიანებით, 2011 წლის შემოდგომაზე, კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზეც გავრცელდა.

დღემდე საგანგაშოა დაცული ტერიტორიების წაბლნარების ფიტოსანიტარული მდგომარეობა დაავადების მასშტაბურობა იმდენად დიდია, რომ მცენარის მთლიანი განადგურების საშიშროებას ქმნის. საკვლევი ტერიტორიის წაბლნარებში, დაახლოებით ხეების 75-80% გამხმარია. მთავარი მიზეზია ქერქის კიბო (*Cryphonectria parasitica*). იგი მცენარის ფესვებზე, ტოტებსა და ფოთლებზე მურა ფერის ლაქებს წარმოშობს და ხის ხმობა იწყება კენჭეროდან (სურ. 4.2.5, 4.2.6).

ქერქის კიბოს გარდა დაცულ ტერიტორიებზე შემჩნეულია სრულიად ახალი დაავადება - წაბლის ნაღმისებრი ჩრჩილი (*Cameraria ohridella deschka*). იგი პირველად მაკედონიაში 1985 წელს დაფიქსირდა. საქართველოში კი 2007 წელს შემოაღწია. მწერის მატლი იკვებება წაბლის ფოთლებით. შემჩნეულია აგრეთვე ცაცხვისა და ოელის ფოთლებზეც. დაავადების სიმპტომებია ფოთლის ზედაპირზე არსებული რუხი მოთეთრო ფერის სხვადასხვა სიდიდის ლაქები. მათში არის კვერცხები, რომლებიდანაც გამოჩეკილი მატლები ფოთლის პარენქიმული ქსოვილით იკვებებიან (სურ. 4.2.7, 4.2.8).



სურ. 4.2.1



სურ. 4.2.2



სურ. 4.2.3

სურ. 4.2.4

სურ. 4.2.1 ფოთლებზე ლაქები და მოშავო ზოლები

სურ. 4.2.2 ფოთლებისგან გაშიშვლებული ბზა

სურ. 4.2.3 პათოგენურობის ტესტი

სურ. 4.2.4 დაავადებათა გამომწვევი პათოგენი *Cylindrocladium buxicola*



სურ. 4.2.5

სურ. 4.2.6



სურ. 4.2.7



სურ. 4.2.8

სურ. 4.2.5, 4.2.6 ქერქის კიბოთი დაავადებული წაბლნარი კორომი

სურ. 4.2.7 წაბლის ნაღმისებრი ჩრჩილი

სურ. 4.2.8 გამოჩეკილი მატლი

აჭარის დაცულ ტერიტორიებზე გავრცელებული მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებად მიგვაჩნია: а) გამხმარი ხეების მოჭრა და ტყიდან გამოტანა; ბ) ჩამოცვენილი ფოთლების, ყლორტების შეგროვება და დაწვა ან ღრმად ჩამარხვა; გ) დაავადებულ ადგილებზე ფუნგიციდების ან ინსექტიციდების შესხურება; დ) სრულყოფილ შესწავლილ იქნეს აღნიშნული მავნებლების განვითარების ციკლი; ე) შემუშავდეს მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის ბიოლოგიური მეთოდი.

#### 4.3 აჭარის დაცული ტერიტორიების ცხოველთა სამყარო (ფაუნის იშვიათი და ქრობადი სახეობები)

აჭარა ნაწილია იმ როული და მრავალფეროვანი ქვეყნისა, რომელიც კავკასიის სახელწოდებითაა ცნობილი. მაგრამ ის, იმდენად განსხვავებული და თავისებური ბუნებრივი პირობებით ხასიათდება, რომ ბევრი მკვლევარი მას იხილავს, როგორც ცალკე ოლქს, რომელსაც მკაფიოდ გამოხატული ბუნებრივი საზღვრები აქვს. აჭარას სამი მხრიდან საზღვრავს წყალგამყოფი ქედები, ხოლო ერთი მხრით მას უშუალოდ ზღვა ესაზღვრება. აჭარაში ტერიტორიის სიმცირის მიუხედავად, ლანდშაპტა დიდ სხვადასხვაობას გხდებით, რაც გამოწვეულია

მისი გეოგრაფიული მდებარეობით, ეკოლოგიური წარსულით, ოროგრაფიით, შავი ზღვის უშუალო გავლენით და სხვა მრავალი ფაქტორებით.

აჭარის უაღრესად მრავალფეროვანმა ფიზიკურ-გეოგრაფიულმა პირობებმა და თავისებურმა გეოლოგიურმა წარსულმა განაპირობა მდიდარი და მრავალფეროვანი ცხოველთა სამყაროს ჩამოყალიბება. აჭარა, საქართველოს და სხვა ნაწილებთან ერთად, წარმოადგენს „ფაუნისტურ და ფლორისტულ კვანძს“, სადაც ადგილობრივი წარმოშობის ე.წ. ენდემური ცხოველების გარდა, თავს იყრის ევროპისა და აზიის სახეობები. აჭარის მცირე ტერიტორიის მიუხედავად აქ სახლობს მეტად განსხვავებული ცხოველთა ჯგუფი, რომლებიც გამოირჩევა სახეობათა მრავალფეროვნებით და იშვიათი ფორმებითაც (გოგმაჩაძე, ზოსიძე, უორდანი, 2009; დავითაძე, 2012).

აჭარის დაცული ტერიტორიების ცხოველთა სამყაროს შესახებ უახლოესი და მეტად მნიშვნელოვანი ცნობები მოგვეპოვება აჭარის ფაუნის რეესტრში (რედაქტორი ა. ბუხნიკაშვილი, 2012). აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით დღეისათვის აჭარის ტერიტორიაზე აღირიცხება თევზების 153, ამფიბიების 10, რეპტილიების 24, ფრინველების 337 და ძუძუმწოვრების 72 სახეობა; აჭარის დაცულ ტერიტორიებზე გავრცელებული ფაუნის წარმომადგენლების ნუსხა მსხვილი ტაქსონომიური ერთეულების მიხედვით მოცემულია დანართი 4-ში.

კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზე გავრცელებულია თევზების 20 (13,0% მთლიანად აჭარაში გავრცელებული სახეობებიდან), ამფიბიების 7 (70%), რეპტილიების 10 (41%), ფრინველების 96 (28%) და ძუძუმწოვრების 25 (34%) სახეობა (ცხრილი 4.3.1).

**ცხრილი 4.3.1** აჭარის ფაუნის ცალკეული წარმომადგენლების გადანაწილება მსხვილი ტაქსონომიური ერთეულების მიხედვით.

ქლასი	აჭარა	კინტრიშის დ/ტ		მტირალას გ/პ	
	სულ (100%)	სულ	%	სულ	%
თევზები	153	20	13,0	20	13,0
ამფიბიები	10	7	70,0	4	40,0
რეპტილიები	24	10	41,0	9	37,0

ფრივნელები	337	96	28,0	104	30,0
ძუძუმწოვრები	72	25	34,0	37	51,0
ს უ ლ	596	158	26,0	174	29,0

მტირალას ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გავრცელებულია ოევზების 20 (13,0% მთლიანად აჭარაში გავრცელებული სახეობებიდან), ამფიბიების 4 (40%), რეპტილიების 9 (43%), ფრინველების 104 (30%) და ძუძუმწოვრების 37 (51%) სახეობა.

აჭარის დაცულ ტერიტორიებზე ბინადარი ფაუნის იშვიათი და ქრობადი სახეობების სია და კონსერვაციული სტატუსი მოცემულია **ცხრილი 4.3.2** და **ცხრილი 4.3.3 –ში.**

აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით, მტირალას ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ბინადარი ფაუნის იშვიათი და ქრობადი სახეობები კონსერვაციული სტატუსის მიხედვით შემდეგნაირადაა გადანაწილებული:

საქართველოს წითელი ნუსხით (2006) დაცულია ფაუნის 16 სახეობა: *Mertensiella caucasica*(VU); *Darevskia clarkorum* (EN); *Vipera kaznakovi* (EN); *Podiceps grisegena* (VU); *Pelecanus crispus* (EN); *Tadorna ferruginea* (VU); *Accipiter brevipes* (VU); *Aquila chrysaetos* (VU); *Buteo rufinus* (VU); *Neophron percnopterus* (VU); *Falco naumanni* (CR); *Falco vespertinus* (VU); *Rhinolophus euryale* (VU); *Lutra lutra* (VU); *Ursus arctos* *Linnaeus* (EN) (**სურ. 4.3.1, 4.3.2**); *Rupicapra rupicapra* (EN).

IUCN წითელი ნუსხით (ვერსია 3.1) დაცულია ფაუნის 30 სახეობა: *Cyprinus carpio* (VU); *Salmo labrax* (LC); *Salmo trutta* (LC); *Mertensiella caucasica* (VU); *Bufo verrucosissimus* (NT); *Pelodytes caucasicus* (NT); *Darevskia derjagini* (NT); *Darevskia clarkorum* (EN); *Vipera kaznakovi* (EN); *Pelecanus crispus* (VU); *Tadorna ferruginea* (LC); *Accipiter brevipes* (LC); *Aquila chrysaetos* (VU); *Aquila nipalensis* (VU); *Buteo rufinus* (LC); *Circus cyaneus* (NT); *Circus aeruginosus* (LC); *Hieraetus pennatus* (NT); *Milvus migrans* (LC); *Neophron percnopterus* (EN); *Falco columbarius* (VU); *Falco naumanni* (VU); *Falco tinnunculus* (LC); *Pernis apivorus* (LC); *Falco vespertinus* (NT); *Ficedula parva* (NT); *Rhinolophus euryale* (NT); *Lutra lutra* (NT); *Ursus arctos* (LC); *Rupicapra rupicapra* (LC) (**ცხრილი 4.3.2; 4.3.3**).

კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზე ბინადარი ფაუნის იშვიათი და ქრობადი სახეობები კონსერვაციული სტატუსის მიხედვით შემდეგნაირადაა გადანაწილებული:

საქართველოს წითელი ნუსხით (2006) დაცულია ფაუნის 15 სახეობა: *Salmo fario* (VU); *Mertensiella caucasica* (VU) (სურ. 4.3.3); *Vipera kaznakovi* (EN); *Accipiter brevipes* (VU); *Aquila chrysaetos* (VU); *Buteo rufinus* (VU); *Neophron percnopterus* (VU); *Falco naumanni* (CR); *Falco vespertinus* (VU); *Tetraogallus caspius* (VU); *Lutra lutra* (VU); *Ursus arctos Linnaeus* (EN); *Rupicapra rupicapra* (EN), *Sciurus anomalus* (VU); *Lynx lynx* (CR)

IUCN წითელი ნუსხით (ვერსია 3.1) დაცულია ფაუნის 28 სახეობა: *Cyprinus carpio* (VU); *Salmo labrax* (LC); *Salmo trutta* (LC) (სურ. 4.3.4); *Mertensiella caucasica* (VU) (სურ. 4.3.3); *Ommatotriton ophryticus* (NT); *Bufo verrucosissimus* (NT); *Darevskia derjugini* (NT); *Darevskia clarkorum* (EN); *Vipera kaznakovi* (EN); *Accipiter brevipes* (LC); *Aquila chrysaetos* (VU); *Aquila nipalensis* (VU); *Buteo rufinus* (LC); *Circus cyaneus* (NT); *Hieraaetus pennatus* (NT); *Milvus migrans* (LC); *Neophron percnopterus* (EN); *Pernis apivorus* (LC); *Falco columbarius* (VU); *Falco naumanni* (VU); *Falco tinnunculus* (LC); *Falco vespertinus* (NT); *Ficedula parva* (NT); *Sciurus anomalus* (LC); *Lynx lynx* (LC); *Lutra lutra* (NT); *Ursus arctos* (LC); *Rupicapra rupicapra* (LC).



სურ. 3.3.1 კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზე დაფიქსირებული მურა დათვის //*Ursus arctos* (მარცხნივ) და მგლის//*Canis lupus Linnaeus* (მარჯვნივ) ნაკვალევი.



**სურ.** 3.3.2 მტირალას ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ფოტოსაფანგით დაფიქსირებული მურა დათვი (Ursus arctos)

**ცხრილი 4.3.3** აჭარის დაცულ ტერიტორიებზე ბინადარი ფაუნის იშვიათი და ქრობადი სახეობების გადანაწილება კონსერვაციული სტატუსის მიხედვით

კონსერვაციული სტატუსი	კინტრიშის დ/გ	მტირალას ე/პ
	<b>1 – CR (C2(aI))</b>	-
	<b>1 – CR (IUCN)</b>	<b>1 – CR (IUCN)</b>
	<b>1 – EN (C2al)</b>	<b>1 – EN (C2al)</b>
	-	<b>1 – EN (IUCN;DI)</b>
	<b>1 – EN (A2a)</b>	<b>1 – EN (A2a)</b>
საქართველოს წითელი ნუსხა (2006)	<b>1 – EN (IUCN)</b>	<b>2 – EN (IUCN)</b>
	<b>1 – VU (A1d)</b>	<b>1 – VU (A1d)</b>
	<b>1 – VU (A1e)</b>	-
	<b>1 – VU (B1(bl))</b>	<b>1 – VU (B1(bl))</b>
	-	<b>1 – VU (B2a)</b>
	<b>6 – VU (DI)</b>	<b>7 – VU (DI)</b>
	<b>1 – VU (IUCN)</b>	<b>1 – VU (IUCN)</b>
<b>სულ</b>	<b>15</b>	<b>17</b>

IUCN წითელი სუსტა (ვერსია 3.1)	<b>2 – EN</b> (A2bcde+3bcde+4bcde)	<b>2 – EN</b> (A2bcde+3bcde+4bcde)
	<b>22 - LC</b>	<b>22 - LC</b>
	-	<b>1 – VU</b> (A2ce+3ce+4ce)
	-	<b>1 – EN</b> (Blab(I,iii))
	<b>1 – EN</b> (B2ab(ii,iii,v))	<b>1 – EN</b> (B2ab(ii,iii,v))
	<b>7 - NT</b>	<b>7 - NT</b>
	<b>1 – VU</b> (A2ce)	<b>1 – VU</b> (A2ce)
	<b>1 – VU</b> (B2ab(ii,iii))	<b>1 – VU</b> (B2ab(ii,iii))
<b>სულ</b>	<b>34</b>	<b>36</b>

**ცხრილი 4.3.2** აჭარის დაცულ ტერიტორიებზე ბინადარი ფაუნის იშვიათი და ქრობადი სახეობების სია და მათი კონსერვაციული სტატუსი

სახეობის ლათინური სახელწოდება	გავრცელება		კონსერვაციული სტატუსი	
	მცირალას ე/პ	კინტრიშის დ/ტ	საქართველოს წითელი ნუსხა (2006)	IUCN წითელი ნუსხა (ვერსია 3.1)
1	2	3	4	5
<i>Cyprinus carpio</i> (Linnaeus, 1758)	+	+		VU (A2ce)
<i>Salmo labrax</i> Pallas, 1814	+	+		LC
<i>Salmo fario</i> Linnaeus, 1758	+	+	VU (A1d)	
<i>Salmo trutta</i> Linnaeus, 1758	+	+		LC
<i>Mertensiella caucasica</i> (Waga, 1876)	+	+	VU (IUCN)	VU (B2ab(ii,iii))
<i>Ommatotriton ophryticus</i> (Steinitsz, 1965)		+	-	NT
<i>Bufo verrucosissimus</i> (Pallas, 1814)	+	+	-	NT
<i>Pelodytes caucasicus</i> Boulenger, 1896	+	+	-	NT
<i>Darevskia derjugini</i> (Nikolskij, 1898)	+	+	-	NT
<i>Darevskia clarkorum</i> (Darevsky et Vedmederja, 1977)	+		EN (IUCN)	EN (B1ab(i,iii))
<i>Vipera kaznakovi</i> (Nikolsky, 1909)	+	+	EN (IUCN)	EN (B2ab(ii,iii,v))
<i>Podiceps grisegena</i> (Boddaert, 1783)	+		VU (D1)	LC
<i>Pelecanus crispus</i> Bruch, 1832 =	+		EN (IUCN; D1)	VU (A2ce+3ce+4ce)
<i>Tadorna ferruginea</i> (Pallas, 1764)	+		VU (D1)	LC
<i>Accipiter brevipes</i> (Severtzov, 1850)	+	+	VU (D1)	LC
<i>Aquila chrysaetos</i> (Linnaeus, 1758)	+	+	VU (D1)	VU (C2a(ii))

გაგრძელება ცხრილი 4.3.2

1	2	3	4	5
<i>Aquila nipalensis</i> Hodgson, 1833	+	+		VU (C2a(ii))
<i>Buteo rufinus</i> (Cretzschmar, 1826)	+	+	VU (D1)	LC
<i>Circus cyaneus</i> (Linnaeus, 1766)	+	+		NT
<i>Hieraetus pennatus</i> (Gmelin, 1788)	+	+		NT
<i>Neophron percnopterus</i> (Linnaeus, 1758)	+	+	VU (D1)	EN (A2bcde+3bcde+4bcde)
<i>Falco columbarius</i> Linnaeus, 1758	+	+		VU (A2bce+3bce+4bce)
<i>Falco naumanni</i> Fleischer, 1818	+	+	CR (IUCN; A2b)	LC
<i>Falco tinnunculus</i> Linnaeus, 1758	+	+		NT
<i>Falco vespertinus</i> Linnaeus, 1766	+	+	VU (D1)	
<i>Tetraogallus caspius</i> (S.G. Gmelin, 1784)		+	VU (D1)	LC
<i>Aegolius funereus</i> (Linnaeus, 1758)			VU (D1)	LC
<i>Ficedula parva</i> (Bechstein, 1794)	+	+		NT
<i>Rhinolophus euryale</i> Blasius, 1853	+		VU (B2a)	NT
<i>Sciurus anomalus</i> Gmelin, 1778		+	VU (A1e)	LC
<i>Lynx lynx</i> (Linnaeus, 1758)		+	CR (C2 (aI))	LC
<i>Lutra lutra</i> (Linnaeus, 1758)	+	+	VU (B1(bI))	NT
<i>Ursus arctos</i> Linnaeus, 1758	+	+	EN (C2aI)	LC
<i>Rupicapra rupicapra</i> (Linnaeus, 1758)	+	+	EN (A2a)	LC

**ცხრილი 4.3.3** აჭარის დაცულ ტერიტორიებზე ბინადარი ფაუნის იშვიათი და ქრობადი სახეობების გადანაწილება კონსერვაციული სტატუსის მიხედვით

კონსერვაციული სტატუსი	კინტრიშის დ/გ	მტირალას ე/პ
	<b>1 – CR (C2(aI))</b>	-
	<b>1 – CR (IUCN)</b>	<b>1 – CR (IUCN)</b>
	<b>1 – EN (C2al)</b>	<b>1 – EN (C2al)</b>
	-	<b>1 – EN (IUCN;DI)</b>
	<b>1 – EN (A2a)</b>	<b>1 – EN (A2a)</b>
საქართველოს წითელი ნუსხა (2006)	<b>1 – EN (IUCN)</b>	<b>2 – EN (IUCN)</b>
	<b>1 – VU (A1d)</b>	<b>1 – VU (A1d)</b>
	<b>1 – VU (A1e)</b>	-
	<b>1 – VU (B1(bl))</b>	<b>1 – VU (B1(bl))</b>
	-	<b>1 – VU (B2a)</b>
	<b>6 – VU (DI)</b>	<b>7 – VU (DI)</b>
	<b>1 – VU (IUCN)</b>	<b>1 – VU (IUCN)</b>
<b>სულ საქართველოს წითელი ნუსხა (2006)</b>	<b>15</b>	<b>17</b>
	<b>2 – EN (A2bcde+3bcde+4bcde)</b>	<b>2 – EN (A2bcde+3bcde+4bcde)</b>
	<b>22 - LC</b>	<b>22 - LC</b>
	-	<b>1 – VU (A2ce+3ce+4ce)</b>
IUCN წითელი ნუსხა (გერსია 3.1)	-	<b>1 – EN (Blab(I,iii))</b>
	<b>1 – EN (B2ab(ii,iii,v))</b>	<b>1 – EN (B2ab(ii,iii,v))</b>
	<b>7 - NT</b>	<b>7 - NT</b>
	<b>1 – VU (A2ce)</b>	<b>1 – VU (A2ce)</b>
	<b>1 – VU (B2ab(ii,iii))</b>	<b>1 – VU (B2ab(ii,iii))</b>
<b>სულ IUCN წითელი ნუსხა (გერსია 3.1)</b>	<b>34</b>	<b>36</b>



სურ. 4.3.3 კავკასიური სალამანდარა (*Mertensiella caucasica*) მტირალას ეროვნულ  
პარკში



სურ. 4.3.4 კალმახი (Salmo trutta) კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზე

მტირალას ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გავრცელებული ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) სტატუსით დაცული იშვიათი და ქრობადი სახეობების რიცხვნობის მაჩვენებლები ჩვენს მიერ განხორციელებული მონიტორინგის და კინტრიშის დაცული ტერიტორიების აღმინისტრაციის ყოველწლიურ გამოცემაზე “ბუნების მატიანე” (2008,2009,2010,2011,2012) დაყრდნობით ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) წითელი წითელი ნუსხის სახეობების რიცხვნობის ზრდის დინამიკამ 2010-დან 2012 წლისათვის შეადგინა: არჩვი /*Rupicapra rupicapra*/ 20-30 ერთეული, წავი /*Lutra lutra*/ 15-17 ერთეული, მურა დათვი /*Ursus arctos*/6-10 ერთეული, მგელი /*Canis lupus*/10 ერთეულამდე, პვერნა /*Martes foina*, *M.. martes*/8-10 ერთეული, კავკასიური ციყვი /*Sciurus anomalus* /3 ერთეულამდე (ცხრილი 4.3.4).

**ცხრილი 4.3.4** აჭარის დაცულ ტერიტორიებზე გავრცელებული ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) სტატუსით დაცული იშვიათი და ქრობადი სახეობების რიცხვნობის მაჩვენებლები (კინტრიშის დაცული ტერიტორიების და მტირალას ეროვნული პარკის მონიტორინგის სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით)

ცხოველის სახეობა	IUCN სტატუსი	რაოდენობა (ერთეული)			
		მტირალას უ/კ		კინტრიშის დ/ტ	
არჩვი <i>/Rupicapra rupicapra/</i>	LC ver 3.1 Pop. trend: unknown	2010 წელი	2012 წელი	2010 წელი	2012 წელი
		91	112	170	170 (200)
წავი / <i>Lutra lutra</i> /	NT ver 3.1 Pop. trend: decreasing	15	32	135	135(150)
მურა დათვი / <i>Ursus arctos</i> /	LC ver 3.1 Pop. trend: stable	95	83	80	86
მგელი / <i>Canis lupus</i> /	LC ver 3.1 Pop. trend: stable	16	27	5	5
პვერნა / <i>Martes foina</i> , <i>M.. martes</i> /	LC ver 3.1), Pop. trend: stable	160	168	145	155
კავკასიური ციყვი / <i>Sciurus anomalus</i> /	LC ver 3.1	165	265	72	75

## თავი V - ტყის შემქმნელი ძირითადი სახეობების ბუნებრივი რეგიონაციის კანონზომიერებები აჭარის დაცულ ტერიტორიებზე

### 5.1 წაბლის ტყეების ბუნებრივი განახლება

დასავლეთ საქართველოს წაბლნარებში, შქერის ქვეტყით, ტყის ბუნებრივი განახლება მიმდინარეობს არადამაკმაყოფილებლად. ასეა ძლიერბგანვითარებული ქვეტყიანი საბურველშეკრულობის, მაღალი, საშუალო და დაბალი სისქირის ტყის კორომებში. ყველა შემთხვევაში წაბლის მოზარდის ხნოვანება ვერ აღწევს 5-10 წელს და განათების უკმარისობის გამო იღუპება (ა. გედენიძე, 1957; შ. ხიდაშელი, ვ. პაਪუნიძე, 3. მანველიძე 1990; ზ. მანველიძე, ნ. მემიაძე, ლ. გორგილაძე 2004; (П. ისინსკი 1968), წაბლის განახლებას ხელს უშლის აგრეთვე პირუტყვის ინტენსიური ძოვება, რის გამოც ზოგჯერ წაბლის აღმონაცენი მთლიანად ნადგურდება.

წაბლის ინტენსიური ნაყოფმსხმოიარობა იწყება 50-60 წლის ასაკიდან, როდესაც კორომებში მთავრდება ინტენსიური თვითგამოხშირვის პროცესი (გ. გიგაური, 1963). ასეთი კორომებისათვის ოცდაათ წლიანი ეგზემპლარების ძლიერი დაჩრდილვის გამო დამახასიათებელია მეორე თაობის სუსტი ფორმირება. მართალია წაბლი ჩრდილის ამტანი მცენარეა, მაგრამ, როგორც წესი, ასეთ კორომებში მოზარდი აღწევს 0,4-0,5 მ სიმაღლეს. 3-6 წლის ასაკში წაბლის აღმონაცენისა და მოზარდის შემდგომ განვითარებაზე ცუდად მოქმედებს იელის (*Rhododendron luteum*) ქვეტყა, რომლის 0,7-0,8 საბურველის შეკრულობისას აღმონაცენის რაოდენობა 5-7 ჯერ ნაკლებია, ვიდრე ქვეტყის არარსებობისას; 5 წლის განმავლობაში წაბლის თვითნათესის რაოდენობა, ერთ ჰაეტარზე, 2-4 ათასიდან 100-400 ცალამდე მცირდება (С. Соколов 1952).

წაბლის ბუნებრივი განახლება ბევრადაა დამოკიდებული თესლის ხარისხზე, მას ხშირად აზიანებენ მწერები - განსაკუთრებით ნაყოფჭამიები (*Balaninus elephas* და *Carpo-capsa reamurana*), რომლებიც ანადგურებენ ნაყოფის 30-50%-ს; ხშირია აგრეთვე თესლის აღმოცენების დაბალუნარიანობა. ი. აბაშიძის (1952) მონაცემებით, ამ თვალსაზრისით, წაბლის არასაიმედო თესლის რაოდენობა

მოსავლის 46,5 %-ს შეადგენს. ამავე დროს, მისი 33,7% მოდის ამონაყრებით წარმოშობილ კორომებზე, მათ შორის კარგი ნაყოფმსხმოიარობით მხოლოდ I-II გენერაციის კორომები გამოირჩევა.

წაბლნარებში 1-2 წლიანი აღმონაცენის რაოდენობა დამოკიდებულია ასევე წვრილი მღრღნელების, ფრინველების და ზოგიერთი ჩლიქოსანი გარეული ცხოველის პოპულაციების სიმრავლეზე. შემოდგომა-ზამთრის და გაზაფხულის პერიოდში ისინი ზოგჯერ წაბლის ნაყოფსა და აღმონაცენს (Соколов 1952; Исинский 1968; Хугорцев 1980). მთლიანად ანადგურებენ ტყის ფაუნას, პირველ რიგში ანადგურებენ მსხვილ თესლებს, რაც წაბლის სელექციაზე უარყოფითად მოქმედებს. ცხოველების გადარჩენილი წვრილი თესლიდან სუსტი აღმონაცენი ვითარდება და ადვილად იღუპება (Тугуши 1980). წაბლის განახლებაზე არასახარბიელო გავლენას ახდენს აგრეთვე ძნელად ხრწნადი შქერის ფოთლების მკვდარი საფარი (Соколов 1952). ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო, წაბლის თესლით განახლება, განსაკუთრებით ამონაყრით წარმოშობის წაბლნარებში, ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად რჩება. აუცილებელია აჭარის მაღალი წარმადობის წაბლნარი კორომების შენარჩუნებისა და აღდგენის კომპლექსური დონისძიებების დასახვის თვალსაზრისით აუცილებელია ბუნებრივი განახლების მსვლელობის ობიექტები შეფასება. საამისოდ უნდა გაგითვალისწინოთ ანთროპოგენური და ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების ზემოქმედება.

სხვადასხვა ტიპის წაბლნარებში წაბლისა და სხვა ტყის შემქმნელი მერქნიანი მცენარეების ბუნებრივი განახლების მსვლელობისა და აღმონაცენ-მოზარდის სიმაღლობრივი ჯგუფების განაწილების შესახებ ჩვენი კვლევის შედეგები დაცული ტერიტორიების მიხედვით მოცემულია **ცხრილი 5.1.1 -ში.**

წაბლის ტყის ძირითად ფორმაციებში ბუნებრივი განახლების შესწავლის შედეგებმა გვიჩვენა, რომ წაბლის მოზარდის შენარჩუნება, ძირითადად, შეინიშნება თესლით წარმოშობის 0,6-0,7 სიხშირის წაბლნარებში იელის ქვეტყის საშუალო და სუსტი განვითარებით (ს.ფ.1). ძლიერ განვითარებული მარადმწვანე ქვეტყის მქონე მაღალი საბურველშეკრულობის წაბლნარებში წაბლის მოზარდი, როგორც წესი, არ ვითარდება, ამის მიზეზი ისაა, რომ ამონაყარი ასეთ პირობებში ცოცხლობს მხოლოდ 2-3 წელიწადს და სუსტი განათების გამო ვერ

ვითარდება და იღუპება. ასეთივე პირობებში ასაკობრივი და სიმაღლეში ზრდის სუსტი დიფერენცირება შეინიშნება აგრეთვე სხვა მერქნიანი სახეობების (წიფელი, რცხილა) მოზარდზეც (ს.ფ.2, სურ.5.1.1); ანალოგიური შედეგები იქნა დაფიქსირებული დაბალი სიხშირის, მაგრამ ამავე დროს მარადმწვანე ქვეტყის ძლიერი განვითარების პირობებში (ს.ფ.3, სურ.5.1.2). ამავე დროს, კორომის მთავარი საბურველის შემადგენლობაში ნაძვის უმნიშვნელო მონაწილეობის შემთხვევაშიც კი ნაძვის მოზარდი წაბლის ტყის ტიპში, ხასიათდება შედარებით განვითარებული სიმაღლობრივი და ხნოვანებითი სტრუქტურით, ვიდრე წაბლისა. განსაკუთრებით ეს კარგადაა გამოხატული 0,7-0,8 სიხშირის კორომებში (ს.ფ. 2).

ასე მაგალითად, თესლით წარმოშობილ წაბლნარებში იელის საფარით, სადაც ნაძვი კორომების შემადგენლობაში მონაწილეობს ერთეულის სახით (ს.ფ. 2), ნაძვის მოზარდის დიფერენციაცია სიმაღლეში დამაჯერებლად განსხვავდება წაბლის მოზარდისაგან, რაც გამოიხატება იმაში, რომ  $> 51$  სმ სიმაღლობრივ ჯგუფში, პროცენტულად უფრო მეტი რაოდენობით ნაძვის მოზარდი გადადის.

თესლით წარმოშობის წაბლნარების ამონაყრით წარმოშობილ წაბლნარებში გადასვლა უარყოფითად მოქმედებს თავდაპირველ ცენოტურ შემადგენლობასა და მის ბიოეკოლოგიურ მდგრადობაზე. ბუნებრივ ცენოზებში მრავალი წლის მანძილზე ჩამოყალიბებული სახეობრივი შემადგენლობის წონასწორობის დაცვა წარმოადგენს მთავარ ღონისძიებას წაბლნარების გავრცელების ზედა საზღვრების სტაბილიზაციის თვალსაზრისით.

წაბლის მოზარდის სიმაღლეთა ჯგუფების მიხედვით განაწილება, როგორც სამოდელო ნიმუშებით დავადგინეთ, მჭიდრო კავშირშია ხნოვანებასთან. სხვადასხვა ბონიტეტში წაბლნარების მოზარდის საშუალო სიმაღლეები გვიჩვენებს ხნოვანების განსხვავებებს.

ჩვენს მიერ შესწავლილი თესლით წარმოშობილი შქერის ქვეტყიანი წაბლნარების მოზარდის საშუალო შეწონილი სიმაღლე საბურველის 0,7 სიხშირის პირობებში კინტრიშის დაცულ ტერიტორიაზე შეადგენს 0,45 მეტრს (ს.ფ. 1-სათვის); ასეთი მოზარდის ხნოვანება (ცხრილი 5.1.2) შეადგენს 4 წელს. ხოლო ს.ფ. 2-ზე ეს სიდიდეები 0,8 საბურველის შეკრულობის პირობებში შესაბამისად შეადგენს 0,28 მეტრს და 3 წელს.



**სურ. 5.1.1** წაბლნარი შქერის ქვეტყით (*Castanetum rhododendrosum*) მარადმწვანე ქვეტყის ძლიერი განვითარებით და სუსტი ბუნებრივი განახლებით



**სურ. 5.1.2** წაბლნარ-წიფლნარი (*Castaneto Fagetumum rhododendrosum*) მარადმწვანე ქვეტყის ძლიერი განვითარებით და სუსტი ბუნებრივი განახლებით

### ცხრილი 5.1.1

აჭარის დაცულ ტერიტორიებზე წაბლნარი ასოციაციების აღმონაცენ-მოზარდის განაწილება სიმაღლეთა ჯგუფების მიხედვით

დაცული ტერიტორია ს.ფ.№	სიმაღლ. ზ.დ. (მ) <u>ექსპოზიცია</u> ზერდობის დახრილობა (გრადუსი) ტყის ტიპი წარმოშობა ხნოვანება (წელი)	კორომის შემადგენ- ლობა <u>ქვეტყის</u> დაფარულობა (%) სიხშირე	აღმონაცენ-მოზარდის რაოდენობა ცალი 1 ჰა-ზე%						განახლების შეფასება (Гулисашвили 1956)
			სახეობა	1-10სმ	11-30სმ	31-50სმ	> 51	სულ	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
კინგრიშის დაცული ტერიტორიები 1	<u>850</u> <u>1/დ.</u> <u>15-20</u> Castanetum <u>azaleosum</u> თესლითი <u>81-100</u> I-II	<u>10წ+რც+ნძ</u> <u>20</u> 0,6-0,7	<u>წაბლი</u> %	<u>1600</u> 4,0	<u>23600</u> 57,8	<u>7200</u> 17,6	<u>8400</u> 20,6	<u>40800</u> 100	საუკეთესო
			სულ	1600 4,0	23600 57,8	7200 17,6	8400 20,6	40800 100	

გაგრძელება ცხრილი 5.1.1

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
			<u>წამო</u>	850	1400	2020	780	5050	
	<u>980</u>		%	16,8	27,7	40,0	15,5	100	
	<u>წრდ.</u>		<u>წოველი</u>	-	320	-	750	1070	
	<u>20-25<sup>0</sup></u>		%	-	29,9	-	70,1	100	
	<u>Castanetum</u>	<u>8წბ1წვ</u>	<u>რცხილა</u>	-	120	-	70	<u>190</u>	<u>სუბტი</u>
	<u>rhododen-</u>	<u>1წბ+6ძ</u>	%	-	63,2	-	36,8	100	
	<u>drosum</u>	<u>45</u>	<u>ნაძვი</u>	-	60	-	100	160	
	<u>თესლითი</u>	<u>0,7-0,8</u>	%	-	37,5	-	62,5	100	
	<u>100-120</u>			850	1900	2020	1700	6470	
2	<u>II-III</u>		ხულ	13,1	29,4	31,2	26,3	100	

## გაგრძელება ცხრილი 5.1.1

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
მტირალას ეროვნული პარკი 3	<u>560</u> ჩრდ. <u>15-20<sup>0</sup></u> Castanetum rhododen- drosum თესლითი <u>120</u> II	<u>9წბ1თბ+რცბ+წ</u> 3 70 0,5	<u>წაბლი</u> %	80 7,9	560 55,5	150 14,9	220 21,7	1010 100	ძლიერ სუსტი
მტირალას ეროვნული პარკი 4	<u>800</u> სამხ.დას. <u>25-30-40<sup>0</sup></u> Castanetum rubosum თესლითი <u>90</u> III	<u>7წბ+2წგ1თბ</u> +რცბ 80 0,4	<u>წაბლი</u> %	- -	70 36,8	120 63,2	190 100	ძლიერ სუსტი	
			<u>წიგვა</u> %	- -	140 34,1	210 51,2	60 14,7	410 100	
			<u>სულ</u>	80 5,0	790 50,0	210 13,3	500 31,7	1580 100	

როგორც კხედავთ, ქვეტყის მცირე პროექციული დაფარულობისა, მიუხედავად მოზარდის საშუალო ხნოვანება და სიმაღლე, მაღალი საბურველშეკრულობის კორომებში, შედარებით დაბალია, ვიდრე საშუალო საბურველშეკრულობის კორომებში. აქედან გამომდინარე მაღალი საბურველშეკრულობის კორომებში ფერხდება მაღალ ასაკობრივ ჯგუფში წაბლის აღმონაცენის ზრდა-განვითარება და ახალი მოზარდი მცენარე იღუპება.

#### **ცხრილი 5.1.2 სხვადასხვა ხნოვანების წაბლის მოზარდის სიმაღლის მონაცემები**

ბონიტეტი	მოზარდის ხნოვანება (წელი)	მოზარდის სიმაღლის სტატისტიკური მახასიათებლები		
		M საჭ. მეტრი	± Mm მეტრი	ნიმუშების რაოდენობა
1	2	3	4	5
მაღალი ბონიტეტის წაბლნარებში (იელის ქვეტყით)	1	0-10	0.02	3
	2	11-30	0.03	3
	3	31-50	0.04	3
	5	50 და >	0.06	6
საშუალო ბონიტეტის წაბლნარებში (შქერის ქვეტყით)	2	0-10	0.02	3
	3	11-30	0.03	3
	4	31-50	0.04	3
	7	50 და >	0.06	6

მტირალას ეროვნული პარკის წაბლნარებში შქერის და მაყვლის ქვეტყა 0,4-0,5 სიხშირით (ს.ფ 3-4) არის წარმოდგენილი, რის გამოც წაბლის აღმონაცენი პირველივე წელს იღუპება, ისე, რომ მისი სიმაღლე შესაბამისად 2,1 და 1,7 წლის ასაკში 0,33 და 0,30-0,25 მ-ს არ აღემატება.

ტყის კორომების ბიოეკოლოგიური მდგრადობის ობიექტური შეფასების კრიტერიუმს წარმოადგენს ბუნებრივი განახლების პროცესი. წაბლნარებში წაბლისა და ჩრდილის ამტანი მერქნიანი სახეობების ბუნებრივი განახლების მსვლელობის შესაფასებლად, გამოვიყენეთ ვ. გულისაშვილის (Гулисашвили 1956) ბუნებრივი განახლების შეფასების სკალები.

3. გულისაშვილის (Гулисашвили 1956) სკალის მიხედვით კი ს.ფ. 1 – საუკეთესო, ს.ფ. 2 - სუსტია; წაბლნარებში, შქერისა და მაყვლის საფარით, - ს.ფ. 3-4 – ძლიერ სუსტია.

აჭარის დაცულ ტერიტორიებზე წაბლნარის ძირითად ფორმაციებში განახლების მსვლელობა არადამაკმაყოფილებელია. ამის მიზეზია ადამიანის სამეურნეო ზემოქმედება. ძვირფასი მერქნის გამო წლების განმავლობაში ხეები იჭრებოდა, მაღალი სიხშირის კორომები გამეჩერდა, წაბლის ადგილები დაიკავა მაყვლისა და შქერის მაღალმა საფარმა. ამასთან, ტყეში ძირითადად დარჩა დაბალი ღირსების (გადაბერებული, თავდორი, ფაუტიანი) და სხვა ხეები, რომლებიც თესლის არასაკმარის რაოდენობას იძლევიან, ამავე დროს, ბევრს დაჭვეითებული აქვს აღმოცენების უნარი.

აჭარის წაბლის ტყეების ზედა საზღვრების სტაბილურობის შესანარჩუნებლად უნდა აღიკვეთოს წაბლნარების სიხშირის დაჭვეითება, რათა წაბლის ტყის სარტყელში, არ დაირღვეს თესლით აღმოცენებული წაბლნარების ტრანსფორმირება მრავალჯერადი გენერაციის ამონაყრითი წარმოშობის წაბლნარებად. ამით თავიდან ავიცილებო წაბლნარების ცვლას იაფიასიანი ტყის შემქნელი სახეობებით (ხიდაშელი, პაპუნიძე, 1976; მანველიძე 1990), ან, რაც უფრო ხშირ შემთხვევაში ხდება, წაბლნარების სრული დეგრადაცია და მარადმწვანე ქვეტყის (პონტოს შქერი, წყავი) ძლიერ განვითარებით, განუსაზღვრული ვადით წყდება წაბლის შემდგომი ბუნებრივი განახლება.

## 5.2 წიფლის ტყეების ბუნებრივი განახლება

საქართველოში წიფლის ტყეების ბუნებრივი განახლებისა და თესლმსხმოიარობის საკითხები განხილულია გ. გულისაშვილის, 1974; გ. მირზაშვილის და გ. გიგაურის, 1987; გ. ბახსოლიანის 1968; გ. სვანიძისა 1998 და სხვათა შრომებში.

აღნიშნული ავტორების მონაცემებით, წიფლის თესლის გაღივება დამოკიდებულია კორომში ქვეტყის და ნიადაგის ბალახეული საფარით დაფარულობის ხარისხზე, კორომის სიხშირეზე, ხოლო მისი თესლმსხმოიარობა – ზღვის დონიდან აბსოლუტურ სიმაღლეზე, მთის ფერდობის დაქანებაზე, ექსპოზიციაზე და სხვა ფაქტორებზე. გამოკვლეულით გაირკვა, რომ თავისი გავრცელების ზონაში წიფლი უკეთესად თესლმსხმოიარობს ზღვის დონიდან 1000

- 1300 მ სიმაღლის ფარგლებში, ხოლო წიფლის თესლის უმეტესი რაოდენობა გვხვდება ჩრდილოეთის ექსპოზიციის 0,7 – 0,8 სიხშირის კორომებში.

ცნობილია ახევე, რომ კავკასიის პირობებში წიფლის ტყეებში, ბუნებრივი განახლების მსგავსობა, აღმონაცენ-მოზარდის შემადგენლობა, მდგომარეობა და ხეოვანებითი სტრუქტურა გამოკიდებულია ტყის ტიპებზე, ადგილმდებარეობაზე, დედასაბურველის სიხშირეზე და განახლების მდგომარეობაზე ჭრების ჩატარებამდე (Григорян, 2008; Джалилов, Сейдов, 2007).

ირანის კასპიისპირა რეგიონში, ხელუხლებელ ნახევრადმარადმწვანე შერეულ ტყეებში აღმოსავლური წიფლის (*Fagus orientalis*) დომინანტობით, წიფლის ბუნებრივი განახლების ინტენსივობა დამოკიდებულია გადაბერებული ხეების ჩავარდნის ხარჯზე წარმოშობილი ფანჯრის ზომაზე (163 მ<sup>2</sup>-დან 1683 მ<sup>2</sup>-დე) და განახლების პროცესების დაწყება და განვითარება ემთხვევა პირველყოფილი ტყეების განვითარების საწყის და ბოლო სტადიებს (Sagheb-Talebi Khosro, Abazari Bahram Delfan, Namiranian Manuchehr, 2005).

რეკრეაციულ დატვირთვებს დაქვემდებარებულ სუბტროპიკულ ბიოგეოცენოზებში, აღმოსავლური წიფლის (*Fagus orientalis*) განახლების პროცესში, მოზარდის მონაწილეობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები პირდაპირ დამოკიდებულებაშია ნიადაგის ფიზიკურ თვისებებზე, ადგილსამყოფელის ტიპზე და მკვდარი საფარის ბიომასაზე (Щербина, 2007).

მტირალას ეროვნული პარკისა და კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზე წიფლნარების ტყის ბუნებრივი განახლების მსგავსობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მთავარი საბურველის შეკრულობის ხარისხი, ქვეტყისა და ბალახოვანი საფრის პროექციული დაფარულობის მიხედვით ჩვენს მიერ წიფლნარების ძირითად ფორმაციებში ლენტისებური და ბაქნების მიხედვით გამოიყო სხვადასხვა სიდიდის 6 სანიმუშო ფართობი, სადაც სიმაღლეთა ჯგუფებად მიღებული იქნა 0,5, 0,6-1,5 და 1,5 მეტრზე მეტი წიფლის თესლით აღმონაცენი - მოზარდი, მიღებული მონაცემები გადაყვანილია 1 ჰა-ზე და შედარებულია ვ. გულისაშვილის (В. Гулисашвили, 1956) ტყის ბუნებრივი განახლების შეფასების სკალასთან (დავითაძე, 2013).

საკვლევი ტერიტორიები ბუნებრივი რეგენერაციის ძლიერ სუსტი ინტენსივობით ხასიათდება ყველა მარადმწვანე ქვეტყიან წიფლნარში, ქვეტყის 60% და მეტი პროექციული დაფარულობის პირობებში (**სურ 5.2.1**), ტყის მთავარი საბურველის შექმნელი სახეობების აღმონაცენ-მოზარდის საერთო რაოდენობა 1 ჰა-ზე

მერყეობს 1845-3310 ცალის ფარგლებში და მათი ძირითადი წილი მოდის 0,5 მ-ზე ნაკლები სიმაღლის მოზარდზე (ცხრილი 5.2.1, ს.ვ 1,5).

დაცულ ტერიტორიებზე დამაკმაყოფილებელი ბუნებრივი განახლებით ხასიათდება წიფლნარ-რცხილნარი, იელის საფრით 30%-იანი დაფარულობის შემთხვევაში, თუ აღმონაცენ-მოზარდის საერთო რაოდენობა 1 ჰა-ზე აღემატება 11490-13690 ცალს (ს.ვ 3,7). ამავე დროს, მარადმწვანე ქვეტყიან ასოციაციებთან შედარებით, საბურველის 0,7 შეკრულობის პირობებში, სიმაღლის სტრუქტურაში იკვეთება აღმონაცენ-მოზარდის უკეთესი დიფერენცირება, კერძოდ, 0,6-1,5 მ სიმაღლის მოზარდის საერთო რაოდენობა წიფლნარ-რცხილნარ ასოციაციებში, მაყვლის და სხვა ბუჩქების პროექციული დაფარულობით, 50%-ს აღწევს. ეს ტყის შემდგომი რეგენერაციის დასაწყისისათვის დამაიმუდებელ პირობებს ქმნის.



**სურ 5.2.1** წიფლნარი იელის ქვეტყით (*Fagetum asaleosum*) დამაკმაყოფილებელი ბუნებრივი განახლებით

## ცხრილი 5.2.1

აჭარის დაცულ ტერიტორიებზე წიფლნარი ასოციაციების აღმონაცენ-მოზარდის განაწილება სიმაღლეთა ჯგუფების მიხედვით

დაცული ტერიტორია b.გ.Nº	<u>ასოციაცია</u> სიმაღლე. ზ.დ.(მ) ექსპოზიცია	კორომის შემადგენლობა ქვეტყის დაფარულობა (%)	საბურველის შეკრულობა სიხშირე	აღმონაცენ-მოზარდის რაოდენობა					განახლების შეფასება	
				<u>დალი 1 პა-ზე</u> %						
				სახეობა	<0,5	0,6-1,5	>1,5	სულ		
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	
კინტრიშის დაცული ტერიტორიები 1	Fagetum rhododendrosum <u>920</u> <u>ჩრდ. დას.</u> <u>25<sup>0</sup></u>	<u>10წგ+წბ</u> 60	0,9	წგ	2300	700	150	3150	სუსტი	
				%	73,0	22,2	4,8	100		
				რც	-	120	40	160		
	Fagetum rubosum <u>860</u> <u>ჩრდ.</u> <u>20<sup>0</sup></u>	<u>10წგ+რცb+</u> <u>+ცცb</u> 20	0,6	%	75	25	100			
				წგ	2300	820	190	3310		
				%	69,5	24,8	5,7	100		
	Fagetum rubosum <u>860</u> <u>ჩრდ.</u> <u>20<sup>0</sup></u>	<u>10წგ+რცb+</u> <u>+ცცb</u> 20	0,6	რცb	50	170	75	295	კარგი	
				%	16,9	57,6	25,5	100		
				ცცb	8850	16970	8475	34295		

გაგრძელება ცხრილი 5.2.1

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
კინტრიშის დაცული ტერიტორიები 3	Fagetum- Carpine- to azaleum <u>1223</u> <u>ჩრდ.</u> <u>25<sup>0</sup></u>	<u>8წგ+2რცხ</u> 30	0,9 0,7	წვ % რცხ % სულ %	3100 23,3 280 71,8 3380 24,7	6800 51,1 110 28,2 6910 50,5	3400 25,6 - - 3400 24,8	13300 100 390 100 13690 100	დამაკმაყოფი ლებელი
კინტრიშის დაცული ტერიტორიები 4	Fagetum festuco- sum <u>1780</u> <u>სამხ. აღმ</u> <u>35<sup>0</sup></u>	<u>10წგ+რცხ</u> +6პ 20	0,6 0,5	წვ % რცხ % სულ %	5370 30,3 320 61,5 5690 31,2	8650 48,8 130 25,0 8780 48,1	3700 20,9 70 13,5 3770 20,7	17720 100 520 100 18240 100	დამაკმაყოფი ლებელი
მტირალას ეროვნული პარკი 5	Fagetum rhododendrosum <u>875</u> <u>ჩრდ. დას.</u> <u>15<sup>0</sup></u>	<u>10წგ+წბ</u> 60	0,9 0,7	წვ % რცხ % სულ %	1500 89,3 50 30,3 1550 84,0	180 10,7 70 42,4 250 13,5	- - 45 27,3 45 2,5	1680 100 165 100 1845 100	სუსტი

გაგრძელება ცხრილი 5.2.1

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
მტირალას ეროვნული პარკი 6	Fagetum rubosum <u>900</u> <u>წრდ.</u> <u>20<sup>0</sup></u>	10 <sup>0</sup> ფ+რცბ+ +ცცბ 20	0,6 0,6	წვ % რცბ % სულ	8800 25,9 120 41,4 8920 18,2	16800 49,4 80 27,6 16880 34,8	8400 24,7 90 31,0 8490 17,6	34000 100 290 100 34290 100	გარგი
მტირალას ეროვნული პარკი 7	Fagetum -Carpineto azalesum <u>1100</u> <u>წრდ.</u> <u>30<sup>0</sup></u>	7 <sup>0</sup> ფ3რცბ+წბ 30	0,8 0,7	წვ % რცბ % სულ	2200 19,3 70 77,8 2270 19,7	5800 50,9 20 22,2 5820 50,7	3400 29,8 - - 3400 29,6	11400 100 90 100 11490 100	დამატებოვი ლებელი
მტირალას ეროვნული პარკი 8	Fagetum rhododendrosum <u>380</u> <u>წრდ. დას.</u> <u>25<sup>0</sup></u>	8 <sup>0</sup> ფ2რცბ+თბ 70	0,6 0,4	წვ % რცბ % სულ	200 74,1 80 72,7 280 73,7	70 25,9 30 27,3 100 26,3	- - - - -	270 100 110 100 380 100	ძლიერ სუსტი

მტირალას ეროვნულ პარკში ბუნებრივი განახლების მიმდინარეობა და მოზარდ-აღმონაცენის სიმაღლობრივი სტრუქტურის კარგი შეფასებით გამოირჩევა ასოციაციები: წიფლნარი მაყვლის 20%-იანი საფრის პირობებში, სადაც აღმონაცენ-მოზარდის საერთო რაოდენობა აღწევს 34290 ცალს (ს.ფ.6). მისი ძირითადი წილი მოდის 0,6-1,5 მ-ზე - 16880 ცალი, ხოლო კინგრიშის დაცულ ტერიტორიებზე წიფლნარი მთის წივანას საფარით, სადაც აღმონაცენ-მოზარდის საერთო რაოდენობა აღწევს 18240 ცალს, შესაბამისად 0,6-1,5 მ სიმაღლის მოზარდის მონაწილეობა შეადგენს 8780 ცალს (ს.ფ.4).

მტირალას ეროვნულ პარკში საბურველის 0,6 შეკრულობის პირობებში ძლიერ სუსტი განახლების პროცესებით და დაბალი სიმაღლის მოზარდით ხასიათდება წიფლნარები გვიმრის საფრით, სადაც აღმონაცენ-მოზარდის საერთო რაოდენობა შეადგენს 380 ცალს 1 ჰა-ზე, > 1,5 მ მოზარდის არარსებობით ან მათი მცირე მონაწილეობით. ანალოგიური, ბუნებრივი განახლებით ხასიათდება წიფლნარი ასოციაციები შქერის ქვეტყის 60%-ნი დაფარულობის პირობებში, რაც გამოწვეულია მათი სიხშირით, რის გამოც ნიადაგში თესლი იშვიათად ხვდება, ხოლო მოხვედრის შემთხვევაში შეზღუდულია აღმოცენებისათვის საჭირო გარემო პირობები.

აჭარის წიფლნარი ტყის ძირითად ფორმაციებში ტყეების ბუნებრივი განახლების შესწავლის შედეგად დადგენილია ბუნებრივ სტრუქტურადაუღევეველი, თვითმყოფადი ასოციაციების დიდი პოტენციალური შესაძლებლობები ბუნებრივი რეგენერაციისა და სახეობრივი მრავალფეროვნების მდგრადობის შენარჩუნების თვალსაზრისით.

## დასკვნები და რეკომენდაციები

1. კინტრიშის დაცული ტერიტორიების და მტირალას ეროვნული პარკის ოროგრაფიული, კლიმატური და ნიადაგობრივი პირობები, კერძოდ რელიეფის ძლიერი დანაწევრება, სუბტროპიკული თბილი და ზომიერად ცივი ჰავა ბუნებრივისტორიულად ქმნის ხელსაყრელ პირობებს მეტად ნაირფეროვანი ფლორისტული ელემენტების ჩამოყალიბების, შენარჩუნებისათვის და განვითარებისათვის.
2. კინტრიშის დაცული ტერიტორიებისა და მტირალას ეროვნული პარკის თანამედროვე მცენარეულობის სრული ფორმირება (ისევე, როგორც მთლიანად საქართველოში), მოხდა შუა პოლოცენის პირველი ნახევრის ატლანტურ პერიოდში, როდესაც სტაბილურად დაიწყო ჰავის დათბობა და ყინვების დადნობა, კოლხეთის დაბლობებზე გაბატონდა ფართოფოთლოვანი ტყეები – მურყნარები; მთის წინა კალთებზე-მუხნარები, წაბლნარები; მთის ქვემო სარტყელში განვითარდა ტიპიური კოლხური შერეული ფართოფოთლოვანი ტყეები (წიფელყ, წაბლი, რცხილა, მუხა, ცაცხი); მთის ზედა სარტყელში გაბატონდა სოჭნარები, ნაძვნარები, სოჭნარ-ნაძვნარები, წიფლნარ-ნაძვნარები; სუბალპური სარტყელი დაიკავა დეკამ, იელმა და მაღალმთის მდელოებმა. ტყის შემქმნელი მერქნიანი სახეობების ვერტიკალური ზონალობა დომინანტ სახეობების მიერ ტყის სარტყელიანობამ გამოკვეთილი სახე მიიღო შუა პოლოცენის სუბბორეალურ (აცივება და ტენიანობის მატება) პერიოდში, როდესაც აღინიშნება წიფლის არეალის სწრაფი გაფართოება და გრძელდებოდა გვიან პოლოცენშიც. ეხლანდელი ქობულეთის დაბლობზე კი ვრცელ ფართობებს იკავებდა მურყნარები და შერეული ფართოფოთლოვანი სუბტროპიკული ტყეები – წიფლის, წაბლის, ძელქის, რცხილის, ცაცხისა და სხვათა მონაწილეობით.
3. კინტრიშის დაცული ტერიტორიების და მტირალას ეროვნული პარკის ზღვისკენ მოქცეული ფერდობების მცენარეული საფარის განვითარება მას შემდეგ, რაც მიოცენის დასაწყისში იგი ზღვისგან განთავისუფლდა, მიმდინარეობდა ისევე როგორც ყველგან საქართველოში, კერძოდ დასავლეთ საქართველოში მიმდინარე გეოქრონოლოგიური პერიოდების მიხედვით. განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ იქ იგრძნობოდა შავი ზღვის სიახლოვე, მისი გავლენა ზღვისპირა დსა შიდამთიან

თბილ კლიმატზე, სუბტროპიკული მცენარეულობის ჩამოყალიბებაზე და რელიქტურ მცენარეთა შენარჩუნებაზე.

4. გეომორფოლოგიური და კლიმატური პროცესების შედეგად გარესამყაროსაგან მნიშვნელოვანმა იზოლირებამ, აჭარის დაცულ ტერიტორიებში რელიქტური ფლორა და მცენარეულობა შემოგვინახა, მაგრამ ამავე დროს უძველესი ფლორის სხვა ოლქებთან აქტიური ფლოროგენეტიკური კავშირები შეზღუდა.

5. კინტრიშის დაცული ტერიტორიებისა და მტირალას ეროვნული პარკის მცენარეულობის ძირითადი ტიპები, ფორმაციები და მათი ვერტიკალური განაწილება ასე გამოისახება:

- ტყის სარტყელი 200 მ - 2000-2100 მ ზ.დ.
- შერეული კოლხური ტყე 150 მ-დან 550-600 მ-მდე;
- წაბლნარი 550-600 მ-დან 1150-1200 მ-მდე;
- წიფლნარი 1150-1200 მ-დან 2000-2100 მ-მდე;
- შეერიანი (აზონალურია);
- სუბალპური სარტყელი 2000-2100 მ-დან 2300-2350 მ-მდე;
- სუბალპების ტყეები 2000-2100 მ-დან 2200-2250 მ-მდე;
- სუბალპების ბჟეშქნარები 2100 მ-დან 2350 მ-მდე;
- სუბალპური მაღალბალახეულობა 1950-2000 მ-დან 2200 მ-მდე;
- სუბალპების მდელოები 2100 მ-დან 2350 მ-მდე.

კინტრიშის დაცული ტერიტორიებისაგან განსხვავებით მტირალას ეროვნულ პარკში სუბალპური სარტყელი არ არის.

6. შერეული კოლხური ტყის ქედსარტყელში ჩვენს მიერ გამოიყო იშვიათი და მაღალი კონსერვაციული ლირებულებები ფიტოცენოზების ჯგუფები, ფიტოცენოზების ძირითადი ტიპები (ასოციაციები):

- რცხილნარი შეერის ქედზე (Carpinetum rhododendrosum);
- წიფლნარ-წაბლნარ-რცხილნარები შეერის ქედზე (Fageto-Castaneto-Carpinetum rhododendrosum);
- რცხილნარი ბზის ქედზე (Carpinetum buxosum);

7. წაბლის ტყის ქედესარტყელში ჩვენს მიერ გამოიყო იშვიათი და მაღალი კონსერვაციული დირებულებები ფიტოცენოზების ჯგუფები, ფიტოცენოზების ძირითადი ტიპები (ასოციაციები):
- წაბლნარი შქერის ქვეტყით (*Castanetum rhododendrosum*);
  - წიფლნარ-რცხილნარ-წაბლნარი შქერის ქვეტყით *Fageto-Carpineto-Castanetum rhododendrosum*;
  - წაბლნარი წყავის ქვეტყით (*Castsnetum laurocerasosum*);
  - რცხილნარ-წაბლნარი წყავის ქვეტყით (*Carpineto-Castanetum laurocerasosum*);
  - წაბლნარი მკვდარი საფარით (*Castanetum nudum*);
  - წაბლნარი წივანას საფარით (*Castanetum-festucosum*);
  - წაბლნარი ანჩხლას საფარით (*Castanetum trachystemosum*);
- ფოთოლმცვენი (ზაფხულმწვანე) ქვეტყიანი წაბლნარებიდან:
- წაბლნარი მოცვის ქვეტყით (*Castanetum arctostaphylosum*);
  - წაბლნარი იელის ქვეტყით (*Castanetum azaleosum*);
- აქვე გვხვდება ფორმაციები მურყანის აქტიური მონაწილეობით: მურყნარი (*Alnetum matteuccioso-rubosum*)
8. წიფლის ტყის ქედესარტყელში ჩვენს მიერ გამოიყო იშვიათი და მაღალი კონსერვაციული დირებულებები ფიტოცენოზების ჯგუფები, ფიტოცენოზების ძირითადი ტიპები (ასოციაციები):
- წიფლნარი შქერის ქვეტყით (*Fagetum rhododendrosum*);
  - სოჭნარ-წიფლნარი შქერის ქვეტყით (*Abieto-Fagetum rhododendrosum*);
  - წიფლნარი წყავის ქვეტყით (*Castsnetum laurocerasosum*);
  - წიფლნარი შქერის და წყავის ქვეტყით (*Fagetum rhododendroso-laurocerasosum*);
  - არყნარ-წიფლნარი დეკას ქვეტყით (*Betuleto-Fagetum caucasico-rhododendrozum*);
- ფოთოლმცვენი (ზაფხულმწვანე) ქვეტყიანი წიფლნარებიდან:
- წიფლნარი მოცვის ქვეტყით (*Fagetum arctostaphylosum*);
  - წიფლნარი იელის ქვეტყით (*Fagetum azaleosum*);
  - წიფლნარი ძახველის ქვეტყით (*Fagetum viburnosum*);

- წიფლნარი მაყვლის ქვეტყით (*Fagetum rubosum*);
- წაბლნარ-რცხილნარ-წიფლნარი მაყვლის ქვეტყით (*Castaneto-Carpinetum Fagetum rubosum*);
- წიფლნარი გვიმრის საფარით (*Fagetum filicicosum*).  
მკვდარ და ბალახოვან საფარიან წიფლნარებიდან გვხვდება:
- წიფლნარი მკვდარსაფრიანი (*Fagetum nudum*);
- წიფლნარი ანჩხლას საფარით (*Fagetum trachystemosum*);
- წიფლნარი ხარისშუბლას საფარით (*Fagetum seneciosum*);
- წიფლნარი მარცვლოვან-ნაირბალახოვანი (*Fagetum graminoso-mixtoherbosum*);
- წიფლნარი წიგანას საფარით (*Fagetum festucosum*);
- წიფლნარი წმადალბალახოვანი საფარით (*Fagetum altherbosum*);  
ბიომრავალფეროვნებით გამორჩეულად მაღალი მახასიათებლების მქონე ფორმაცია “შქერიანი” *Fagetum mixtofruticosum*, რომელიც მტირალას ეროვნული პარკის გარკვეულ მონაკვეთებზე წარმოდგენილია 1-პა ფართობზე 35-მდე მერქნიან მცენარეთა დაჯგუფებებით მარადმწვანე სახეობების ხე-მაგვარი ფორმებით და ენდემურ სახეობების პონტოური მუხის (*Quercus pontica*), უნგერნის შქერის (*Rhododendron ungernii*) და ეპიგეს (*Epigaea gaultherioides*) აქტიური მონაწილეობით

9. კინტრიშის დაცული ტერიტორიების სუბალპური ტყეები წარმოდგენილია შემდეგი ფორმაციებით: სუბალპური ტანბრეცილები, სუბალპური მეჩერი ტყითა და დეკიანით; აქ მესამეული მეზოფილური დენდროფლორის წარმომადგენლებთან ერთად, ასევე თაგმოურილია კავკასიის, საქართველოსა, კოლხეთისა და აჭარის ენდემები: მედვედევის არეი (*Betula medwedewii*), რომელიც ლიტვინოვის არეთან ერთად ქმნის ფიტოცენოტურ დაჯგუფებებს: არყნარს დეკას ქვეტყით (*Betuleto caucasico - rhododendrosum*) და არყნარს სუბალპური მაღალბალახოვნებით (*Betuletum altherbosa subalpina*), პონტოური მუხა (*Quercus pontica*), (იმერული ხეჭრელი) *Rhamnus imeretina*, კოლხური ჭყორი (*Ilex colchica*), ბიბერშტეინის მოცხარი (*Ribes biebersteinii*) და სხვა.

10. კინტრიშის დაცული ტერიტორიების ფლორის ინვენტარიზაციის ლიტერატურული და ჩვენი სავალე მუშაობის შედეგად დადგინდა, რომ იგი

წარმოდგენილია 894 სახეობით, რომლებიც 116 ოჯახის 396 გვარში ერთიანდებიან; მათ შორის გვიმრანაირია 29 სახეობა-3,2%, რომლებიც ერთიანდებიან 13 ოჯახსა და 18 გვარში. შიშველთესლოვანია -6 სახეობა-0,6%, რომლებიც აქ წარმოდენილი არიან 3 ოჯახით და 2 გვარით და ფარულთესლოვანი 100 ოჯახისა და 572 გვარით წარმოდგენილი 861 სახეობა-96,3%.

სახეობათა რაოდენობის მიხედვით წამყვანი 10 ოჯახია: Asteraceae-119, Poaceae-67, Rosaceae-59, Fabaceae-48, Scrophyllariaceae-42, Caryophyllaceae-41, Apiaceae-38, Lamiaceae-37, Boraginaceae-23, Brassicaceae-23, რაც მთელი ფლორის შემადგენლობის 55,5 %-ს შეადგენს.

ფართო გავრცელებით თვალსაჩინო ადგილი უჭირავს სახეობებით მდიდარ გვარებს: Carex-14, Veronica, Potentilla-12, Trifolium, Cirsium, Hieracium-11, Alchemilla, Euphorbia-10, Centaurea, Rubus-9, Hypericum, Ranunculus, Geranium, Lathyrus, Scrophularia, Senecio, Cardamine-8.

სასიცოცხლო ფორმების მიხედვით კინტრიშის დაცული ტერიტორიების მთლიანი ფლორისტული შემადგენლობიდან მერქნიანია- 115 (12,8%) სახეობა, მათ შორის ხე- 36 (4%), ბუჩქი-55 (6,1%), ლიანა-5 (0,6%) სახეობა, რაც ფანეროფიტებისათვის მაღალი მაჩვენებელია.

მრავალფეროვანია კინტრიშის დაცული ტერიტორიების ფლორის სახეობათა გეოგრაფიული სპექტრი, რომელშიც წარმოდგენილია ძირითადი კოლხური და გარდამავალი კოლხურ-კავკასიური, კავკასიურ ჰირკანული, ევქსინის ჯგუფები, მთლიანად ეს ჯგუფი წარმოდგენილია 193 სახეობით, რაც მთელი ფლორისტული შემადგენლობის ელემენტი, რაც მთელი ფლორისტული შემადგენლობის 21,6 %-ს შეადგენს. ამათგან მნიშვნელოვანია კოლხური ელემენტი 156 სახეობით. არა მარტო სახეობრივი, არამედ სასიცოცხლო ფორმების დიდი მრავალფეროვნებთ წარმოდგენილი კოლხური ელემენტი ხეობის ძირითად ბირთვს შეადგენს. კოლხური ელემენტი იმდენად ჩვეულებრივია, რომ ტიპიური მაგალითისათვის რომელიმე მათგანის არჩევაც კი ძნელია. ისინი გავლენას ახდენენტყოს სარტყლის დიდი ნაწილის ფლორის საერთო შემადგენლობაზე. კოლხური ელემენტი განსაკუთრებული მრავალფეროვნებით მაინც სუბალპურ სარტყელშია წარმოდგენილი (107 სახეობა).

ყველაზე დიდი მრავალფეროვნებით ბორეალური ელემენტია წარმოდგენილი 398 სახეობით, მთლიანი ფლორისტული შემადგენლობის 44,5%-ს შეადგენს,

რომელიც ძირითადად პალეარქტიკული, ჰოლარტიკული და ევროპული ელემენტებითაა წარმოდგენილი. ეს კიდევ ერთჯერ ადასტურებს, რომ ნაკრძალის ფლორა ბორეალური ფლორისტული ოლქის ფლორებს შეესაბამება.

საკმაო წარმომადგენლობითაა ხმელთაშუაზღვის ელემენტი 115 სახეობით - 12,8%. კავკასიურ-მცირე აზიური - 90 სახეობა-10 %. კინგრიშის ხეობა თავისი მდებარეობითა და წარსულით დაკავშირებულია კავკასიის და მცირე აზიის ფლორისტულ ცენტრებთან, ძირითადად კოლხური კლასის არეალს მიეკუთვნება, მაგრამ იგი ამავე დროს კავკასიის საერთო არეალში შედის, რომელიც თავის მხრივ მცირე აზიას ესაზღვრება. ასევე მნიშვნელოვანი წილი მოდის ეუქსინურ - 54 სახეობა-6 % და ეუქსინურ-ჰირკაენულ- 36 - 4% სახეობებზე.

11. მტირალას ეროვნული პარკის ფლორის ინვენტარიზაციის შედეგად დადგინდა, რომ იგი წარმოდგენილია 522 სახეობით, რომლებიც 107 ოჯახის 306 გვარში ერთიანდებიან, მათ შორის, გვიმრანაირია 25 სახეობა, რომლებიც ერთიანდებიან 13 ოჯახსა და 16 გვარში. შიშველთესლოვანია -1 სახეობა, და ფარულთესლოვანი 522 სახეობა, რომლებიც 92 ოჯახსა და 242 გვარში ერთიანდებიან.

სახეობათა რაოდენობის მიხედვით წამყვანი 10 ოჯახია: Asteraceae-66, Poaceae-35, Fabaceae-30, Rosaceae-28, Lamiaceae-27, Brassicaceae-26, Scrophulariaceae-22, Apiaceae-21, Boraginaceae-16, Caryophyllaceae-13 რაც მთელი ფლორის შემადგენლობის 54,4 %- ს შეადგენს.

სახეობებით მდიდარი გვარებია: Trifolium-9, Polygonum-7, Rubus -7, Epilobium-6, Hypericum-6, Rumex-5, Stachys-5, Vicia-5, Geranium -5, Viola-5, Veroniva-5.

სასიცოცხლო ფორმების მიხედვით მტირალას ეროვნული პარკის მთლიანი ფლორისტული შემადგენლობიდან მერქნიანია- 78 (14,9%) სახეობა, მათ შორის ხე-32, ბუჩქი-43, ლიანა-3 სახეობა, რაც ფანეროფიტებისათვის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.

მერქნიანები გამოირჩევიან ბიოკოლოგიური ტიპითაც. მათი უმრავლესობა მეზოფილური ფლორის ელემენტებია, რომელთაგან 20-მდე სახეობა მარადმწვანეა; ბალახოვანია 419 (80,26%) სახეობა, რომელთაგანაც ერთწლიანია-116 (22,2%), ორწლივანი-36 (6,8%), მრავალწლივანი-292 (55,9%). ამრიგად ყველაზე დიდი პროცენტით სასიცოცხლო ფორმებში მრავალწლივანი ბალახოვანი მცენარეებია

წარმოდგენილი, თუმცა გაბატონებული და ფონის მომცემი მერქნიანი სახეობებია.

საკმაოდ მრავალფეროვანია მტირალას ეროვნული პარკის ფლორის სახეობათა გეოგრაფიული სპექტრი, რომელშიც ყველაზე მეტი რაოდენობით -134 სახეობა, ბორეალური ელემენტი სჭარბობს და ფლორისტული შემადგენლობის 25,6%-ს შეადგენს. 125 სახეობით წარმოდგენილია კოლხური ელემენტი, რაც მთელი ფლორისტული შემადგენლობის 24%-ს შეადგენს, ხმელთაშუაზღვისპირულ-წინააზიური ელემენტისახეობით-115 – 22%, კავკასიური-67 სახეობა-12,8%, მცირე აზიული -38 სახეობა - 7% -ეუქსინური – 34 სახეობა-6,5%, სხვა ელემენტი-10 სახეობა-1,9%.

12. აჭარის ფაუნის რეესტრზე დაყრდნობით დღეისათვის მტირალას ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გავრცელებულია თევზების 20 (13,0% მთლიანად აჭარაში გავრცელებული სახეობებიდან), ამფიბიების 4 (40%), რეპტილიების 9 (437%), ფრინველების 104 (30%) და ძუძუმწოვრების 37 (51%) სახეობა.

საქართველოს წითელი ნუსხით (2006) დაცულია ფაუნის 16 სახეობა: *Mertensiella caucasica*(VU); *Darevskia clarkorum* (EN); *Vipera kaznakovi* (EN); *Podiceps grisegena* (VU); *Pelecanus crispus* (EN); *Tadorna ferruginea* (VU); *Accipiter brevipes* (VU); *Aquila chrysaetos* (VU); *Buteo rufinus* (VU); *Neophron percnopterus* (VU); *Falco naumanni* (CR); *Falco vespertinus* (VU); *Rhinolophus euryale* (VU); *Lutra lutra* (VU); *Ursus arctos Linnaeus* (EN); *Rupicapra rupicapra* (EN).

IUCN წითელი ნუსხით (ვერსია 3.1) დაცულია ფაუნის 30 სახეობა: *Cyprinus carpio* (VU); *Salmo labrax* (LC); *Salmo trutta* (LC); *Mertensiella caucasica* (VU); *Bufo verrucosissimus* (NT); *Pelodytes caucasicus* (NT); *Darevskia derjugini* (NT); *Darevskia clarkorum* (EN); *Vipera kaznakovi* (EN); *Pelecanus crispus* (VU); *Tadorna ferruginea* (LC); *Accipiter brevipes* (LC); *Aquila chrysaetos* (VU); *Aquila nipalensis* (VU); *Buteo rufinus* (LC); *Circus cyaneus* (NT); *Circus aeruginosus* (LC); *Hieraaetus pennatus* (NT); *Milvus migrans* (LC); *Neophron percnopterus* (EN); *Falco columbarius* (VU); *Falco naumanni* (VU); *Falco tinnunculus* (LC); *Pernis apivorus* (LC); *Falco vespertinus* (NT); *Ficedula parva* (NT); *Rhinolophus euryale* (NT); *Lutra lutra* (NT); *Ursus arctos* (LC); *Rupicapra rupicapra* (LC).

13. აჭარის ფაუნის რეესტრზე დაყრდნობით დღეისათვის კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზე გავრცელებულია თევზების 20 (13,0% მთლიანად აჭარაში გავრცელებული სახეობებიდან), ამფიბიების 7 (70%), რეპტილიების 10 (41%), ფრინველების 96 (28%) და ძუძუმწოვრების 25 (34%) სახეობა.

კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზე ბინადარი ფაუნის იშვიათი და ქრობადი სახეობები კონსერვაციული სტატუსის მიხედვით შემდეგნაირადად გადანაწილებული:

საქართველოს წითელი ნუსხით (2006) დაცულია ფაუნის 15 სახეობა: *Salmo fario* (VU); *Mertensiella caucasica* (VU); *Vipera kaznakovi* (EN); *Accipiter brevipes* (VU); *Aquila chrysaetos* (VU); *Buteo rufinus* (VU); *Neophron percnopterus* (VU); *Falco naumanni* (CR); *Falco vespertinus* (VU); *Tetraogallus caspius* (VU); *Lutra lutra* (VU); *Ursus arctos Linnaeus* (EN); *Rupicapra rupicapra* (EN), *Sciurus anomalus* (VU); *Lynx lynx* (CR).

IUCN წითელი ნუსხით (ვერსია 3.1) დაცულია ფაუნის 28 სახეობა: *Cyprinus carpio* (VU); *Salmo labrax* (LC); *Salmo trutta* (LC); *Mertensiella caucasica* (VU); *Ommatotriton ophryticus* (NT); *Bufo verrucosissimus* (NT); *Darevskia derjugini* (NT); *Darevskia clarkorum* (EN); *Vipera kaznakovi* (EN); *Accipiter brevipes* (LC); *Aquila chrysaetos* (VU); *Aquila nipalensis* (VU); *Buteo rufinus* (LC); *Circus cyaneus* (NT); *Hieraaetus pennatus* (NT); *Milvus migrans* (LC); *Neophron percnopterus* (EN); *Pernis apivorus* (LC); *Falco columbarius* (VU); *Falco naumanni* (VU); *Falco tinnunculus* (LC); *Falco vespertinus* (NT); *Ficedula parva* (NT); *Sciurus anomalus* (LC); *Lynx lynx* (LC); *Lutra lutra* (NT); *Ursus arctos* (LC); *Rupicapra rupicapra* (LC).

14. ჩვენს მიერ განხორციელებული მონიტორინგის და კინტრიშის დაცული ტერიტორიების აღმინისტრაციის ყოველწლიურ გამოცემაზე “[“ბუნების მატიანე”](#) (2008,2009,2010,2011,2012) დაყრდნობით ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) წითელი წითელი ნუსხის სახეობების რიცხოვნობის ზრდის დინამიკამ 2010-დან 2012 წლისათვის შეადგინა: არჩვი /*Rupicapra rupicapra*/ 20-30 ერთეული, წავი /*Lutra lutra*/ 15-17 ერთეული, მურა დათვი /*Ursus arctos*/ 6-10 ერთეული, მგელი /*Canis lupus*/ 10 ერთეულამდე, კვერნაა /*Martes foina*, *M.. martes*/ 8-10 ერთეული, კავკასიური ციფვი /*Sciurus anomalus* / 3 ერთეულამდე.

15. ბოლო წლებში, აჭარის დაცულ ტერიტორიებზე გამოვლენილ დაავადებებს და მავნებლებს შორის განსაკუთრებით საგანგაშოა ბზის კორომების მასობრივი

ხმობა, რომელსაც იწვევს სოკო cylindrocladum buxicola, წაბლის ქერქის კიბო (Cryphonectria parasitica) და წაბლის ნაღმისებრი ჩრჩილი (Cameraria ohridella deschka).

16. აჭარის დაცულ ტერიტორიებზე ტყის შემქმნელი ძირითადი სახეობების ბუნებრივი განახლების მდგომარეობის შესწავლის შედეგად დადგენილია სტრუქტურა-დაურღვეველი, თვითმყოფადი ასოციაციების დიდი პოტენციური შესაძლებლობები.

სუსტი და ძლიერ სუსტი განახლებით ხასიათდება უსისტემო ჭრებსა და პირუტყვის დაურეგულირებელ ძოვებას დაქვემდებარებული მუხნარები და წაბლნარები – შქერის, წყავის, იელის, საკმელის ქვეტყით; საშუალო (0,5-0,7) და მაღალი (0,8 და მეტი) საბურვლის შეკრულობის შქერიან წაბლნარებსა და რცხილნარებში. იელიან და საკმელიან მუხნარებში მომავალი კორომების შესაქმნელად ასევე არადამაკმაყოფილებელია ტყის ბუნებრივი განახლება წაბლის, მუხის და რცხილის ნაზარდის შენარჩუნება და მეტ-ნაკლები დიფერენცირება, სიმაღლობრივ ჯგუფებში, აღინიშნება ოვსლითი წარმოშობის მარადმწვანე ქვეტყიან და წივანას საფრიან წაბლნარებში (6450 და 8050 ცალამდე 1 ჰა-ზე). მარადმწვანე ქვეტყიან მუხნარებში (14200 ცალამდე 1 ჰა-ზე). იელის ქვეტყიან რცხილნარებში (4300 ცალამდე 1 ჰა-ზე) ქვეტყე საშუალოდ და სუსტადაა განვითარებული.

ყველა მარადმწვანე ქვეტყიან, მარადმწვანე ბუჩქებთან შერეულმოცვიან და სხვა ფოთოლმცვენ ქვეტყიან, მაყვალ-გვიმრიან, წიფლნარ და ნაძვნარ-სოჭნარ ასოციაციებში ბუნებრივი განახლება ძლიერ სუსტი ინტენსივობისაა. მთის წივანიან და წვრილბალახოვან (ჩიტისთვაიან-ქრისტესტეჭდიან) წიფლნარებში (18700-27800 ცალამდე 1 ჰა-ზე) ბუნებრივი განახლება დამაკმაყოფილებელია.

17. კინტრიშის დაცული ტერიტორიებისა და მტირალას ეროვნული პარკის ტერიტორიაზე წარმოდგენილი მერქნიან მცენარეთა სახეობებიდან ჩრდილის ამტანია 10, სინათლის მოყვარულია 69, სითბოს მომთხოვნია 58, ყინვაგამძლეა 36, მეზოფიტი, ანუ ნიადაგის ტენიანობისადმი საშუალო მოთხოვნილებისაა 23, ჰიგროფიტი, ანუ ნიადაგის ტენიანობისადმი მომთხოვნია 2 სახეობა.

18. კინტრიშის დაცული ტერიტორიებისა და მტირალას ეროვნული პარკის ტერიტორიაზე წარმოდგენილი მერქნიან მცენარეთა სახეობებიდან რელიქტურებია:

ცარცის პერიოდის 1, მესამეული პერიოდის არქტომესამეული 1, ტუგაის 29, ქსეროთერმული პერიოდის 1, ყინულოვანი პერიოდის 1, პოლტავის ფლორის 6.

19. აჭარის დაცული ტერიტორიების შემდგომი მიზანია ველური ბუნების შენარჩუნება და მისი მართვა, როგორც გლობალური მნიშვნელობის მქონე კონსერვაციის ადგილისა - მინიმალური სამეცნიერებლო ჩარევით, რათა გარანტირებულ იქნეს ეკოსისტემების ფუნქციონირება, ეკოსისტემური პროცესების ბუნებრივი მიმდინარეობა.

20. აჭარის დაცული ტერიტორიების ტრადიციული გამოყენების და სამეურნეო ზონაში ტყის მცენარეულობის აღდგენა-განახლების გრძელვადიანი მიზნების უზრუნველყოფისათვის აუცილებელია კოლხეთის რეგიონისათვის დამახასიათებელი რელიქტური და ენდემური სახეობისათვის ზონალური სანერგე მეურნეობებისა და სადედე პლანტაციების მოწყობა ზღვის დონიდან სხვადასხვა სიმაღლეზე, სტანდარტული სარგავი მასალის წარმოება და მათი პერიოდული რტეპატრიაცია სტრუქტურადარღვეულ ტყის ეკოსისტემებში.

21. აჭარის დაცულ ტერიტორიებზე გავრცელებული ძირითადი მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის უპირველეს და გადაუდებელ დონისძიებებად მიგვაჩნია: გამხმარი ხეების მოჭრა და ტყიდან გამოტანა; ჩამოცვენილი ფოთლების, ყლორტების შეგროვება და დაწვა, ან დრმად ჩამარხვა; დაავადებულ ადგილებზე ფუნგიციდების შესხურება; მიზანშეწონილია შესწავლილ იქნეს აღნიშნული დაავადებების განვითარების ციკლი და შემუშავდეს მათ წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური დონისძიებები.

22. აჭარის დაცული ტერიტორიების ტყის მცენარეულობის ბიოლოგიური მრავალფეროვნება საშუალებას იძლევა ეკოლოგიურ-საგანმანათლებლო პოტენციალის უფრო ეფექტური გამოყენების თვალსაზრისით, რაც უპირველეს ყოვლისა გამოიხატება დაცული ტერიტორიების საზღვრებში ტურისტულ-საგანმანათლებლო ბილიკების და გადამფრენ ფრინველებზე სათვალთვალო კოშკების ქსელის გაფართოებაში; ტურისტული, შემეცნებითი და საგანმანათლებლო ინფორმაციების განახლებაში უახლოეს მონაცემებზე დაყრდნობით და მის ფართოდ გავრცელებაში.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1.	აბაშიძე: 1959	აბაშიძე ი. დენდროლოგია. თბილისი, ნაწ. I, 1959; 442 გვ.
2.	აბაშიძე: 1962	აბაშიძე ი. დენდროლოგია. თბილისი, ნაწ. II., 1962; 442 გვ
3.	ბატონიშვილი ვახუშტი 1944:	ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოს საქართველოსი. თბილისი: განათლება, 1944. 315 გვ.
4.	ბახსოლიანი: 2002	ბახსოლიანი ტ. საქართველოს წიფლნარები. თბილისი. 2002. 280 გვ.
5.	ბახსოლიანი: 1968	ბახსოლიანი ტ. მდ. კოდორის აუზის ტყის ტიპების ბალახეული საფარისა და ბუნებრივი განახლების განვითარების ხასიათი// თბ. სატყეო ინ-ტის შრომები, ტ. XVII, მოსკოვი, 1968 (რუსულ ენაზე).
6.	ბექაია: 1960:	ბექაია მ. კინტრიშის ხეობის ეთნოგრაფიული ექსპედიციის ანგარიში. ბათუმის სამეცნ-კვლ. ინსტ. შრო., ტ. II. გვ. 32-42.
7.	ბიწაძე: 2001	ბიწაძე მ, რუხაძე ა. "გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენციის" (CITES) დანართებში შეტანილი საქართველოს ველური ფაუნისა და ფლორის სახეობები // თბილისი. 2001
8.	ბუნების მატიანე: 2008,2009,2010	"ბუნების მატიან", კინტრიშის დაცული ტერიტორიების საინფორმაციო გამოცემა, 2008,2009,2010"
9.	ბუხნიკაშვილი: 2012	აჭარის ფაუნის რეესტრი// თბილისი, 2012, ა. ბუხნიკაშვილის რედაქტორობით, 709 გვ.
10.	გედევანიშვილი: 1951	გედევანიშვილი დ, ლატარია გ. აჭარის მთა-ტყის ყომრალი ნიადაგების კულტურული ვარიანტები // საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო - სამეურნეო ინსტიტუტის შრომები. თბილისი, ტ.XXXVI. 1951. გვ. 65-81.
11.	გოგმაჩაძე: 2009	გოგმაჩაძე თ, ზოსიძე რ, უორდანია რ. აჭარის იშვიათი და გადაშენების გზაზე მდგომი ცხოველები. ამომცემლობა ბათმის უნივერსიტეტი, ბათუმი, 2009

12.	გვარიშვილი: 2002	გვარიშვილი ნ. ბათუმის ბოტანიკური ბაღის ბუნებრივი და ხელოვნური ფიტოცენოზები. აგრორეფერატი ბიოლოგის მეცნ. კანდ. ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი. 2002. 31 გვ.
13.	გიგაური: 2005	გიგაური გ. საქართველოს ხელუხლებელი ტყეები. საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის შექმნის ზოგიერთი საკითხები. გაუფრთხილდეთ ტყეების წევნის ეროვნულ სიმდიდრეს. გვ. 15-18.
14.	გიგაური: 2000	გიგაური გ. საქართველოს ტყის ეკოსისტემების ბიომრავალფეროვნება// საქართველოს ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნება თბილისი 2000. გვ. 69-82.
15.	გიგაური: 1987	გიგაური გ. სოჭის, ნაძვისა და წიფლის მოზარდის ხელმისამართი სტრუქტურა// სატყეო ინ-ტის შრომები “სამთო სატყეო მუნიციპალიტეტის ინტენსიფიკაცია”, ტ. XXXV, 1987.
16.	გორდელაძე: 1970	გორდელაძე ა. კინტრიშის ნაკრძალი. გამომც. „საბჭოთა აჭარა“. გვ. 2-3.
17.	გულისაშვილი: 1952	გულისაშვილი ვ. – ტყის მცენარეულობა და საქართველოში მისი გავრცელების კანონზომიერება, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სატყეო ინსტიტუტის შრომები, ტ IV, 6გვ. 3-23;
18.	გულისაშვილი: 1974	გულისაშვილი ვ. – ზოგადი მეტყევეობა// “განათლება”, II გამოცემა, თბილისი, 1974.
19.	დავითაძე: 2013	დავითაძე რ. ვასაძე რ. აჭარის დაცულ ტერიტორიებზე წაბლნარი კორომების ბუნებრივი განახლება ტყის ძირითად ფორმაციებში, ბათუმის ბოტანიკური ბაღის მნიშვნელობა მცენარეთა მრავალფეროვნების შენარჩუნებაში, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები, ბათუმი, გვ. 53-54.
20.	დავითაძე: 2012ა	დავითაძე რ. აჭარის დაცული ტერიტორიების ცხოველთა სამყარო. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, №30, თბილისი, გვ. 347-351.
21.	დავითაძე: 2012ბ	დავითაძე რ. აჭარის დაცული ტერიტორიების ფოთლოვანი სახეობების დაგადებები. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“,

		№30, თბილისი, გვ. 352-355.
22.	დავითაძე: 2012გ	დავითაძე რ. აჭარის დაცული ტერიტორიებზე მცენარეთა გავრცელება ეკოლოგიურ ფაქტორთა ზემოქმედებით. აიპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, რადიოლოგიისა და ეკოლოგიის ინსტიტუტი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ტ. VIII. თბილისი, გვ. 192-194.
23.	დავითაძე: 2012დ	დავითაძე რ. აჭარის დაცული ტერიტორიების ტყის მცენარეთა ტიპოლოგია. გორის სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი. „თანამედროვეობის მეცნიერული საკითხები“. გორი, გვ. 234-239.
24.	დავითაძე: 2001	დავითაძე მ. აჭარის ადვენტური ფლორა. გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“. ბათუმი 2001. 199გვ.
25.	თავართქილაძე: 1983	თავართქილაძე ა. აჭარის ასსრ მირითადი ნიადაგები. ბათუმი, „საბჭოთა აჭარა“ 1983. 112 გვ.
26.	კეცხოველი: 1935	კეცხოველი ნ. საქართველოს მცენარეთა მირითადი ტიპები. გამომცემლობა „განათლება“, გვ. 17-19.
27.	კეცხოველი: 1971-2003	კეცხოველი ნ., ხარაძე ა., გაგნიძე რ. „საქართველოს ფლორა“. 1-13. თბილისი, მეცნიერება, 1971-2003.
28.	კეცხოველი: 1960	კეცხოველი ნ. საქართველოს მცენარეული საფარი. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. 1960. 441 გვ.
29.	კეცხოველი: 1960	კეცხოველი ნ. საქართველოს მცენარეული საფარი. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. 1960. 441 გვ.
30.	კორძახია: 1961	კორძახია მ. საქართველოს სსრ კლიმატი. თბილისი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. 1961. 249გვ.
31.	ლეონიძე: 1994	ლეონიძე გ. ტყის მცენარეულობის გავლენა აჭარის მირითად ნიადაგებზე. „სადისერტაციო მაცნე“ სოფლ. მეურნ. მეცნ.კანდ. სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 1994. 16გვ.
32.	ლეონიძე: 1998	ლეონიძე გ. მანველიძე ზ. აჭარის ნაძვნარ-სოჭნარების ნიადაგების თვისებები ტყის მცენარეულობის ცვალებადობასთან დაკავშირებით. // ბათუმის ბოტანიკური ბაღის მოამბე. ტ. 30-31. თბილისი. „მეცნიერება“. 1998. გვ. 163-176.

33.	ლეონიძე გ, მანველიძე ზ. აჭარის შერეული სუბტროპიკული ტყის სარტყელის მცენარეულობის გავლენა წითელმიწა ნიადაგების ძირითად თვისებებზე. აგრარული მეცნიერების პრობლემები (სამეცნიერო შრომათა კრებული). 2003, XXIV, გვ. 21-24.
34.	მანველიძე: 1998
35.	მანველიძე: 1988
36.	მანველიძე: 2003
37.	მანველიძე: 2004
38.	მემიაძე: 2004
39.	მემიაძე: 1970:
40.	მემიაძე: 1971:
41.	მემიაძე: 1973:

		სუბტროპიკული ეგზოტიკების ინტროდუქცია-აკლიმატიზაცია აჭარაში” (ბათუმის ბოტანიკური ბაღის მოამბე, გვ. 12-15.
42.	მემიაძე: 1967:	მემიაძე ვ. კინტრიშის ხეობის ბოტანიკური თავისებურებანი. თბილისის ბოტანიკის ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა სამეცნიერო კონფერენცია, მოხსენებათა შემოკლებული ტექსტები. ტომი V. გვ. 5-8.
43.	მირზაშვილი: 1964	მირზაშვილი ვ., გიგაური გ. აღმოსავლეთ წიფლის ზრდის ხასიათი და მისი ჭრის ოპტიმალური ხნოვანების დასაბუთება // სატყეო ინ-ტის შრომები ტ. XIII, მოსკოვი, 1964 (რუსულ ენაზე).
44.	ნახუცრიშვილი: 2000	ნახუცრიშვილი გ. საქართველოს ძირითადი ბიომები. // საქართველოს ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნება თბილისი 2000. გვ. 43-68.
45.	ნახუცრიშვილი: 1971	ნახუცრიშვილი გ. ცენტრალური კავკასიონის მაღალმთის ბალახოვანი მცენარეების და ფიტოცენოზების ეკოლოგია. თბილისი, „მეცნიერება“, 1971, 200 გვ.
46.	ნახუცრიშვილი: 2000	ნახუცრიშვილი გ. საქართველოს ძირითადი ბიომები. // საქართველოს ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნება თბილისი 2000. გვ. 43-68.
47.	პაპუნიძე: 2000	პაპუნიძე ვ; მანველიძე ზ. აჭარის ტყეების ბიომრავალფეროვნება და მათი ეკოლოგიური როლი. // ეკოლოგიის პრობლემები. თბილისი, გამომცემობა “ტექნიკური უნივერსიტეტი” 2000. გვ. 110-119.
48.	საბაშვილი: 1965	საბაშვილი მ. საქართველოს ნიადაგები. თბილისი: მეცნიერება, 1965. 552 გვ.
49.	სახოკია: 1985	სახოკია თ. - მოგზაურობანი (აჭარა, გურია, სამურზაყანო, აფხაზეთი), “საბჭოთა აჭარა”, ბათუმი, გვ. 267-281;
50.	სვანიძე: 2003	სვანიძე მ. ტყის ტიპების დადგენისა და გამოყოფის ბუნებრივი კრეტირეულები. გამომც. „გულანი“, 2003. გვ. 6-40.
51.	სვანიძე: 1998	სვანიძე მ. საქართველოს წიფლის ტყეების ბუნებრივი განახლების თავისებურებანი // შრომათა კრებული “აგროეკოლოგიის აქტუალური პრობლემები”, თბილისი, 1998.

52.	ურუშაძე: 1977	ურუშაძე თ. საქართველოს მთა-ტყის ნიადაგები. თბილისი, 1977, გვ. 73-163.
53.	ურუშაძე: 1997	ურუშაძე თ. საქართველოს ძირითადი ნიადაგები. მეცნიერება, თბილისი, 1997, გვ. 34-134.
54.	ფალაგანდიშვილი: 1987	ფალაგანდიშვილი შ. აჭარის წითელმიწა ნიადაგები და მათი აგროსაწარმოო გამოყენება. ბათუმი: „საბჭოთა აჭარა“, 1987. 104 გვ.
55.	ფალაგანდიშვილი: 1993	ფალაგანდიშვილი შ. აჭარის ნიადაგების რაციონალური გამოყენების გეოგრაფიული ასპექტები სუბტროპიკული კულტურების განვითარებასთან დაკავშირებით. „სადისერტაციო მაცნე“ გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი. 1993. 27 გვ.
56.	ფალაგანდიშვილი: 2004	ფალაგანდიშვილი შ. ნიადაგების გეოგრაფია. ბათუმი, „გამომცემლობა აჭარა“, 2004. 293 გვ.
57.	ქვაჩაკიძე: 2001	ქვაჩაკიძე რ. საქართველოს ტყეები. თბლისი. 2001. 168 გვ.
58.	ქვაჩაკიძე: 2002	ქვაჩაკიძე რ. საქართველოს მცენარეულობის ისტორია. თბილისი, „მეცნიერება“, 2002. 44 გვ.
59.	ქვაჩაკიძე: 2001	ქვაჩაკიძე რ. საქართველოს ტყეები. თბილისი. 2001. 168 გვ.
60.	ღორჯომელაძე: 1997	ღორჯომელაძე ო. ნიადაგის ეროზიასთან ბრძოლის მეცნიერებლი საფუძვლები. თბილისი. „მეცნიერება“, 1997. 487 გვ.
61.	ღორჯომელაძე: 1998	ღორჯომელაძე ო; მანველიძე ზ. ტყის როლი ეროზიული პროცესების რეგულირებაში. აგარარული მეცნიერების პრობლემები., თბილისი, 1998. XIII, გვ.283-288.
62.	შაინიძე: 2010	შაინიძე ა., დავითაძე რ., შაინიძე რ. აჭარის დაცული ტერიტორიების მცენარეთა ბიომრავალფეროვნება, სამეცნიერო მრომათა კრებული. ტომი მესამე, №3 (52) თბილისი 2010. გვ. 42-43.
